

თბილისის უნივერსიტეტის გერმანულ-ლათინური  
ბიბლიოთეკა

ГРЕЧЕСКО—ЛАТИНСКАЯ БИБЛИОТЕКА ТБИЛИССКОГО  
УНИВЕРСИТЕТА

BIBLIOTHECA GRAECO—LATINA UNIVERSITATIS  
TBILISSIENSIS



# АНАКРЕОНТ

ЛИРИКА

## АНАКРЕОНТИКА

Перевод, вступительная статья, комментарии и указатель

Т. В. Калатози

Под редакцией А. В. Урушадзе

ANACREON

ANACREONTICA

In linguam georgicam convertit, prolegomenis commentariisque

instruxit Thamar Calatosi

Redactor Acacius Urušadze

ИЗДАТЕЛЬСТВО ТБИЛИССКОГО УНИВЕРСИТЕТА  
ТБИЛИСИ 1988

SUMPTIBUS UNIVERSITATIS TBILISSIENSIS  
TBILISSIIS MCMLXXXVIII

ა ნ ა კ რ ე ო ნ ტ ი

ლ ი რ ი კ ა

ა ნ ა კ რ ე ო ნ ტ ი ა

ბველბერძნულიდან თარგმნა, შესავალი წერილი,  
კომენტარები და სახელთა საძიებელი დაურთო  
თ ა მ ა რ კ ა ლ ა ტ ო ზ მ ა  
რედაქტორი აკაკი ურუშაძე



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი 1988

84 (0) 3  
ა 614

ანაკრეონტი ძველბერძნული ლირიკის ერთ-ერთი დიდი წარმომადგენელია ფრაგმენტულად გადარჩენილმა მისმა სატრფიალო და სანადიმო სიმღერებმა დროსთან ჭიდილს გაუძლეს და დღემდე შეინარჩუნეს სურნელი იონიური ზეიმისა, ფერთა სიუხვე და სიმშვენიერე. ისინი დღესაც ისეთივე ძალით იპყრობენ მკითხველს, როგორც წინათ. ანაკრეონტის თავუანისმცემლები მისი მიბაძვით ქმნიდნენ და პოეტის სახელით ავრცელებდნენ საკუთარ ლექსებს. ასე გრძელდებოდა მრავალი საუკუნის მანძილზე.

ანაკრეონტისა და მის მიმბაძველთა ლექსების, ე.წ. „ანაკრეონტეას“ სრული თარგმანი ქართულად პირველად გამოდის. ვიმედოვნებთ, იგი საშუალებას მისცემს ქართველ მკითხველს ახლოს გაეცნოს ანტიკური ლირიკის კიდევ ერთ დიდ წარმომადგენელს.

თსუ „ბერძნულ-ლათინური ბიბლიოთეკის“ სარედაქციო კომისია

ა. ა ლ ე ქ ს ი ძ ე, შ. ა ფ ა ქ ი ძ ე, ბ. ბ რ ე ვ ა ძ ე, რ. გ ო რ დ ე ზ ი ა ნ ი, გ. თ ე ვ. ზ ა ძ ე, რ. მ ი მ ი ნ ო შ ვ ი ლ ი, ო. ნ ო დ ი ა, ა. უ რ უ შ ა ძ ე /თავმჯდომარე/;  
თ. ყ ა უ ხ ნ ი შ ვ ი ლ ი, ი. შ ე ნ გ ე ლ ი ა, შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი.

რეცენზენტი გ. კ ო პ ლ ა ტ ა ძ ე

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1988.  
4603030000

A \_\_\_\_\_  
M 608 (06) 88

ISBN 5-511-00227-3

## შესავალი

ანაკრეონტი ძველბერძნული სატრფიალო ანუ ეროტიკული ლირიკის დიდი შემოქმედია. ეოლიური პოეზია მან იონიური გზით წარმართა, ახალ ყალიბში ჩამოასხა და ახლებურად ააყვრა. იგი დაიბადა მცირე აზიის ქალაქ ტეოსში დაახლოებით 570 წელს ჩვ.წ. აღ-მდე. მისი დაბადების თარიღი, როგორც მთელი მისი ცხოვრება, აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა. ზოგიერთი ანაკრეონტის დაბადების თარიღად მიიჩნევდა 554 წელს, ზოგი კი - 532 წელს. მაგრამ ეს თარიღები ნაკლებ სარწმუნოა არიან. არსებობს აზრთა სხვადასხვაობა პოეტის წარმოშობის შესახებ. ჩვენამდე მოღწეულია ანაკრეონტის მამის რამდენიმე სახელი — ემენოსი, პართენიოსი, ევკიოსი, არისტოკრიტოსი. სვიდას აზრით, მას სკვითინოსი უნდა რქმეოდა. გადმოცემების თანახმად, პოეტი წარჩინებული ჩამომავლობისა იყო. მამით იგი ენათესავებოდა სოლონს, ხოლო დედის მხრივ — პისისტრატეს, რადგან დედამისი პისისტრატეს დედის დეიდაშვილად მიაჩნდათ. და მაინც ძნელია ანაკრეონტის წარმოშობაზე საუბარი, რადგან მთელი მისი ცხოვრება საუკუნეთა ბურუსშია დანთქმული... საერთოდ კი, როგორც მისი შემოქმედებიდან ჩანს, ანაკრეონტი იყო დაუდგრომელი და სიცოცხლით აღსავსე კაცი...

VI ს-ში ჩვ.წ. აღ-მდე მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროს ბერძნულ ქალაქებში სოციალურ-ეკონომიური განვითარების დონე მაღალი იყო. აქ იყო არა მარტო დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან შემოტანილი საქონლის გასაცვლელი ადგილი, არამედ სხვადასხვა კულტურების თავშესაყარიც. სწორედ აქ ყვაოდა სულიერი ცხოვრება და მეცნიერება. მაგრამ VI ს-ის მეორე ნახევარში იონიურ კოლონიებს შაგბნელი დღეები დაუდგათ. ისინი ლიდიელთა ბატონობის ქვეშ მოექცნენ. მოგვიანებით გაძლიერებულმა სპარსეთის მეფე კიროსმა დაამარცხა ლიდიელთა მეფე კრეზოსი /547 — 546/ და დაეუფლა მის მიწებს. 545 წელს ჩვ.წ.აღ-მდე იონიას შემოესია სპარსეთის მეფის კიროსის სარდალი პარპაგოსი და თითქმის ზედიზედ, ძალზე სწრაფად დაიმორჩილა მცირე აზიის იონიური კოლონიები. მათთან ერთად სპარსეთის ბატონობის ქვეშ მოექცა ქალაქი ტეოსიც, რის გამოც თავისუფლებისმოყვარე ტეოსელები იძულებული გახდნენ მიეტოვებინათ მშობლიური მხარე და გადასახლებულიყვნენ თრაკიაში. აქ მათ დაიბრუნეს VII ს-ში ჩვ.წ.აღ-მდე ბერძნების მიერ დაარსებული ქალაქი აბდერა. „ბერძენთაგან მხოლოდ ამათ ვერ აიტანეს მონობა და ლატოვეს სამ-

შობლო..." ოცი წლის ანაკრეონტიც მათთან ერთად გადასახლდა აბდერაში, სადაც ტეოსელებმა მრავალი ბრძოლა გადაიხადეს თრაკიელების წინააღმდეგ ქალაქის დასაბრუნებლად. თანამოქალაქეთა მხარდამხარ იბრძვის ანაკრეონტიც.

აჰა, ვიხილე მე ტანჯული საშობლო ჩემი...

ამბობს პოეტი (ფრ. 187 /56/) და მაინც მტკიცედ შესცქერის თვალელებში ბედის ცვალებადობას, ხიფათსა და გაჭირვებას.

პოეტი ასე დამღერის ბრძოლაში დაღუპულ თანამემამულეს.

მამაცთა შორის უპირველესს დაგტირი შენა,

არისტოკლიდე...

სულ ახალგაზრდა შეეწირე მამულის დახსნას...

ფრ. 75 /90/.

ამ სახის სიმღერები მრავლად გვხვდება ანაკრეონტის შემოქმედებაში. მათში იგი ცხოვრებისეულ საჭირბოროტო საკითხებს ეხება. ეპიგრამაში, რომელიც აბდერისათვის დაღუპულ აგათონისადმი მიძღვნილი, პოეტი გულისტკივილით ამბობს:

...ახალგაზრდებში არვინ იყო ბადალი მისი,

ბრძოლის ქარცეცხლში დაღუპული არვისი მიერ.

ფრ. 191 /100/

და მაინც ანაკრეონტი მტკიცეა, არ უყვარს წუწუნი და ცრემლის ღვრა. სწამს, რომ მეზრძოლი ადამიანი არასოდეს არ უნდა დაემორჩილოს განსაცდელს და გაჭირვებასაც ღიმილით უნდა შეხვდეს. პოეტს არ უყვარს კაცი, რომელიც უკმაყოფილოა თავისი ბედით და იმის ნაცვლად, რომ ხელი გაანძრიოს მის შესაცვლელად, შესვას ძვირფასი, სიხარულის მომგვრელი სითხე ლიეოსისა და ალივსოს ბედნიერებით, პირიქით იქცევა — ღვინის სმისას მხოლოდ სევდიან მოგონებებში იძირება და ცრემლთა ფრქვევით იხსენებს წარსულს. სწორედ ამიტომ ანაკრეონტი გადაჭრით აცხადებს:

არ მიყვარს კაცი ნადიმისას, როცა კრატერით

ღვინოს სვამს, ცხარობს და ბრძოლებზე

ცრემლისღვრით ყვება,

არამედ ვინაც მუზეებსა და ლამაზ საჩუქარს

აფროდიტესას გამახსენებს ამოდ მომღვინი...

ფრ. 56 /96/

პოეტი ილაშქრებს მწუხარების წინააღმდეგ, რადგანაც მწუხარებას არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეუძლია. იგი ერთგვარი

დაცინვითა და ირონიით აგვიწერს თავის დამარცხებას ერთ-ერთი ბრძოლის დროს:

წარმატც მღინარის შესართავთან ჩავაგდე ფარი...

ფრ. 85 /51/

ან კიდევ ფრ. 105 /60/, რომელსაც წინათ ზემოთ მოხსენიებულ ფრაგმენტთან აერთიანებდნენ:

და მერე მისგან გაიქეცი გუგულის მსგავსად

შემორჩენილ ფრაგმენტებში ჩანს სამშობლოდაკარგული ადამიანის გულისტკივილი. ამ სიმღერებში ანაკრეონტი მწარედ დასცინის პირად მტრებს და ზოგჯერ ეს დაცინვა ფრიალ დაუზოგავია. ფრ. 8/16/ და ფრ. 82/54/-ში პოეტი ირონიით მიმართავს დაბალი წარმოშობის არტი-მონს, რომელიც ფუფუნებითა და ზიზილ-პიპილოებით ცდილობს შეინიღბოს. საფიქრებელია, ამ ფრაგმენტებით ფარდა უნდა ეხდებოდეს ანაკრეონტის პირადი ცხოვრების ერთ-ერთ ეპიზოდს.

ანაკრეონტის ცხოვრება პირველ ხანებში ძალიან ჰგავს არქილო-ქესას. თუმცა განსხვავებაც დიდია. არქილოქე ცხოვრებამ პესიმისტად აქცია, ხოლო ანაკრეონტი ვერაფერმა გატეხა... მათ ორივემ დაკარგეს სამშობლო, ბევრი იხეტიალეს, მრავალი ბრძოლა გადაიხადეს და მრავალჯერ იქნენ პირად ცხოვრებაში ხელმოცარულ-დამარცხებულნი... ყოველივე ამან არქილოქეს გაბოროტება და დაღუპვა გამოიწვია, ანაკრეონტს კი, როგორც სიცოცხლით ტკბობის უსაზღვროდ მოყვარულ ადამიანს, სულიერი ჭრილობები შეუხორცდა. და აი, პოეტიც მიჰყვა ბედის ბორბლის ტრიალს.

ახლად არჩეული სამშობლო, კულტურის ცენტრიდან საკმაოდ დაშორებული და მუდამ საფრთხეში მყოფი აბდერა, ცხადია, პოეტური მოღვაწეობისათვის ყოველთვის ვერ იქნებოდა ხელსაყრელი. აბდერაში ცხოვრებით უკმაყოფილო ანაკრეონტი ტოვებს საბრძოლო ხიფათით აღსავსე ცხოვრებას, ძველ იდეალებს და უკვე სახელმძღვანელო პოეტი იღებს კუნძულ სამოსის ტირან პოლიკრატესის მიწვევას და საცხოვრებლად მის კარზე გადადის.

ანაკრეონტი იმ დროისათვის ცნობილი იყო არა, მარტო თავისი ლექსებით, არამედ არფასა და ფლეიტაზე დაკვრის შესანიშნავი ხელოვნებით. მუსიკალურ ხელოვნებაში განსწავლა წარმოადგენდა ბერძნული განათლების ერთ-ერთ მთავარ ნაწილს. პოლიკრატესი, რომელიც მმართველობას შეუდგა 532 წ. ჩვ.წ.ად-მდე და ქვეყანას თერთმეტი წლის განმავლობაში მართავდა, პოეზიისა და მუსიკის მფარველად გვევ-

ლინება. ჭკვიანი და ძლიერი პოლიტიკოსი დიდ ყურადღებას აქცევდა ხელოვნების აყვავებას, კუნძულზე იწყებდა ცნობილ პოეტებს და ხელს უწყობდა მათ. ისინიც, თავის მხრივ, ვალდებულნი იყვნენ შეემკოთ და კიდევ უფრო მეტი ბრწყინვალება და სილამაზე მიენიჭებინათ ტირანისა და მისი სამეფო კარის ცხოვრებისათვის.

ასე ჩაება ანაკრეონტიც პოლიკრატესის სამეფო კარის ყოველდღიური ცხოვრების ფერხულში და, უფრო სუსტად თუ ვიტყვი, იგი გახდა სამოსური ცხოვრების სულისჩამდგმელი. ეს წლები ანაკრეონტის ცხოვრებაში ყველაზე განსაკუთრებული იყო... ნელ-ნელა მივიწყებას მიეცა მისი პირვანდელი შემოქმედება. წინანდელი პოეტი-რაინდი გადაიქცა ღვინისა და სიყვარულის მოსნად, ბახუსის, ეროსისა და აფროდიტეს თავყანისმცემლად. მთელი სიძლიერით გამოიკვეთა პოეტის ახალი სახე, სახე „ტკბილი და უდარდელი მოსნისა“.

ანაკრეონტი, როგორც პოლიკრატესის მეგობარი, სახელმწიფო საქმეებისა და პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტის დროსაც მის გვერდით იდგა.

პეროდოტე თავის „ისტორიაში“ ამბობს, „...ოროატესმა სამოსზე გაგზავნა მაცნე, რაღაც საქმეზე სათხოვნელად... პოლიკრატესი ამ დროს სუფრასთან წოლილა კაცების დარბაზში და მასთან იმყოფებოდა ანაკრეონტ ტეოსელიც...“<sup>1</sup>

თავისთავად ცხადია, ანაკრეონტი პოლიკრატესისადმი მიძღვნილი მრავალი სიძღერის ავტორი იქნებოდა. სამწუხაროდ ჩვენამდე მათ არ მოუღწევიათ. მხოლოდ ფრ. 21/25/-ში უნდა იყოს სამოსის ისტორიიდან ერთ-ერთი ეპიზოდი მოცემული. აქ პოეტი უსაყვედურებს ძვირფას მეგისტეს:

თურმე კუნძულზე აჯანყების წამქეზებელნი,  
მეგისტე, წმინდა ქალაქს მართავენ...

როგორც ჩანს, პოეტი და მეგისტე დიდი მეგობრები იყვნენ. ამაზე მიგვითითებს ფრ. 99/65/, სადაც ანაკრეონტი წერს, რომ მხოლოდ მასში შეიცნო „ბავშვური გული“. ერთ მშვენიერ დღეს ისინი პოლიტიკურად სხვადასხვა პოზიციებზე აღმოჩნდნენ. შეიძლება ეს ეპიზოდი იდენტურია იმისა, რაც პეროდოტემ თავისი ისტორიის III წიგნში /44-60 პარაგრ./ მოგვითხრო. „...აი ამ ყოველმხრივ ვალდებული პოლიკრატესის წინააღმდეგ გაილაშქრეს ლაქედემონელებმა, რომლებიც მოიწყვიეს იმ სამოსელებმა, რომელთაც მკმდეგ კრკეტესე დააფუძნეს კიდო-

<sup>1</sup> პეროდოტე, „ისტორია“, ტ. I. თბილისი, 1975, წიგნი III, 121.



ნიე... პოლიკრატესმა გამოარჩია ის მოქალაქეები, რომელთა მიმართ განსაკუთრებული ეჭვი ჰქონდა, რომ ისინი აჯანყებას აიჩიებდნენ და გაგზავნა ისინი 40 ტრიერით, თანაც სთხოვა კამბისეს, ესენი უკან აღარ გამომიგზავნო... მაგრამ... იქიდან გამოიქცნენ... მიცურდნენ სამოსთან... პოლიკრატესი შემოხვდა მათ და ბრძოლა გაუმართა...”

ამ შემთხვევაში აჯანყების მეთაურები იყვნენ კეთილშობილი დისიდენტები. არისტოკრატიული ჯგუფები მოწინააღმდეგენი და დაუძინებელი მტრები იყვნენ ტირანიისა. ანაკრეონტის ლექსში არაა მოთხრობილი ხალხის აჯანყების შესახებ, არამედ პოლიკრატესის წინააღმდეგ შეთქმულ კეთილშობილთა მტრულ განწყობაზეა ლაპარაკი. გრძნობები ან პოლიტიკური იდეები არისტოკრატიის ტენდენციებისა გადარჩენილ ფრაგმენტებში არ ჩანს.

თავისუფლად შეიძლებაოდა, თვით პოლიკრატესს წარმოეთქვა შემდეგი სიტყვები:

არცა ერთგულ ვარ ქალაქელთათვის

არცა გულთბილი...

ფრ. 9/19/

თუმცა ისიც შეგვიძლია დავუშვათ, რომ აქ პოლიკრატესისადმი ერთგულებით აღსავსე პოეტის სუბიექტური შეხედულებანია მხოლოდ გამოხატული. ამავე დროს გასაკვირია ისიც, თუ როგორ შეძლება ესოდენ მართალი კაცი გულგრილი დარჩენილიყო იმ ფაქტების მიმართ, რაც იმ პერიოდში მის გარშემო ხდებოდა. იყო კი იგი ისე ბრძალ შეყვარებული და აღფრთოვანებული პოლიკრატესის საქმიანობით, რომ სინამდვილეზე თვალი დაეხუჭა?

და აი, დადგა 522 წელი, როდესაც ვერაგულად იქნა მოკლული პოლიკრატესი სარდეს სატრაპ ოროატესის მიერ და ამით ანაკრეონტის ყოფას კუნძულ სამოსზე მიმზიდველობა და აზრი დაეკარგა. ტახტზე დაჯდა ახალი მბრძანებელი სილოსონტი, პოლიკრატესისაგან ხასიათითა და გრძნობით ფრიად განსხვავებული და ამიტომ ანაკრეონტისათვის ყოვლად არასასურველი.

ამ დროისათვის ათენში ძალაუფლება აიღეს ხელში ტირან პისისტრატეს ვაყებმა ჰიპიასმა და ჰიპარქოსმა და თავიანთი მამის მსგავსად ხელი შეუწყვეს ქალაქის სამეურნეო და კულტურულ განვითარებას. ქალაქი დაამშვენეს საუცხოო ნაგებობებით. ისინი ცდილობდნენ, გარს შემოეკრიბათ ცნობილი ხელოვანნი და პოეტნი. ყოველგვარ პირობებს უქმნიდნენ მათ, რათა ათენში დარჩენილიყვნენ საცხოვრებლად...

ჰიპარქოსმა ათენში მიიპატიჟა ანაკრეონტი და ორმოცდაათნიჩბიანი გემი გამოგზავნა მის წასაყვანად. ათენში პოეტმა ისეთივე ცხოვრება დაიწყო, როგორსაც აქამდე კუნძულ სამოსზე ეწეოდა. ათენის დიდგვაროვანთა ოჯახებში იგი სასურველი სტუმარი იყო. ყველა ერთმანეთს ეცილებოდა, რათა პოეტისათვის პატივი ეცათ. ანაკრეონტი მატერიალურადაც უზრუნველყოფილი იყო და შეეძლო თავის ხელოვნებას მთელის არსებით მისცემოდა. იგი ძველებურად ასხამდა ხოტბას ღვინოსა და სიყვარულს. შეიძლება დაუშვათ ისიც, რომ ანაკრეონტი იცნობდა ესქილესა და პინდარეს, რადგან მას ათენში უნდა ეცხოვრა ჯერ კიდევ მარათონის ბრძოლების დროს. ცნობილია ის ფაქტი, რომ პოეტს დიდი მეგობრობა აკავშირებდა როგორც პერიკლეს მამასთან — ქსანთიპოსთან, ასევე უფროს კრიტიასთან...

მას შემდეგ, რაც პარმოდოსისა და არისტოგიტონის ხელით 514 წელს ჩვ. წ. აღ-მდე დაიღუპა ჰიპარქოსი, მისი ძმა და ასევე თანამმართველი ჰიპიასი უფრო მკაცრი გახდა. იგი ზრუნავდა, მყარად შეენარჩუნებინა ძალაუფლება და სრულიად აღარ ეცალა პოეზიისა და მხიარულებისათვის. ზედმეტი სერიოზულობისა და სევდის ჯანღში გაეხვია სასახლის კარი და ანაკრეონტმაც მიატოვა ათენი. იგი გადასახლდა თესალიაში, ლარისის მფლობელ ალევადების კარზე, სადაც თავი მოიყარეს სხვა პოეტებმაც.

ტირან ექვერეტიდას კარზეც ძველებური წესით წარიმართა ანაკრეონტის ცხოვრება. შემორჩენილია ექვერეტიდასადმი მიძღვნილი ლექსები...

შემდეგში პოეტის ასავალ-დასავალი სიბნელითაა მოცული, მისი ცხოვრების გზა უცნობია. ერთნი ფიქრობენ, რომ იგი დაბრუნდა მშობლიურ ქალაქში, ხოლო მეორეთა აზრით, პოეტმა სიცოცხლის უკანასკნელი წლები აბდერაში გაატარა. ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ ანაკრეონტმა ღრმა მოხუცებულობამდე იცოცხლა და მუდამ პატივითა და სიყვარულით იყო გარემოცული. გამართლდა მისი წინასწარმეტყველება, რომ ლექსებისა და საამური საუბრების წყალ ობით მარად დარჩებოდა ახალგაზრდებისათვის საყვარელ პოეტად. ანაკრეონტი ყველგან და ყოველთვის სანატრელი სტუმარი გახლდათ და თავისი შესანიშნავი, მარად ახალგაზრდული სიმღერებით ღრმა მოხუცებულობაშიც ისეთივე მგზნებარე და ცეცხლოვანი იყო, როგორც სიჭაბუკისას. პოეტის შემოქმედებიდან ჩანს, რომ ზოგჯერ ანაკრეონტს გულს წვეტს სიცოცხლის დასასრულის მოახლოება, მაგრამ მაინც არ ტყდება და მსუბუქი ირო-

ნით აგვიწერს თავის დამარცხებას ლესბოსელ ქალწულთან:

. ჩემს ჭაღარა თმებს გადახედა დაცივნის თვალით  
და შერმე სხვისკენ მიტრიალდა და გაულიმა

ფრ. 13/5/

თუ ზოგიერთ ლექსში მაინც გამოკრთის ტარტაროსისა და მისკენ მიმავალი გზების შიში, ეს მხოლოდ და მხოლოდ წამიერი შეშფოთებაა და პოეტი სწრაფადვე სძლევს მას.

ხნოვანებამ ვერ შეარყია ანაკრეონტი. მან ბოლო წუთამდე შეინარჩუნა ახალგაზრდული მგზნებარება და ტკბობის განცდის უნარი. სწორედ ამიტომ მიგვაჩნია საუკეთესოდ პოეტის ბოლო პერიოდის შემოქმედება. და თუმცა თმებში ჩამოათოვა, საფეთქლები გაუმელოტდა და კბილები ჩაუტცივდა, მაინც ვერ მოიკიდა ანაკრეონტის სულში ფეხი ზამთარმა, სულით იგი მარად ყმაწვილად დარჩა.

ძნელია ანაკრეონტის ნამღვილ სახედ ჩაითვალოს გადმოცემებით შექმნილი ხატი. დაიკარგა პოეტის შემოქმედების დიდი ნაწილი. საუკუნეთა მანძილზე გაყალბდა მისი ხასიათი... და, მართლაც, როგორ შეიძლებოდა ადამიანს, რომელმაც დაკარგა სამშობლო და საკუთარი თვალით იხილა თავისი მეგობრების დაღუპვა, ყოველივე გადაეტანა ისე, რომ ამას ღრმა კვალი არ დაეტოვებინა მის სულში. იქნება სწორედ აქ გამოიხატა მხოლოდ ანაკრეონტისათვის დამახასიათებელი სიძლიერე?.. მართალია, თანატოსის მსახვრელ ხელს ვერც ანაკრეონტი გაექცა — ჯიუტი, ძლიერი და სულით „მარად ყმაწვილი“, მაგრამ არც სიკვდილის შემდეგ მოჰკლებია მას სახელი და ღიდება. ფიქრობენ, რომ პოეტი გარდაიცვალა ღრმად მოხუცებული, დაახლოებით 485 წელს ჩვ.წ.ალ-მდე.

პერიკლეს ეპოქაში /დაახლოებით 429 წ./ ათენელებმა ანაკრეონტის საღიდელოდ მისი ბრინჯაოს ქანდაკება დადგეს აკროპოლისში. ეს ქანდაკება უნდა ყოფილიყო კრესილასის ან ფიდიასის ნამუშევარი. შემდეგში პოეტს ხშირად ხატავდნენ კერამიკულ ვაზებზე მთვრალი მოხუცის სახით, დაფნის გვირგვინით თავზე.

თეოკრიტეს /III ს. ჩვ.წ.ალ-მდე/ ერთ-ერთი ეპიგრამიდან ჩანს, რომ აეტორს ტეოსში უნახავს ანაკრეონტის ძეგლი:

ო, უცხოელო, დააკვირდი და დაიხსოვო  
ეს ქანდაკება და როდესაც შინ დაბრუნდები  
სთქვი, რომ ტეოსში ნახე სახე ანაკრეონტის,  
საუკეთესო მომღერლისა ძველთაგან ღღემდე...  
რომ განისვენებს აქ ვინც ჭაბუთ უყვარდათ მარად,

რომ კაცთა შორის ჰუმანიტატი ის იყო კაცი.

ეს ეპიგრაფა არ შეიძლება იმის დამამტკიცებელ საბუთად ჩაითვალოს, რომ ანაკრეონტი სამშობლოში დაბრუნდა, იქ გარდაიცვალა და დაიძარხა.

ტეოსელებმა სახელგანთქმული თანამოქალაქის სურათი ბრინჯაოს ფულზე ამოკვეთეს დაახლოებით 90 წ.ჩ.წ.წ.ად-მდე. ამ სურათზე პოეტს წვერმოშვებული მოხუცის სახე ჰქონდა და პლექტრით ეხებოდა ლირას.. ძველი პოეტები ანაკრეონტს თუმცა მოხუცად, მაგრამ ამავე დროს ახალგაზრდული ძალით აღესილს გამოხატავდნენ. საერთოდ, თითქმის ყველა ბერძენი პოეტი, რომელიც ღრმა მოხუცებულობამდე მიაღწევდა, გონების მოქნილობითა და შემოქმედებითი აქტიურობით გამოირჩეოდა. ამის მიზეზი იქ უნდა მოვიძიოთ, რომ ძველი ბერძენები სიბერეშიც მისდევდნენ ფიზიკურ წრთობას. ყოველდღიურად ზრუნავდნენ, რომ სხეული ჯანსაღად შეენარჩუნებინათ და გონება ხშირი ვარჯიშის შედეგად დაეცვათ მოდუნებისაგან. ალბათ სწორედ ამის გამო იყო, რომ მოხუცებულობის მიუხედავად, ჯანსაღ სხეულს გონებაც ძლიერი უმშვენივლათ.

ამბობენ, ანაკრეონტი სტუმრად მოსულ სიკვდილს უშფოთველად შეეგება. თითქოს ყურძნის მტვენით ხელში მიეძინა ვარდებზე და ასე შეერია მისი სული აჩრდილთა სამყაროს. სოფოკლეს თქმით, იგი გარდაიქმნა ყურძნის კურკად, რათა ღვინით გამოწვეული სიხარულით მარად ეხეიმა. როგორც ჩანს, ძველი ბერძენი საყვარელი პოეტის გარდაცვალებას კვლავაც უკავშირებდა ასევე ყველაზე საყვარელ ღმერთს — დიონისეს. იგივე პოეტური აზრი თვით გარდაცვალებასაც მშვენიერებად წარმოსახავდა, რადგან ძვირფას პოეტს სხვანაირი სიკვდილისათვის ვერ გაწირავდნენ. ერთი კია, როგორც არ უნდა ყოფილიყო ანაკრეონტის სიკვდილისწინა მდგომარეობა და ფიქრები, მაინც მარად ახალგაზრდული სიცოცხლე ყვავილობს მის საფლავზე. და სანამ ქვეყანაზე იარსებებს ახალგაზრდობა, ღვინო, სიყვარული და სილამაზე, ტეოსელი მგოსნის სახელიც განუყრელად იქნება მათთან დაკავშირებული.

X X X

ანაკრეონტის შემოქმედება ორ პერიოდად შეიძლება დაიყოს. პირ-

ველ პერიოდს განეკუთვნება ომი, მრავალი გასაჭირი, განდევნა, კოლონისტებთან ერთად ბრძოლა ახალ ადგილზე დამკვიდრებისათვის და ყოველივე ამით შთაგონებული რისხვითა და დაცინვით საესე ლექსები. ზოგიერთ მათგანში უკვე ისმის ის ირონია და საოცრად მსუბუქი ჟღერა სტრიქონისა, რომელიც ახასიათებს პოეტის შემოქმედების მეორე პერიოდს. იგი იწყება პოლიკრატესის სამეფო კარზე და დასასრულს მხოლოდ პოეტის საფლავთან პოულობს.

პირველი პერიოდის ლექსებში გვხვდება ის უშუალობა, რომელიც ახასიათებს ახალგაზრდულ აღტყინებასა და თავდადებას. ეს ლექსები ნამდვილი ამბლლებული გრძნობით არიან განმსჭვალულნი და სრულიად არ ჩანს მათში ის სინაზე, თუ ტკბობით გატაცება, რომელიც ერთობ უხვად გვხვდება მეორე პერიოდის შემოქმედებაში. და მაინც სწორედ მეორე პერიოდის ლექსებში ყალიბდება და გამოხატულებას პოულობს ანაკრეონტის ორიგინალური, თვითმყოფადი პოეტური სახე, სახე, რომელმაც სიყვარულის მარად უჭკნობი დაუნის გვირგვინით შეამკო იგი და საუკუნეთა მანძილზე აცოცხლა ჭეშმარიტ თაყვანისმცემელთა გულებში.

ანაკრეონტი უმღერის ღვინოს, სიყვარულსა და მშვენიერებას... და უმღერის იმდენად განსაცვიფრებლად განსხვავებულ ვარიაციებში, ისეთი გრაციოზული სიტყვათა წყობით, რომ შეუძლებელია არ მოიხიბლოს ადამიანი. სწორედ ეს მსუბუქი, ხატოვანი სტრიქონები იყო იმის მიზეზი, რომ ანაკრეონტის ლექსების გარეშე ძველ ბერძნებს სანადიმო სუფრა ვერ წარმოედგინათ.

ანაკრეონტის შესახებ გავრცელებულია აზრი, რომ იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე მუდამ შეყვარებული იყო, სვამდა და მღეროდა:

მიყვარს და თითქოს არც მიყვარს კიდევ  
ხელი ვარ... თითქოს არცა ვარ ხელი.

ფრ. 46/79/

თუმცა ამ სიყვარულში არ ჩანს ის გზნება, რომელიც გულს საბოლოოდ იპყრობს და დაღუპვამდეც კი მიჰყავს ადამიანი. პირიქით, პოეტი უმღერის მსუბუქ სიყვარულს, რომელსაც შვება მოაქვს და არა ტკივილი, სიცოცხლეს უფრო მშვენიერსა და აზრიანს ხდის და სულს დამძიმების ნაცვლად აფაქიზებს. სწორედ ეს ნაზი გრძნობა დაფარფატებს ანაკრეონტის შემოქმედებაში და ყველასა და ყველაფერზე ბატონობს.

ზევით მოყვანილი ფრაგმენტის გამოძახილს ვხვდებით ოვიდიუსთან. პოეტი თითქმის ზუსტად იმეორებს ანაკრეონტის სიტყვებს /იხ.

ოვიდიუსი, მე-14 ელგია, 38-40/

სიყვარული და ღვინო, ვენახის ღერწებს ამოფარებული ბახუსი, რომელიც მარადი ნეტარებისაკენ უჩვენებს გზას ადამიანებს, აი, ესაა პოეტის საყვარელი თემა. ანაკრეონტის მიერ ბახუსისადმი მიძღვნილი ლექსები გამოირჩევიან საოცარი დინამიურობითა და სიძლიერით. ჩანს, რომ მწყალობელი ღმერთის კალთა გადაფარებია მგოსანს. ისიც კარგად ჩანს, რომ მისი თავდავიწყების მიზეზი მარტო ღვინო არ უნდა იყოს. კაცი, ერთხელ შეხედვით უღარდელი, ძალზე უბოროტო და სილამაზის საოცარი თავყვანისმცემელი, არ შეიძლებოდა მხოლოდ ისეთი ყოფილიყო, როგორც სხვების თვალში ჩანდა. ვისაც არ გააჩნდა ასეთი ჰარმონიული სული, მას ვერც მუქ-ლურჯი ცა და წალკოტი მიწა საბერძნეთისა, ვერც ღრუბლებში აჭრილი ოლიმპო და ვერც მოლივლივე ზღვა ვერ გაუღვიძებდა იმის მსგავს გრძნობებს, როგორი გრძნობებითაც აღსავსე იყო ანაკრეონტის მთელი არსება. რამდენიმე ლექსის წაკითხვაც კი საკმარისია პოეტის დიდი სულის შესაცნობად. სწორედ მისი ლექსების უბრალოება და სისადავე იყო მიზეზი იმისა, რაც ასე ალაგზნებდა მკითხველებს მთელი ოცდახუთი საუკუნის განმავლობაში.

თუ გავიხსენებთ იმას, რომ ძველი ბერძნებისათვის დიონისესადმი სამსახური ძალზე დიდმნიშვნელოვანი გახლდათ და მასში ღვინის სმა სჭირდებოდათ, რათა ადამიანში შემოქმედებითი ძალები აღეგზნოთ და განეითარებინათ, გამოეღვიძებინათ მშვენიერი მისწრაფებები ადამიანისა — მაშინ ამ თავისებურ ღვთისმსახურებას სულ სხვა თვალთ შეეხედავთ.

დიონისური ზეიმების სულისჩამდგმელნი იყვნენ ბაკხი ქალები, საოცარი სილამაზის უღრუბლო ზეცა, ბარაქიანი მიწა, მშვენიერი ბუნება და მარად დაუოკებელი ელინური სული. ღვინო თუმცა თვითმიზანს არ წარმოადგენდა, მაგრამ აუცილებელი ატრიბუტი იყო ფონის შესაქმნელად მეგობრული საუბრების დროს, როცა საჭირო იყო შინაგანი სულიერი ძალების აღზნება და წარმოჩინება, როცა საჭირო იყო თავდავიწყებაში გადაშვება.

პოეტი ერთგვარი სულსწრაფობით მოუწოდებს ახალგაზრდა ვაჟს, რომ მოემსახუროს:

მომიტანე ვაჟო, წყალი, ღვინო,  
ყვავილებიც მომიტანე ჩქარა,  
გვირგვინებით მსურს მოვიროთ თავი

და ხელდახელ შეეგებოდნენ ერთს.

ფრ. 38/27/

ანაკრეონტის სანადიმო ლექსები აღსავსენი არიან ცეცხლოვანებითა და სურათოვნებით. ამავე ღროს პოეტს ვერც თავშეუკავებლობასა და არაზომიერებას ვუსაყვედურებთ. მას არ მოსწონს ბარბაროსთა /არაბერძენთა/ ჩვეულება ღვინის სმისა, როცა ნადიმი ღრეობად იქცევა, როცა ზედმეტი სმისაგან თავაწყვეტილი სუფრის წევრები ადამიანის სახეს კარგავენ და მათ გვერდით იბილწება ყოველივე წმინდა და ამაღლებული. სძაგს ადვირახსნილი ლოთობა და მოუწოდებს ღრის სასიამოვნო გატარებისაკენ, რის საწინდრადაც მიაჩნია განზავება ხუთი წილი ღვინისა ათ წილ წყალში, ან ხუთი წილის სამთან შერევა და ა.შ. პოეტის ეს თვალსაზრისი გადმოცემულია შემდეგ ფრაგმენტებში: 24/22/, 38/27/, 57/99/, 110/58/.

ძალზე თავისებური იყო ანაკრეონტი ყოველდღიურ ცხოვრებაში. საინტერესოა პოეტის დამოკიდებულება ღვთაებათა მიმართაც. მის ლექსებში არ ჩანს დიდი თავყვანისცემა ღმერთებისადმი. პოეტი მათ ისე იხსენიებს, როგორც ვინმე გულშემატკივრებს. თუმცა მათ შორის ყველაზე მეტ თავყვანისცემას დიონისესადმი გამოხატავს. მიაჩნია, რომ ღვინო და ლექსი ერთმანეთს უნდა ამოუდგნენ მხარში და ერთმანეთი დაამშვენონ, რომ მიწიერ სიხარულთაგან უმრავლესობა დიონისესთანაა დაკავშირებული. ამიტომაც, რომ დიონისესადმი მიძღვნილი ჰიმნი სულაც არ წარმოადგენს ლოცვა-ვედრებას ღმერთისადმი. მასში უფრო მეტად წმინდა ეროტიული ჰანგები ჟღერენ და, ჩვენის აზრით, კლეობულესადმი უფროა მიმართული, ვიდრე დიონისესადმი. პოეტს ღმერთი — დიონისე იმდენად სჭირდება, რამდენადაც მას ევალება სიყვარულის გაღვივება კლეობულეს გულში.

ო, მბრძანებელო, შენ, ყრმა ეროსი,  
ყორნისფერთვალა ნაზი ნიძუები

და აფროდიტე ძოწითმოსილი  
თავს ირთობთ ერთად. გთხოვ გადმოხველო  
უმაღლესი მთის მწვერვალიდან მღალადებელს და  
მავედრებელს მუხლმოყრით შენდა, მოწყალედ მექმენ,  
მოპველინე ჩემთა თვალთა წინ და აწ განცხრომით  
მოისმინე მუდარა ესე...

გთხოვ, კლეობულეს სანუკარი ჩჩვეით მიმართო,  
აღმოუცენო სიყვარული ჩემდამო წრფელი,

ფრ. 14/2/

მართალია ანაკრეონტი სილამაზისა და სიყვარულის თაყვანისმცემელია, მაგრამ მაინც არ ჩანს მის ლექსებში ის დიდი წვა, როგორც თავგადაკლულ მიჯნურს შეუფერის. პოეტის საოცარ გრაციოზულ ნათქვამს აკლია შინაგანი ცეცხლი. მისი ეროსი მრისხანე ღმერთია, რომელსაც თან ახლავს მუდამ „...თავაწყვეტილი სიგიჟე და ბრძოლის ხმაური...“ პოეტი ქედმოხრილია ეროსის წინაშე, მაგრამ მაინც მკაფიოდ ჩანს, რომ იგი უფრო მეტს ხატავს, ვიდრე განიცდის. ანაკრეონტის ეროსი შეუბრალებელი, მტკიცე მარჯვენიანი ღმერთია, ის ვისაც სიამოვნებით ეთაყვანება პოეტი და არა პაწაწინა, ფუნთუშა ბიჭუნა, როგორადაც შემდეგმა საუკუნეებმა დაგვიხატა იგი:

და დამცხო ურო, ვით მჭედელმა ეროსმა კვლავაც  
და გადამაგლო მთის მშფოთვარე ნაკადში უცებ.

ფრ. 25/45/

ძვ.წ.ად. VII-VI ს-ში ინდივიდი ხშირად მთელ კოლექტივს უპირისპირდებოდა. ამ პერიოდის ლირიკოსებიც, გაუღნთილნი ეპოქის სულით, თავიანთ მოვალეობად რაცხდნენ, უფრო წინ დაეყენებინათ ადამიანის პირადი გრძნობები და მიუხედავად ნიჭითა თუ ტემპერამენტით დიდი განსხვავებისა, ყველანი ადიდებდნენ ადამიანს და ჰიმნს უმღეროდნენ მის განთავისუფლებულ სულს. გმობდნენ არისტოკრატიული მსოფლმხედველობის მთელ რიგ შეზღუდულ სისტემებს ადამიანის პირად განცდებსა და განწყობილებებზე არასწორი წარმოდგენების გამო.

ანაკრეონტიც, მცხოვრები ტირანთა კარზე, მათი ნადიმებისა და სუფრათა გამამშვენიერებელი, თავისთავად ცხადია, გვერდს ვერ აუწელიდა ამ მიმდინარეობას. იგი არა მარტო იცნობდა მსუბუქი სიყვარულის თეორიას, არამედ ყოველ ნაბიჯზე ხვდებოდა მას ახალ ცხოვრებასთან მჭიდროდ გადაჯაჭვულ „ქალთა საკითხთან“ კავშირში. ტირანთა კარი ხომ საესე იყო აურაცხელი პეტერებით, რომელნიც ყველაზე მშვენიერნი იყვნენ. მათ ვვალებოდათ საკუთარი მომხიბლაობა და სილამაზე ტირანთა სიამის მისანიჭებელ სამსხვერპლოზე მიეტანათ.

ფრ. 71 -იდან ჩანს, რომ პოლიკრატესისა და ანაკრეონტის სიყვარულის საგანი ერთი და იგივე პიროვნება უნდა ყოფილიყო. სახელად სმერდისი, რომელიც მწარედ დაისაჯა. რათა არ დავიწყებოდა თავისი ადგილი ცხოვრებაში, შეატრეს თმები... ამით გათელეს მისი სიამაყე და ალბათ არა მარტო მისი... ანაკრეონტსაც ეტკინა გული... პოეტი მწუ-



ხარებით დასცქერის მტვერში დაყრილ თემებს, მაგრამ ანაკრეონტის მწუხარებაში ჩაძირვა დიდხანს არ ძალუძს, არ სურს ტკივილებს დაემონოს, იქვე მსუბუქი იუმორით დასძენს, თითქოსდა უკვე განკურნებული სიყვარულისაგან:

...ვიცოდე მაინც ის რასა იქმს

თრაკიელისგან ვინც აროდეს არაფერს ელის...

საერთოდ კი ანაკრეონტი ტრფობის ობიექტთან ურთიერთობის შესახებ ერთგვარი სიმსუბუქითა და სინაზით წერს, რადგან კარგად იცის ადამიანური ყოფის ნათელი მხარეების დაფასება (იხ. ფრ. 93 /69/). პოეტს შესანიშნავად ესმის სიწმინდის ფასი. იგი საოცარი სიფაქიზით აგვიწერს და ჩვენს თვალწინ ცოცხლდება ნუერივით შემკრთალი ქალწულის სახე, რომელიც ჯერ-ჯერობით კვლავაც სუფთა და უმანკოა, ცხოვრებას თავისი მუხთალი ხელით მისი გულუბრყვილო ოცნებები არ დაუმსხვრევია და მისი გული თავმოყვარეობის შელახვით არ დახანჯლულა:

მიცქერი რიდით ვით ძუშუთა პაწია ნუკრი,

რომელიც ტყეში ჩამოშორდა ფურიუმს უცბა

და თრთის მარტოკა...

და მაშინაც, როცა ანაკრეონტის სიყვარული უარყოფილია, როცა მას ყურადღების ღირსადაც არ თვლიან, იგი ყოველგვარი წყენის გარეშე გვიხატავს ამ ფაქტს და თანაც ისეთი უდარდელი ტონით, თითქოსდა სხვის დამარცხებაზე მღეროდეს. პოეტი შეუბრალებლად დასცინის თავის თავს, სიყვარულში ეგზომ ხელმოცარულს. მისი ეს გრძნობები შესანიშნავადაა წარმოჩინებული შემდეგ ფრაგმენტებში: 13/5/, 52/52/, 84/53/ და ა.შ. ტრფიალებაში მრავალჯერ დამარცხებული პოეტი ერთი წამითაც არ ჰყრის ფარ-ხმალს და კვლავაც ახალი ბრძოლებისათვის ემზადება. დიდი პლასტიურობით აგვიწერს ანაკრეონტი თრაკიელის სახეს ფრ. 78/88/-ში, სადაც მას გაუხედნავ კვიცს ადარებს და თავის თავში მტკიცედ დარწმუნებული ჰპირდება „...ამოგდებ აღვირს და სამანებს შემოგაჭენებო“. იგი დაუცხრომლად ისწრაფვის, რათა ახალი გრძნობებით აღივსოს და გაიმრავალფეროვნოს ცხოვრება.

შედარებით მწარე ხმები ისმის იმ ლექსებში, სადაც ანაკრეონტი უსივის თავის სიბერეს. იგი წერს საზარელი ჰადესის მღვიმეებზე. თავის გათეთრებულ თემებსა და ჩაცყენილ კბილებზე. იმაზე, რომ უღმერთოდ გაფრინდა სიჭაბუკე და ტკბილი და სანუკვარი სიცოცხლისაგან

ბევრი არაფერი შემორჩა. მაგრამ ეს მხოლოდ წამიერი დაღონებაა. პოეტის პოულობს ძალას თავი დააღწიოს მტანჯველ ფიქრებს. იგი სწრაფადვე ივიწყებს ჰადესისაკენ მიმავალ გზას და ახალი ენერგიით აღვსილს აღარც კი ახსოვს თავისი წლოვანება. მხოლოდ ხანდახან თუ დაეკოდება გული და ისიც წამიერად, როცა ყმაწვილი ქალები მის სიყვარულს, ახალგაზრდა ვაჟის ტრფობას ამჯობინებენ.

... მაგრამ ქალწულმა...

ჩემს ჭაღარა თმებს გადახედა და ცინვის თვალით  
და შერმე სხვისკენ მიტრიალდა და გაუღიმა.

და მიუხედავად ამისა, გულგაუტეხელ პოეტს მაინც სურს, რომ „ძვირფას ეროსს“ ემსახუროს, რადგან

იგი ხომ ღმერთთა მბრძანებელი არის და თავად  
კაცთა მოღმასაც მხოლოდ იგი ათვისიერებს...

ფრ. 37/28/

სამშობლოს დაკარგვის შედეგად გაჩენილმა გრძნობამ განავითარა კოსმოპოლიტიზმი. პოლიტიკაში დამარცხებულებს სასიყვარულო სიმღერები ედებოდათ გულზე საღებუნად. ღვინოში იქარვებდნენ დარდებს და სიყვარული იყო ის ძალა, რომელიც არ აძლევდათ სიბერესა და სიკვდილზე ფიქრის უფლებას. სამშობლოდაკარგული, ძვირფას გრძნობათაგან თითქმის დაცლილი პოეტი საოცარი წყურვილით ეწაფებოდა ტკობის წყაროს, რადგან სხვა არავითარი პერსპექტივა არ გააჩნდა. ალბათ ამიტომ წერდა ანაკრეონტისადმი მიძღვნილ ეპიგრამაში ანტიპატროს სიდონიელი:

პოი, მოხუცო, მზიარული მთელი სიცოცხლე .

შენ მიუძღვენი

სამ ღვთაებას მხოლოდ და მხოლოდ:

ეროსს, მუზებსა და ღიად ბახუსს...<sup>1</sup>

და აი, მარადი მიჯნურობის ცეცხლში იდაგება ანაკრეონტის გული. გული, რომელიც ცდილობს რაც შეიძლება მეტი ნექტარი შეისრუტოს და პეპელასავით დაფარფატებს ცხოვრების ყვავილოვან ველზე. სწორედ ამიტომ ვხვდებით მის ლექსებში მთელ რიგ სახელებს ქალთა და ვაჟთა, რომელნიც წარმოადგენდნენ პოეტისა თუ მისი მეგობრების ტრფობის საგანთ. დღეს ჩვენთვის, ცოტა არ იყოს, გაუგებარია ეს გრძნობები, მაგრამ თუ გავიხსენებთ ძველი ბერძნების ჩვეულებებს, მათ შეხედულებებს პლასტიურ ილამაზეზე, როგორ ეთაყვანებოდნენ მომხიბვლელობას

<sup>1</sup> თარგმანი ჩვენია — თ. კ.

და რა მიაჩნდათ მათ სრულყოფილ მშვენიერებად, შეიძლება დავ-  
ძლიოთ ჩვენი აღშფოთება. როგორც ჩანს, ძირითადად ყმაწვილკაცე-  
ბით გატაცება, ქალთა მიმართ პატივისცემის დაკარგვის შედეგი უნდა  
ყოფილიყო (იხ. ფრ. 58/98/, ფრ. 15/4/, ფრ. 54/87/ და სხვა).

იმ ქალთა შორის, რომელთაც პოეტი ახსენებს, როგორც ზემოთ  
აღვნიშნეთ, არიან ჰეტერები, რომელნიც შესანიშნავად ფლობენ დაკვ-  
რისა და ცეკვის ხელოვნებას. ცეკვა ალაგზნებდა და ამდიდრებდა ძველი  
ბერძენი ადამიანის სულს. ჰეტერათა დაკვრისა და ფერხულის გარეშე  
ნადიმი ნადიმად არ ითვლებოდა და ქეიფსაც უნო და ლაზათი აკლდა.  
იმ დროს მხოლოდ მათ ჰქონდათ მამაკაცთა თავშეყრილობებში მონაწი-  
ლეობის უფლება (იხ. ფრ. 41, ფრ. 51, ფრ. 32/48/).

ცნობილია ის ფაქტი, რომ ანაკრეონტი საოცარი ხელოვნებით  
ფლობდა ლირასა და პექტიდს. როგორც ვიცით, ჰომეროსის დროს იყე-  
ნებდნენ ჩვეულებრივ ოთხსიმიან მუსიკალურ ინსტრუმენტს, რომლის  
განვითარების შედეგად მივიღეთ კითარა და ფლეიტა (ავლოსი). კითა-  
რა იყო აპოლონის საყვარელი ინსტრუმენტი, ხოლო ფლეიტა დიონი-  
სეს ეკუთვნოდა. კითარის განვითარებამ მოგვცა მისი სახესხვაობა —  
ლირა, ხოლო ლირაზე დაკვრის ცოდნა სავალდებულო გახლდათ ყვე-  
ლა განათლებული ადამიანისათვის. საკრავის ორივე სახეობა გამო-  
იყენებოდა როგორც წმინდა ინსტრუმენტალური, ასევე ვოკალური შეს-  
რულებისათვის. ორივე ინსტრუმენტი დაიხვეწა მცირე აზიის კოლო-  
ნიებში. მათი განვითარების ძირები უნდა ვეძებოთ ძველ ელინთა და  
აღმოსავლეთის სამყაროს ურთიერთობებში.

აღსანიშნავია, რომ მდიდარი მუსიკალური ტრადიციების მქონე  
ბერძენი ხალხი ანაკრეონტს მიაწერდა „ბარბიტონის“ ანუ ბარბითის  
შექმნას, რაც შეიძლება სულაც არ იყოს რეალურ საფუძველს მოკლებუ-  
ლი.

ანაკრეონტი ბუნების თავდავიწყებული მოტრფიალვა. თავად ბუნე-  
ბაც ტკობის მიმნიჭებელია მისთვის. პოეტი შესანიშნავად გვიხატავს  
ბუნების სურათებს (იხ. ფრ. 7/6/, ფრ. 76/92/, ფრ 94/17/, ფრ.  
114/31 და სხვ.). მას ერთნაირად აღაფრთოვანებს მწვანე ველ-მინდორი  
თუ კამკამა ნაკადული, ტყვიისფერი ღრუბლებით დაჰმომებული ზეცა,  
თუ „ჰელიოს სხივთამფრქვეველი“, დაუნისა და ზეთისხილის ჭალათა  
შრიალი თუ მეწამული ფერის ტალღების რონინი, ვნების გამღვივებელი  
ნაზი სიო თუ ვარდებისა და ლოტოსების თავბრულამხვევი სურნელება.  
სწორედ ამიტომ უწოდებდნენ მას ძველი ბერძენები — „მუზათა საყვარ-

ელს“, „ტეოსის მომღერალს“, „საყვარელს“, „თაფლივით ტკბილსა“ და სხვა.

ანაკრეონტი წერდა ჰიმნებს, ელეგიებს, იამბებსა და ეპიგრამებს. შემორჩენილ ჰიმნებში არტემიდესა და დიონისესადმი ნაკლებადაა ლოცვა-ვედრების მომენტი. ყურადღება აქ სულ სხვა საკითხებისადმი გამახვილებული. ელეგიის თემას წარმოადგენდა ნათელი ცხოვრებით ტკბობის სურვილი და გრძნობათა მრავალფერადოვნების ასახვა. სამ-წუხაროა, რომ მთელი მისი შემოქმედება ფრაგმენტულადაა შემორჩენილი.

ყველასა და ყველაფერში სილამაზის მაძიებელი და მშვენიერების დიდი თაყვანისმცემელი პოეტისათვის მხოლოდ ის იყო „ლამაზი, რაც ნამდვილია“.

\* \* \*

ანაკრეონტის დიადმა პოეზიამ და პოპულარობამ განსაზღვრა მის სამშობლოში პოეტის მიმდევართა მთელი სკოლის შექმნა. ანაკრეონტულმა სტილმა გავრცელება ჰპოვა რომაულ პოეზიაშიც.

ანაკრეონტული პოეზია ყვაოდა პალესტინის ელინურ ქალაქებში და განსაკუთრებით ბიზანტიელებს შორის. აღორძინების ეპოქაში მან ფეხი მოიკიდა იტალიელთა კარზე. გავრცელება ჰპოვა საფრანგეთშიც, სადაც მისი ბედი მჭიდროდ დაუკავშირდა ფრანგულ ნეოკლასიციზმს.

მომდევნო საუკუნეებში პოეტის განწყობილებები, ემოციური ბუნება, მისი საუკეთესო თვისებები ლოთის, მოხუცებული შეყვარებულის დონემდე დაიყვანეს. ნელ-ნელა ჩამოყალიბდა მისი შერყვნილი და დამახინჯებული სახე. ამის მიზეზი კი უნდა იყოს ის გარემოებაც, რომ თითქმის დაკარგული ანაკრეონტის პოეზიის ნაცვლად, პოეტის შემოქმედებად ითვლებოდა მისი სახელით შეთხზული ე.წ. ანაკრეონტული ლექსები.

ანაკრეონტის ლექსების ისტორიასთან იმდენად მჭიდროდაა გადაჯაჭვული ისტორია ფსევდოკლასიკური ლირიკისა, რომ თითქმის შეუძლებელია მათი ერთმანეთისაგან გამოყოფა. ამავე დროს, ფსევდოკლასიკური ლირიკის განვითარებაში იმდენად არსებით როლს ასრულებდნენ ანაკრეონტის სიმღერები, რომ აუცილებელიცაა მათი მთლიანობაში შესწავლა. მნიშვნელობა ე.წ. „ანაკრეონტული ლექსებისა“ განისაზღვრება მათი ფორმისა და შინაარსის მიხედვით.

შინაარსით „ანაკრეონტული სიმღერები“ მიეკუთვნებიან ე.წ. მსუ-

ბუქ პოეზიას. მათში წინა პლანზეა წამოწეული უბრალო ადამიანური სიხარულით აღტაცება, სიყვარულით, ღვინით, სილამაზითა და ყველა მიწიერი სიამით ტკობა, ზერელე და მსუბუქი დამოკიდებულება ცხოვრებისეული სერიოზული საკითხებისადმი. ყოველივე ეს განსახდვრავდა ანაკრეონტული სიმღერების პოპულარობას. თავდაპირველად ისინი არ გამოირჩეოდნენ შაბლონურობით და პინდარეს მძიმე ოდებთან შედარებით, რაღა თქმა უნდა, ძალზე მსუბუქნი იყვნენ. ფორმები, რომელნიც პარმონიულად ერწყმოდნენ მათში ამღერებულ მოტივებს, განსახდვრავდნენ მათდამი დიდ ინტერესს.

„ანაკრეონტულ სიმღერებში“ უარყოფილია შრომა, ჭმუნვა, ზრუნვა და საერთოდ ყოველგვარი სერიოზულობა. სამაგიეროდ უმღერიან ვარდთა გვირგვინებით თავის შემკობას, სმას, ცკვასა და ტრფობაში თავდავიწყებას. მათ შორის ბევრია საინტერესო, ყურადღების ღირსიცა და იმდენად შესანიშნავი თავისი პოეტური ღირებულებით, რომ ალბათ თვით ანაკრეონტიც არ იტყოდა უარს მათ ავტორობაზე. მიუხედავად იმისა, რომ „ანაკრეონტეაში“ უმრავლესობა გამართულია ე.წ. „ანაკრეონტისებური“ საზომით, განსხვავება მაინც ძალზე დიდია. მათ არ ეტყობათ ერთი პოეტური ხელწერა და სტილი. რადგან ეს სიმღერები სხვადასხვა პერიოდებში იქმნებოდა, შეუძლებელი გახდა ერთიანი ანაკრეონტისებური სტილის დაცვა. ხოლო ზოგიერთი ლექსი თავადვე გვაუწყებს, რომ იგი ანაკრეონტის შექმნილი არაა (იხ. I/65/. 20/66/. 59). ერთგან პოეტი აგვიწერს, თუ როგორ ეწვია სიზმარში ანაკრეონტი და საკუთარი გვირგვინი უძღვნა და იმ წუთიდან თვითონაც სიყვარულის მონა გახდა. მეორე ლექსი იუწყება, რომ თუ ანაკრეონტის ტკილ პანგებს, საფოს საამურ სიტყვებს, პინდარეს სიმღერებს ერთ დიდ ფილაში განვაზავებთ და შევსვამთ, „მაშინ გამოცდი სამგვაროვან სიამეთ ერთად“. ანონიმი პოეტი მოუწოდებს ყველას, რომ მხოლოდ ანაკრეონტს უნდა მიბაძონ...

ანაკრეონტის მრისხანე და შეუბრალებელი ეროსი ამ ლექსებში მტირალა, ოქროსთმიან ბიჭუნადაა ქცეული. ანაკრეონტი თავადაც შიშით თრთოდა ეროსის ძლიერების წინაშე, აქ კი ეროსი პატარა ეშმაკუნაა, ამავე დროს შენარჩუნებული აქვს თავისი შეუბრალებლობაც, რითაც ადამიანთა გულებს ტკივილებით აღავსებს. ანაკრეონტის სული ნამდვილად ჩანს ამ ლექსებში, მხოლოდ ესაა, რომ იგი ძალზე ცალმხრივადაა გადმოცემული. თუ ისტორიას გადავავლებთ თვალს, „ანაკრეონტული ლექსები“ სრულიადაც არ მიგვანიშნებენ პოეტის

ცხოვრების რომელიმე გარკვეულ პერიოდზე. არც ხელწერაა მკაფიოდ გამოხატული და არც ის ჩანს, თუ როგორ გარემოცვაში უხდებოდა პოეტს ცხოვრება, თუ რა სიცოცხლე დუღდა და გადმოდუღდა მის გარშემო. ერთფეროვანია ლექსების ფორმაც...

ჩვენამდე მოღწეულია სამოცდაორი ლექსი, რომელთაც „ანაკრეონტული ლექსები“ ეწოდება. პირველად ველკერმა უარყო გავრცელებული აზრი ანაკრეონტის ავტორობის შესახებ, შემდეგ უფრო შორს წავიდა როსე. თუ ერთმა მხოლოდ ის შეამჩნია, რომ ზოგიერთი ლექსის ანაკრეონტისეულობა იყო საეჭვო, მეორემ ყველა ლექსი ანაკრეონტზე მიწერილად გამოაცხადა.

ჩვენთვის ხელმისაწვდომი და დღეისათვის არსებული ყველა ნაწყვეტი თავმოყრილია ბერგის მიერ 1882 წელს გამოცემულ წიგნში, რომელიც შემდეგ ხელახლა გამოიცა 1900 და 1912 წლებში. 1957 წ. ქალაქ რომში კიდევ ერთხელ გამოიცა „ანაკრეონტული ლექსები“.

კრებულში შეტანილი სიმღერები აქებენ ღვინის ღმერთს. მოუწოდებენ, რომ ცხოვრებისაგან თავგზაბნეული ადამიანი უმჯობესია ღვინოს დაეწაფოს და ვარდის ფურცლებით თავშემკული შეუერთდეს დიონისეს (იხ. 43/25/, 42/5/ და ა.შ.), რამეთუ პოეტის გული არ იცნობს შურსა და ავისიტყვაობას, ადვსილია სიყვარულით და მხოლოდ ქალწულებთან გართობა მიაჩნია უმაღლეს ნეტარებად. მას მხოლოდ მშვენიერი მცენარეებით დაფარულ ველ-მინდორზე სეირნობა იტაცებს, სადაც საამური ზეფირი რონინებს და ბარბითის ტკბილ ჰანგებქვეშ ცხოვრების მშვიდად განლევას ესწრაფვის მისი გული (იხ. 39, 40/42/). რადგან მოკვდავად დაბადებულმა აღსასრულის დადგომამდე —

უნდა ვიციხო, ვითამაშო და კვლავ ვიცაყო...  
და ვეთაყვანო ლიეოსის მშვენიერ ძალას.

38/24/

კაცი, რომელსაც არად უღირს კრეზოსის სიმდიდრე და ლოტოსისა და მირტის რტოებზე მისვენებული ზიარებია თავდავიწყებას (იხ. ფრ. 21/19/), თითქოსდა თავს იმართლებს, როდესაც ამბობს, რომ დედამიწა სვამს, სვამენ ხეები, თვით მზე და მთვარეც და ადამიანმა როგორ არ უნდა დალიოსო. პოეტი გვარწმუნებს, რომ ღვინოს მის სულში აღმაფრენა შემოაქვს; მოხუცს, რომელსაც სადაცაა ბედისწერა წაადგება თავს, ყველაზე მეტად შეეფერება ლიეოსითა თუ სხვა მიწიერი ცდუნებებითა და სიამით ტკობა. პოეტი სიამაყით აცხადებს, რომ „...თუმც მოხუცი ვარ, ახალგაზრდებს ვჯობივარ სმაში...“ (იხ. 45/38/).

სიყვარულის ღმერთთან ბრძოლა თითქმის მუდამ მარცხით მთავრდება, რადგან ეს პატარა მტირალა ბიჭუნა ყოველთვის ძლევს მასთან მებრძოლსაც და მისი სიბრალულით აღვისილ ადამიანსაც; მასთან უბრალთა ოქროცა და გვარიშვილობაც... მაშინაც კი, როცა პოეტის ატრიდებისა და კადმოსის სადიდებელი სიმღერის შექმნა სურს, ბარბითის სიმები ეურჩებიან და სიყვარულის სადიდებელ ჰანგებს აუღერებენ. არც ლარების გამოცვლა შველის საქმეს, ახალი სიმები კვლავაც სიყვარულზე იწყებენ მღერას (იხ. 23/1/). კრებულში გვხვდება მიძღვნილი სიმღერები მწერებისადმი, ფრინველებისადმი... მათში მოცემულია პოეტის თავისებური დამოკიდებულება სიყვარულისადმი.

ენა, რომელზეც ეს ლექსებია დაწერილი, ეკუთვნის საერთო იონურ მეტყველებას და არა ამ დიალექტის განვითარების რომელიმე გარკვეულ პერიოდს. „მაშინ როდესაც ნამდვილი ანაკრეონტის ნაწყვეტები დაწერილია იონურ დიალექტზე, ზოგიერთი ეოლიზმების ჩართვით... როგორც მეტრიკა, ისე ენაც ძალიან ნათლად გვიჩვენებენ, რომ კრებული შემდგარა სხვადასხვა დროს და ამასთანავე შედარებით უგვიანეს დროში დაწერილი ლექსებისაგან“<sup>1</sup>.

საზომი, რომლითაც ანაკრეონტული ლექსებია შექმნილი, წარმოადგენს კატალექტიკურ იამბურ ლექსს, ანდა ე.წ. დატეხილ იონურ დიპეტრს<sup>2</sup>.

ანაკრეონტი საფოსა და ალკეოსის საზომებს გარდა, ხშირად თავის საკუთარ საზომებსაც იყენებდა. პოეტი მიმართავდა გლიკონურ, ფერეკრატესულ და სხვა საზომთა კომბინაციებით ნაგებ სტროფებსაც<sup>3</sup>.

ანაკრეონტისეულ სალექსო სტრიქონებში გვხვდება სხვადასხვა შეერთებანი დაქტილთა, ანაპესტთა იამბებთან და ქორეებთან.

ანაკრეონტული სიმღერების უმეტესობა გამართულია „დატეხილი ანუ საკუთრივ ანაკრეონტისეული საზომით“, რასაც გრძელი და მოკლე მარცვლების არათანაბარი /არარეგულარული/ მონაცვლეობა ქმნის.



<sup>1</sup> გ. შ. წერეთელი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ეპოსი, ლირიკა, ტფილისი, 1927, 303.

<sup>2</sup> — — — — — ; — — — — — ;

<sup>3</sup> ა. უ რ შ ა ძ ე, ბერძნულ-რომაული და ქართული მეტრიკის საკითხები, თბილისი, 1980, გვ. 85.

მაგალითისათვის მოგვაქვს ამ საზომით დაწერილი ანაკრონტიკის ერთ-ერთი ლექსი:

Ἰὲρ ἕδαρ, φέρ' οἶνον, ἄ παῖ,  
φῆρε <δ> ἀνθεμῆσιν ἡμῖν  
ζευφύσους, ἐνεικον, ἄσ δῆ  
πρὸς Ἐρωτα πυχταλίζα

ფრ. 38/27/

რომაული პერიოდიდან მოყოლებული, ანაკრონტიკის ლექსები ფართო მასების ინტერესის ცენტრში ექცევიან...

აღორძინების ეპოქაში მისი პოეზია გავრცელდა და თავისებური პოპულარობით სარგებლობდა იტალიაში, საფრანგეთში... უდარებდნენ რა ჰინდარეს მძიმე ფორმებს, ანაკრონტიკის ლექსების უბრალოება და სულისათვის ერთობ მისაღები იდეალები, პოეტისადმი დიდი აღფრთოვანებით განაწყობდათ. ყოველივე ეს ხდებოდა სწორედ მაშინ, როდესაც პინდარული პოეზია დიდ აღმავლობას განიცდიდა.

ბუნების სურათების თვალწარმტაცმა აღწერამ, მთელი პოეზიის გრაციოზულობამ განაპირობა ყოფილი პინდარისტის — რონსარის დიდი აღტაცება. იგი იძლენად აღფრთოვანდა ანაკრონტიკით, რომ თავის ერთ-ერთ ლექსში გადაწყვიტა ოქროს თასის აწევა ანრი ეტიენის პატივსაცემად, რომელმაც 1554 წელს პირველად გამოსცა ანაკრონტიკის ლექსთა კრებული (editio princeps). შემდეგი გამოცემელი იყო ფრანგი ქალი დასიე. იგი წიგნის შესავალ წერილში წერდა, რომ შესაბრალისია ყველა, ვინც არაა ზიარებული ბერძნულ ენასა და ლიტერატურას, რაიც ყველაზე საუკეთესოა კაცობრიობის ისტორიაში. ქალბატონი დასიეს აზრით, ანაკრონტიკის პოეზია არ ჩამოუვარდება პომპროსისას, რომელიც მუდამ აგვიწერს დიდსულოვანსა და წმინდას, რაც ასუვე საოცარი შშვენეირებითაა მოცემული ანაკრონტიკის პოეზიაშიც. რონსარს მიაჩნია, რომ ანრი ეტიენმა „დააბრუნა დავიწყების ბურუსიდან ტკბილი მუზა ტეოსელი ანაკრონტიკისა“.

პინდარიზმი, რომელიც არ იძლეოდა პირადი გრძნობების განვითარების საშუალებას, შემოსაზღვრული იყო უკვე ერთხელ და სამუდამოდ დაკანონებული ფორმებით. სწორედ ამიტომ მიატოვა რონსარმა პინდარული მიმართულებანი პოეზიაში და გაემართა მხიარულებისა და თავდავიწყების მომდერალის გზით.

XVIII ს-ის 30-40-იანი წლების ფრანგულმა ანაკრონტიკულმა ჟანრმა თავისთავად დიდი გავლენა მოახდინა გერმანელ პოეტებზე. ანაკრე-



ონტულმა ურითმო ლექსებმა ყველაზე დიდად გაუთქვეს სახელი გერმანელ პოეტს იოჰან გლიმს. იგი ანაკრეონტული მოძრაობის ბელადად იქნა აღიარებული.

ბუალო ზრუნავდა ანტიკური კლასიციზმის აღორძინებისათვის. მისი აზრით პოეტურად მაღალი დონის იყო ის ნაწარმოები, რომელიც გამოირჩეოდა სიუჟეტის მნიშვნელობითა და ენისა და ფორმების შესაბამისი სიმკაცრით. მშვენიერება არაფერია სინამდვილის გარეშე. ბუნება მშვენიერებაა... ე.ი. ნამდვილია, მაგრამ მარტო მისი მიბაძვა არაა საკმარისი. აუცილებელია აზრის სიწმინდე და სიცხადე. როგორც ვიცით, ნეოკლასიციზმი პოეზიის დანიშნულებას არ შემოსაზღვრავდა მხოლოდ გართობით და მას უსახავდა მაღალ, სერიოზულ მიზნებს. ცხადია, რომ პინდარულ პოეზიასთან შედარებით ღარიბი შინაარსის ანაკრეონტულ ლექსებს არ შეეძლოთ ლიტერატურაში ისეთივე ადგილის დაკავება. მიუხედავად ამისა, მათ შეძლეს ფართო საზოგადოების დაინტერესება და არა მარტო დაინტერესება... მიხედი გახლდათ ის, რომ ანაკრეონტულმა ლექსებმა თავიანთი უბრალოებით და არა ხელოვნურობით შეძლეს ბერძნული სულის გაშუქება.

თავისთავად ცხადია, რომ ანაკრეონტით დაინტერესდებოდა რუსული ლიტერატურული საზოგადოებრიობაც. და აი, XVIII ს-ის პირველი ნახევრიდან რუსმა ლიტერატორებმა გაიცნეს და შეიყვარეს ანაკრეონტის პოეზია. ეს ის პერიოდია, როდესაც ჯერ კიდევ არაა ერთმანეთისაგან განსხვავებულ-განცალკევებული ორიგინალური და ანაკრეონტის მიბაძვით დაწერილი ლექსები.

პირველად რუს საზოგადოებას ანაკრეონტის შემოქმედება ანტიოხ დიმიტრის ძე კანტემირმა გააცნო. მან ანაკრეონტი თარგმნა 1732 წელს. იგი ამ დროს ლონდონში ცხოვრობდა. საფიქრებელია, რომ კანტემირმა, რომელმაც ბრწყინვალედ იცოდა ბერძნული (იგი დედიტ ბერძენი იყო და ოჯახშიც ბერძნულად ლაპარაკობდნენ), ქალბატონი დასიეს თარგმანით იხელმძღვანელა და ლექსებიც მისეული თანმიმდევრობით დააწყო... ეს თარგმანი იმ პერიოდში არ გამოქვეყნებულა<sup>1</sup>. იგი კარგახანს შემორჩა ხელნაწერის სახით და პირველად დაიბეჭდა მხოლოდ 1867 წელს, როდესაც გამოიცა ა. დ. კანტემირის თხზულებანი კ. ეფრემოვის რედაქციით.

<sup>1</sup> იხ. В.Г. Белинский, Собрание сочинений, Т. II, Москва 1948, ст. 748.

შემდეგ პარიზიდან დაბრუნებულმა ტრედიაკოვსკიმ ჩამოიტანა ანაკრეონტული ლექსები და საზოგადოებას გააცნო ბუალოს ტრაქტატი პოეტის შესახებ — ფრანგულ ლიტერატურაში გავრცელებული აზრი, რომ ძველის მიბაძვა არაა სამარცხეინო.

ანაკრეონტულმა პოეზიამ განსაკუთრებით მოიკიდა ფეხი რუსულ ლიტერატურაში მას შემდეგ, რაც ლომონოსოვმა თარგმნა და მისი მიბაძვით დაწერა თავისი მშვენიერი ლექსები.

ეს იყო პერიოდი, როცა რუსეთის სამეფო კარზე დიდი გავრცელება პოვა სალონურმა პოეზიამ. ლომონოსოვს არ შეეძლო გულმშვიდად შეხვედროდა პოეზიაში მსუბუქი, ეროტიული მოტივების გამეფებას მაშინ, როდესაც შემოქმედთა წინაშე უნდა მდგარიყო სრულიად სხვა მიზნები და ამოცანები. რეალურად არსებული ცხოვრებისადმი ასეთი დამოკიდებულების გამო შეიქმნა ალბად მისი „საუბარი ანაკრეონტთან“. ეს ნაწარმოები, როგორც თავისი ფორმით, ასევე შინაარსით გახლდათ სრულიად ახალი სიტყვა რუსულ ლიტერატურაში. ლომონოსოვის „საუბარი ანაკრეონტთან“ ავტოგრაფიული ხასიათისაა. მას მიაჩნია, რომ მუზა უნდა იყოს ნაციონალური და ხალხს უნდა ემსახურებოდეს. ლომონოსოვი ბოლომდე დარჩა ანაკრეონტული ჟანრის მოწინააღმდეგედ. იგი ლაპარაკობდა არა ანაკრეონტთან, არამედ რუს ხალხთან იმაზე, რაც ყველაზე უფრო მეტად აუცილებელი და საჭირობოტოა — ესაა სამშობლოს სიყვარული.

XVIII ს-ის რუსული ფილოლოგიური კრიტიკა ჯერ კიდევ არ უყურებდა ეჭვის თვალით ანაკრეონტის სიმღერათა ორიგინალობას. ამიტომაც დიდი იყო მისდამი ინტერესი, თუმცა ლიტერატურის ზოგიერთი თეორეტიკოსი არ იყო მასზე მაღალი აზრისა. ანაკრეონტის პოეზიას პინდარეს პოეზიასთან შედარებით, ბევრად დაბლა აყენებდნენ. და მაინც, საზეიმო ოდების მძიმე შინაარსი განაპირობებდა ანაკრეონტული მსუბუქი მოტივებით გატაცებას. სწორედ ამიტომ იყო, რომ ანაკრეონტულ პოეზიას ერთგვარად დაეკისრა სხვა მიმდინარეობებთან ერთად XVIII ს-ის რუსული ლიტერატურის განთავისუფლება საზეიმო, რთული ფორმებისაგან. საგულისხმოა ისიც, რომ ამ წყაროთი სარგებლობდნენ მთელი თაობები პოეტებისა, მათ რიგებს მიეკუთვნებიან ხერასკოვი, ლვოვი, დერჟავინი, ვინოგრადოვი, გნედიჩი, მარტინოვი და სხვანი მრავალნი, ხშირად ანონიმური ავტორებიც კი. ეს ლექსები იბეჭდებოდა XVIII საუკუნის სხვადასხვა ჟურნალებში.

XIX ს-ის დასაწყისში, 1801 წელს მარტინოვმა გამოსცა ლექსად

თარგმნილი ანაკრეონტის შემოქმედება, რომელიც ხელმეორედ გამო-  
იცა 1829 წელს.

საერთოდ, ანაკრეონტისა და ანაკრეონტეას ლირიკის ერთ-ერთი  
პირველი მთლიანი თარგმანი გამოიცა სანკტ-პეტერბურგში 1794 და  
1798 წლებში. იგი ეკუთვნის ნ.ა.ლვოვს. ამ თარგმანისათვის მას პწკა-  
რედი და კომენტარები გაუკეთა რუსეთში გადმოსახლებულმა ცნობილ-  
მა ბერძენმა არქიეპისკოპოსმა ევგენი ბულგარმა (1715-1806).

XIX ს-ის გამოცემებიდან საყურადღებოა 1833 წელს საიმპერატორო  
აკადემიის მიერ გამოცემული დიდი ნაწილი ანაკრეონტული სიმღე-  
რისა, რომელთა მთარგმნელი გახლდათ ელიზავეტა კულმანი. გამოქვე-  
ყნდა რამდენიმე ლექსის თარგმანი ლ.მეისა, ხოლო 1861 წელს კი ბაჟე-  
ნოვისა. 1863 წელს კვლავ გამოვიდა ლ.მეის თარგმანი, შემდეგ 1888  
წელს ვოდოვოხოვის...

თავისი შემოქმედების აღრეულ ხანაში ანაკრეონტით დიდად იყო  
გატაცებული პუშკინი, რამაც დიდი კვალი დაამჩნია მთელ მის შემოქ-  
მედებას.

რუსულ ენაზე იბეჭდებოდა სტატიები, რომელთა შორის საყურად-  
ღებოა 1857 წელს „სოვრემენიკის“ მერვე ნომერში ვოდოვოხოვის  
მიერ გამოქვეყნებული გამოკვლევა.

ქართველ მწერალთა შორისაც იყვნენ ანაკრეონტის თაყვანისმცემ-  
ლები. ანაკრეონტის აშკარა გავლენა შეიმჩნევა ბესიკის შემოქმედებაზე.  
ეტყობა, სპარსული ენისა და მწერლობის გარდა, ბესიკი კარგად  
იცნობდა ანტიკური ხანის მწერლობას.

მეტად საყურადღებოა ალექსანდრე ჭავჭავაძის მიერ თარგმნილი  
„ლექსნი ანაკრეონტულნი“. იგი ასე იწყება:

როსმე კუპიდონ გუჯითგან თაფლისა მღებო

წყნარადა,

ერთმა ბოროტმან ფუტკარმან დაისრა შეუწყალადა.

პაწაწა ღმერთი კოდილი,

თით-ტკინებული, ლმობილი,

ხელს პბერავს, ფერხს კსცემს მიწასა,

მაგრამ რას არგებს შით წვასა?...<sup>1</sup>

საფიქრებელია, რომ ანაკრეონტით გატაცებულ ალექსანდრე  
ჭავჭავაძეს მარტო ეს ლექსი არ ექნებოდა გადმოქართულებული.

ქართველ პოეტს ანაკრეონტის მსგავსად ღვინისა და სიყვარულის მომღერლად თვლიდნენ.

პეტრე უმიკაშვილი წერს, რომ „ჩვენს პოეტს ანაკრეონტული ლექსების გარდა, აქვს შეტად ღრმა სევდით გამსჭვალული ლექსებიც— მოქალაქური და მამულიშვილური“<sup>1</sup>.

ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებაში აშკარად შეიმჩნევა ტეოსელი მგოსნის გავლენა. ასეთ ლექსებს მიეკუთვნებიან: „კუბიდონის ადრიატზე“, „შექცევათათვის“, „გუთნის დედა“, „დიდმარხვაში“, „ღიმილმან კარი ლალისა“ (შდრ. 8, 9, 32, 39, 40, 41, 46 და ა.შ.).

ანაკრეონტი უმღეროდა დღევანდელ დღეს, ცოცხლობდა აწმყოთი და ხარბად ისრუტავდა ყოველდღიური ცხოვრების ნექტარს:

მე დღევანდელი დღით ვცოცხლობ  
ვინ უწყის ხვალე  
თუ რას მოგვიტანს დღე ახალი...  
რით შეგვაშფოთებს.

/ანაკრეონტეა 8/

ამ ლექსის გამოძახილად უნდა ჩაითვალოს ალექსანდრე ჭავჭავაძის შემდეგი სტრიქონები:

ღიმილმან კარი ლალისა  
განაღო გამჭვირვალისა,  
დღეს ესე მემარის სიმღიდრედ,  
ხვალემ იზრუნოს ხვალისა.

ანაკრეონტის ცალკეული ლექსები აქვთ თარგმნილი გობრონ აგარელს, რომან მიმინოშვილს,<sup>2</sup> გიგლა სარიშვილს<sup>3</sup>.

\* \* \*

ტექსტზე მუშაობისას ჩვენ ძირითადად ვეყრდნობოდით ბრუნო ჯენტილის გამოცემას. მასთან შევაჯერეთ ბერგკის, დილის, პეიჯისა და ედმონდის გამოცემები. ხოლო ანაკრეონტული ლექსები ბერგკის

1. ა. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, თბილისი, 1940, LXX;

2. რ. მიმინოშვილი, ელადის მუზა, თბილისი, 1963, 113;

3. გ. ს ა რ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ბერძნული ლირიკა, თბილისი, 1978, 47;

მიხედვით გვაქვს დამუშავებული და დალაგებული.

ანაკრეონტის ლექსთა თარგმნისას ზოგჯერ ვახდენდით შედარებით ბუნდოვანი ადგილების უმნიშვნელო აღდგენას. საერთოდ, რამდენადაც პოეტის ნაწარმოებები გამოირჩევიან ტონთა საოცარი სინაზით, ფერთა სიუხვითა და მხოლოდ ანაკრეონტისათვის დამახასიათებელი მსუბუქი უბრალოებით, მათი ქართულად ამეტყველებისას დიდ სიმძნელებთან გვქონდა საქმე.

ანაკრეონტის ძრავალფეროვანი საზომების ქართულად გადმოტანისას ჩვენ გავითვალისწინეთ ქართული ლექსის ბუნება, რომლისთვისაც უცხოა მელიკური საზომები. შევეცადეთ დაგვეცვა მაქსიმალური სიზუსტე, რათა არ დარღვეულიყო სიახლოვე თარგმანსა და დედანს შორის. ამავე დროს, ამოსავალ წერტილად მივიჩნიეთ, თუ როგორი მოსასმენი იქნებოდა ტეოსელი პოეტის შემოქმედება ქართულ ენაზე და რამდენად მისაღები ქართველი მკითხველისათვის. ჩვენ მიერ გამოყენებულ საზომებში შევეცადეთ შეგვენარჩუნებინა ავტორისეული სული და უღერადობა. თუ რამდენად გავართვით თავი ჩვენ წინაშე დასახულ ამოცანას, ამის განსჯა მიგვიჩნდება მკითხველისათვის, რომელიც პირუთვნელი მსაჯულია მუდამ.

და ბოლოს, დიდ მადლობას მოვახსენებთ ბერძნულ-ლათინური ბიბლიოთეკის სარედაქციო კომისიას ჩვენდამი გაწეული დიდი დახმარებისათვის.

#### ლიტერატურა

- წერეთელი გ. ფ. ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1927.  
წერეთელი გ. ფ. ანაკრეონტი, კავკასიონი № 3-4, თბილისი, 1924.  
ყაუხჩიშვილი ს. ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1950.  
ურუშაძე ა. ბერძნულ-რომაული და ქართული მეტრიკის საკითხები, თბილისი, 1980.  
ბერაძე პ. ძველი ბერძნული და ქართული ლექსთწყობის საკითხები, თბილისი, 1969.  
გაწერელია ა. ქართული კლასიკური ლექსი, თბილისი, 1953.  
გაწერელია ა. რჩეული ნაწერები, ტ. III/1/, თბილისი, 1981.  
გორგაძე ს. ქართული ლექსი, თბილისი, 1930.  
ბესიკი ლექსები, ოდები და პოემები, თბილისი, 1948.  
ჭავჭავაძე ა. თხზულებანი, თბილისი, 1940.

- Алексеев В. А., Древнегреческие поэты в биографиях и образцах, СПб, 1895.
- Белинский В. Т., Критическая история /А.Д.Кантемир/, Соч. Т. II, М. 1948.
- Боженков, Собрание сочинений и переводы, Т.2, СПб 1861.
- Буало, Поэтическое искусство, М., 1957.
- Вересаев В. В. Эллинистские поэты, М., 1963
- Водовозов, Переводы в стихах и ориентальные стихотворения, СПб, 1888.
- Голоцковкер Я. Э. Лирика Древней Эллады, М.-Л 1935
- Денсов А. Основания метрики у древних греков и римлян, М., 1888.
- Дератани Н. Ф. и Хрестоматия по античной литературе, Т. I. М., 1949.
- Тимофеева Н.А.
- Зелинский Ф.Ф. Древнегреческая литература эпохи независимости, Ч. II. Пг. 1920.
- Кондратьева С.П. Античные поэты об искусстве, Л., 1938.
- Ломоносов М. В. Стихотворения, Л., 1935.
- Ниландер В. О. Греч.лит. в избранных переводах, М., 1939.
- Церетели Г.Ф. История греческой литературы, Т. Iа, Образцы эпической и лирической поэзии. Т., 1927

История греческой литературы, под. ред. С.Н. Соболевского [и др.], Т. I, М.-Л., 1946.

- Bergk T. H., Poetae lyrici Graeci III, Leipzig 1882
- Diehl E., Anthologia lyrica Graeca, I Leipzig 1965
- Edmonds I.M., Lyra Graeca, II London 1958
- Bowra C. M., Greec Lyric Poetry, 2 ed. Oxf. 1961
- Hiller L. Crusius, O. Anthologia Lyrica, 1911
- Gentili Br. Anacreon, Edizioni dell'Ateneo Roma 1958
- Welcker Kleine Schriften, I. Bonn 1894
- Lesky A., Geschichte der griechischen Literatur, Bern und München 1971
- Page D. L., Poetae Melici Graeci, Oxf. 1962.
- Müller I., Metrik der griechen und Römer, Leipzig 1880.
- Crusius, Römische Metrik, München 1929.

Anacreontica ed. Gigante, Roma 1957



ს ნ ს კ რ ე მ ნ ტ ი



ეროსი, დიონისე და მენადა  
V ს. ჩვ. წ. აღ-მდე





### ფრ. 1

პოი, ირმეზხე მონადირევ, მუხლს ვიდრეკ შენს წინ,  
ოქროსფერ თმებით შემკობილო ზევისის ასულო,  
ნადირთმფარველო არტემიდევ,  
მოდო, მოაპყარ მწყალობელი ეგ შენი მზერა  
სწორუპოვარი ვაჟკაცების მტკიცეზღუდოვან  
ქალაქს — მდებარეს ლეთეოსის მდინარეგბასთან,  
რამეთუ მწყემსი  
შენ ხარ მორჩილ მოქალაქეთა.

### ფრ. 2

იგი კვლავ კენწლავს  
იელისელთ მუქფარიანთა...

### ფრ. 3

ო, გამომძლარი სამეზის  
სმერდიე...

### ფრ. 4

არ ვისურვებდი არასოდეს ამაღლეთას რქას,  
არც საუკუნენახევარი მორჭმით მეფობას  
ნეტართა ქალაქ ტარტესოსში.

### ფრ. 5

ო, კლეობულევ, მიყვარხარ ძლიერ,  
კლეობულესთვის გავგიჟდე ლამის,  
ო, კლეობულევ, შეგჭამე თვალით.

ფრ. 6

შენ ფიქრობ თუერმე ლეკვიპეხე...

ფრ. 7

პოსეიდონის დადგა თვე და  
დამძიმდა ძლიერ ღრუბლებში წყალი...  
და საშინელი ბობოქრობით, ველურ ხმაურით,  
ქარიშხალს იგი დაბლა ჩამოჰყავს.

ფრ. 9

არცა ერთგულ ვარ ქალაქელთათვის,  
არცა გულთბილი...

ფრ. 10

მწვერვალებიდან ვუჭკრეტ

ფრ. 11

არც ჩემს ნახ დას

ფრ. 12

შენ ჩემთვის შეუცვალი ხარ.

ფრ. 13

მე ერთხელ ბურთი მეწამული ფერის მესროლა  
ოქროსთმიანმა  
ეროსმა და კვლავ სათამაშოდ,  
    ჭრელსანდლებიან გოგონასთან ცეკვად გამიხმო.  
მაგრამ ქალწულმა,  
ამ მდიდარი ღესბოსის შვილმა,  
ჩემს ჭადარა თმებს გადახედა დაცინვის თვალით



გონა უკრავს ხალიმურზე  
წითელფიგურიანი ვახის ღეტალი  
430 წ. ხვ. წ. აღ-მდე

და მერმე სხვისკენ მიტრიალდა და გაულიმა.

#### ფრ. 14

ო, მბრძანებელო, შენ, ყრმა ეროსი,  
ყორნისფერთვალა ნაზი ნიმფები  
და აფროდიტე ძოწითმოსილი  
თავს ირთობთ ერთად. გთხოვ გადმომხედო  
უმაღლესი მთის მწვერვალიდან მლაღადებელს და  
მავედრებელს მუხლმოყრით შენდა, მოწყალედ მექმენ,  
მომეკვლინე ჩემთა თვალთა წინ და აწ განცხრომით  
მოისმინე მუდარა ესე...  
გთხოვ, კლეოპულეს სანუკვარი რჩევით მიმართო,  
აღმოუცენო სიყვარული ჩემდამო წრფელი,  
ო, დიონისევ, ყურად იღე ვედრება ჩემი.

#### ფრ. 15

ყრმაო, შენა გაქვს გამოხედვა ნაზი ქალწულის  
დაგეძებ, შენ კი დაგიხშვია ჩემდამო სმენა,  
თუმცა არც იცი,  
ვით მართავ ჩემს სულს...

#### ფრ. 16

... და მრავალგზისად ზეცით მგრგვინავი  
დიონისე...

#### ფრ. 17

ჰოი, ნეტავი საით აფრენ...  
ამ მკერდს, რომელიც თვით სალამურზეც უფრო არის  
გულგამოხრული,  
ნელსაცხებელით დაზელილო...

#### ფრ. 18

კაბაწამოხდილი

### ფრ. 19

ათი თვე არის, რაც მოწყალე მეგისტე მხოლოდ  
თაფლივით მაჭარს ეწაფება თავშემკობილი  
ტირიფის რტოთა გვირგვინებით...

### ფრ. 20

ხელავ, სახელიც გამიტეხე ჩემს მეზობლებში...

### ფრ. 21

თურმე კუნძულზე აჯანყების წამქეზებელნი,  
მეგისტევე, წმინდა ქალაქს მართავენ...

### ფრ. 22

ჩემს სიტყვათ გამო ვეყვარები მუდამ ყმაწვილებს  
რამეთუ ძალმიძს ამოდ მღერა და საუბარი...

### ფრ. 23

მწყურია ერთად გავატაროთ ახალგაზრდობა,  
რადგან ტკბილი გაქვს ბუნება და ზნეც მაღლიანი...

### ფრ. 24

სუფთა სასმისში ხუთი წილი სამს შეურიონ...

### ფრ. 25

და დამცხო ურო, ვით მჭედელმა ეროსმა კვლავაც  
და გადამაგდო მთის მშფოთვარე ნაკადში უცვბ.

### ფრ. 26

რბილი თმებიდან შენ მოსწყვიტე ყვავილი ნაზი

### ფრ. 27

იბრძვიან არამზადები კარიბჭის მცველთან...

### ფრ. 28

მიცქერი რიდით, ვით ძუძუთა პაწია ნუკრი,  
რომელიც ტყეში ჩამოშორდა ფურ-ირემს უცებ  
და სართის მარტოკა.

### ფრ. 29

სიკვდილი უნდა მომეველინოს, რადგან სხვაგვარად  
ხსნა ამ ტანჯვათგან არ მექნება...

### ფრ. 30

შუბლშემკობილთა ნიახურის ციცქნა გვირგვინით  
მო; ვიზეიმოთ დიდებული დღესასწაული  
დიონისესთვის...

### ფრ. 31

და სიცილიურ კოტაბოსში მოხრით ისხმება...

### ფრ. 32

ნაზად მროკავნი დიონისეს ბასარიდები...

### ფრ. 33

მწყურვალი ვარ, სურნელოვან ღვინით  
აზარფეშა მომაწოდე ყრმაო,  
შეურიე ათი წილი წყალი  
მარტოოდენ ხუთ ფიალა ღვინოს,  
მინდა შევსვა ასე მშვიდად, წყნარად,  
მორიდებით ხოტბა ვუძღვნა ბახუსს.



კოვანა დიქისა  
კლეფონის მიერ მოხატული კვანა  
430 წ. სვ. წ. აღ-მდე

ვინადიმოთ, მაშ, ამივსე თასი,  
მე არ მიყვარს ღრეობა და ჩხუბი,  
რაც ჩვევად აქვთ ლოთობისას სკვითებს,  
/მე კი ქვეყნად რას არ დავივიწყებ/  
ოღონდ ამო სიმღერის დროს მასვი...

ფრ. 34

...ტანტალეს ტალანტი

ფრ. 35

ეროსისაგან თავდაღწეული  
პითომანდროსთან კვლავ შევეფარე

ფრ. 36

გავჭაღარავდი...  
გამითეთრდა თმაც უკვე თავზე...  
და მომხიბლავი სიჭაბუკეც წავიდა, გაქრა,  
თითქმის დამცვივდა კბილები და  
სიცოცხლე ტკბილი  
არ დამრჩა ბევრი.  
ამიტომაც ვქვითინებ მწარედ...  
მაშფოთებს ძლიერ ტარტაროსი... რადგანაც მღვიმე  
საზარელია ჰადესისა... დაუსაბამო,  
საბედისწერო არის მისკენ მიმავალი გზაც...  
და იქ ვინც ერთხელ ჩაეშვება, ცხადია იგი  
კვლავ ვერასოდეს ვერ იხილავს სინათლეს  
დღისას...

ფრ. 37

მსურს ძვირფას ეროსს,



ყვაილებით შემკულს ვუმღერო,  
გვირგვინნი მრავალფეროვანნი ამშვენებს ვისაც,  
იგი ხომ ღმერთთა მბრძანებელი არის და თავად  
კაცთა მოღვმასაც მხოლოდ იგი ათვინიერებს...

**ფრ. 38**

მომიტანე ვაჟო წყალი, ღვინო,  
ყვაილებიც მომიტანე ჩქარა,  
გვირგვინებით მსურს მოვიერთო თავი  
და ხელდახელ შევებრძოლო ეროსს.

**ფრ. 39**

და გაიტაცა დიდი საგანძური

**ფრ. 40**

ახალგაზრდობა და ჯანმრთელობა

**ფრ. 41**

ზურგს კი გაწკეპილს...

**ფრ. 42**

მეც კი მიწიერი სიზმარი

**ფრ. 43**

.....მიძღვენი, ჩემო საყვარელო,  
ეგ მშვენიერი თეძოები...

**ფრ. 44**

ამიერიდან გარყვნილი... და დამცხრალი ვხდები  
და მიზეზია ყველაფრისა ეგ ავხორცობა

**ფრ. 45**

არ ჩაურაზავს მას კარები ურდულით თუმცა,  
მაინც უშიშრად და წყნარად სძინავს...

**ფრ. 46**

მიყვარს და თითქოს არც მიყვარს კიდევ,  
ხელი ვარ... თითქოს არცა ვარ ხელი...

**ფრ. 47**

მერმე მე კვლავაც გამიყრია კარიელების  
ნაკეთებ ფარის სახელურში ხელი...

**ფრ. 48**

ვითა ზღვის ტალღა  
ძალიან ბევრს ნუღარ იყბედებ  
სიცოცხლით სავსე და მხიარულ გასტროდორესთან,  
როცა უხვად სვამ, ეწაფები ღვინის ფიალას.

**ფრ. 49**

ვისაც სწადია ცხარე ბრძოლა  
დაე, იბრძოლოს...

**ფრ. 50**

ო, მეტისმეტად მშორდები...

**ფრ. 51**

შენ კი მეტად ბევრს  
მოსწონხარ ძლიერ.

**ფრ. 52**

სასიამოვნო სტუმართ მსგავსნი ხართ,

გჭირდებათ მხოლოდ ჭერი და ცეცხლი...

**ფრ. 53**

იყო დრო როცა მილეტელნი იყვნენ მაძაცნი...

**ფრ. 54**

საძინებელში, სად არ შეირთო,  
არამედ თავად იყო შერთული...

**ფრ. 55**

არ არს რაიმე შესაფერი შენი სულისად,  
მაინც მოგელი...

**ფრ. 56**

არ მიყვარს [კაცი] ნადიმისას, როცა კრატერით  
ღვინოს სვამს, ცხარობს და ბრძოლებზე ცრემლისღვრით  
ყვება,  
არამედ ვინაც მუზებსა და ლამაზ საჩუქარს  
აფროდიტესას გამახსენებს ამოდ მომლხენი...

**ფრ. 57**

მე კი, მე, ღვინის მსმელი გავხდები...

**ფრ. 58**

უკვე არ ვაქცევ ყურადღებას ამ თრაკიელ ბიჭს.

**ფრ. 59**

რა საჭიროა მწუხარება...

ფრ. 60

არცა.....

საშიში გაქვს სხვისადმი ზრახვანი იგი,  
ყმაწვილთა შორის შენ ყველაზე პირმშვენიერო.

---

და მიაჩნიათ შინაურებს, რომ თურმე დედა  
შენ განებვირებს უფრორე მეტად,  
და ჰა, იზრდები ნებიერი და ლაღად მწყემსობ.

---

მიწას იისფერს, იაცინთისებურს და წარმტაცს,  
სადაც ღვთიურმა აფროდიტემ ლამაზ ალვირით  
ცხენნი დააბა

---

.....და მერმე, თურმე  
შენ შუაში თავს ესხმი ხალხს და  
ასე მრავალი მოქალაქე სულით ეგზნება..

---

შარახვეტია ჰეროტიმე...

ფრ. 61

მეგობარი ხარ.

ფრ. 62

.....

როგორც ტკბილი და...

---

მაგრამ წარმტაცი.....  
საჩუქარი არის  
პიერიღების...

---

და ქარიტებს...

---

ფრ. 63

.... ღია ცისფერი ზღვა?

მთელ ღამეს ვფრენდით, ვისწრაფოდით:  
დამტოვებელი კი თევზმრავალთა  
ოქროს ჯიღოსან პალადისა...  
შორს...  
ყვავილებს.....  
მაღალი სასახლე კი...

### ფრ. 65

ახლა ვუსწორებ თვალს მოჩხუბარს მძლავრი მუშტებით  
და თავს ვწევ მაღლა სიამაყით...  
მრავალ წყალობის მოვალე ვარ,  
თავდაღწეულმა ეროსისგან.....  
ო, დიონისევ, განვიშორე ბორკილი მძიმე,  
შუქმოციმციმე აფროდიტემ როს შემივრდომა  
დე, მომიტანდე ღვინოს თასით.....  
და წყალს ჩუხჩუხას.....  
და მერმე კიდევ მიბრძანებდეს .....  
წყალობა, ღირსი.....

### ფრ. 66

.....  
.....სიცოცხლე.....

### ფრ. 68

.....  
აფროდიტე.....

### ფრ. 71

და თმისა, რაიც ჩრდილავდა  
შენს მშვენიერ ყელს...

---

ახლა კი [ვხედავ] კოტორა ხარ

და შემუსრული უწმინდურ ხელით  
შენი თმები შავ.....  
მტკერშია დაყრილი ერთად.....

---

და კადნიერი კვეციით რკინისა.....  
დაფენილია ირგვლივ იგი. მე ტკივილებით  
კვლავ ვიტანჯები. ვიცოდე ნეტავ ის რასა იქმს  
სირაკიელისგან ვინც აროდეს არაფერს ელის.....

### ფრ. 72

მესმის, რომ ფიქრობს  
საწყლად ქალი იმაზე, რაიც  
ნათელი არის... და ხშირადაც უთქვამს, რომ ბრალს  
დებს  
იგი საკუთარ ღვთაებას მხოლოდ.....

---

ჰოი, რა კარგი იქნებოდა ჩემთვისვე დედა,  
რომ წამიყვანდე აზავთებულ მღელვარე ზღვასთან,  
გადამაგდებდე მის მეწამულ ფერის ტალღებში  
ვითა სამსხვერპლოს...

### ფრ. 74

მისმინე მოხუცს მშვენიერი თმებით შემკულო  
ქალწულო ქალო, ვინც ატარებ სამოსს ოქროსფერს...

### ფრ. 75

მამაცთა შორის უპირველესს დაგტირი შენა  
არისტოკლიდევ,  
სულ ახალგაზრდა შეეწირე მამულის დახსნას...

### ფრ. 76

ზეთისხილის და დაბურული დაფნის მწვანეში

თავდავიწყ



აფროდიტე კედზე  
\ ს. ჩვ. წ. აღ-მდე

### ფრ. 77

და როცა შავ თმებს შეერევა ჩემსას ჭაღარა

### ფრ. 78

ო, თრაკიულო კვიცო, მაპყრობ ალმაცერ მზერას,  
შეუბრალებლად გამირბიხარ, არად თვლი ცოდნას,  
თუმც დანაგარდობ თავისუფლად, მე კი შენ მაინც  
ამოგდებ აღვირს და სამანებს შემოგაჭენებ...  
ჯერ კი მინდვრად სძოვ, მსუბუქად და შმაგად  
თამაშობ  
არ გიწვენევია ჯერ მხედვნიელის მარჯვენის ძალა...

### ფრ. 79

გაოგნებული არის სულ მთლად ჩემი გონება....

### ფრ. 80

შუა გაკვეთა კისერი [იგი]  
და იყო  
ჩამოგლეჯილი სამოსი...

### ფრ. 81

სასიამოვნოდ რხევა თმებისა

### ფრ. 8 და ფრ. 82

ქერათმიანი ფრიპილე ვნებით გზნებულა  
მოხეტიალე არტემონზე...

ვიდრე ხმარობდა იგი ძონძებს, ნათრევ მოსასხამს,  
ყურებში კიდევ ხისა ზარებს და შიშველ მხრებზე  
ხარის გაძრცვნილ ტყავს,



ტუჭყიან ქარქაშს, უვარგის ფარს,... მეფუნთუშესთან  
მრუშობდა იგი ... ეწეოდა ის ყალბ ცხოვრებას,

გარყვნილი, ფლიდი არტემონი...

ხშირად კისერი ედო ძელზე, ხშირად ბორბალზე,  
თვით სურგზეც ტყავის მათრახები ბევრჯერ ხვდომია  
და თმა და წვერი დაუბუტავთ...

დღეს კი ატარებს ეტლში ასულს კიკესის ვაჟი,  
ამშვენებს ოქროს საყურე და საჩრდილობელსაც  
ხმარობს, ნაკეთებს სპილოს ძელისგან,  
ქალების მსგავსად

### ფრ. 52 და ფრ. 84

მსუბუქი ფრთებით ოლიმპოსკენ მივფრინავ მაღლა  
ეროსისათვის,

რადგან აღარ სურს ემაწვილს ჩემთან დროის ტარება,  
ჩემს ჭაღარა წვერს გადმოხედა დამცინავ მზერით  
და ოქროცურვილ ფრთათა ქროლვით გაფრინდა იგი

### ფრ. 85

წარმტაც მდინარის შესართავთან ჩავაგდე ფარი

### ფრ. 86

გბრუნდები უკან მდინარიდან და თანვე მომაქვს  
მე ყოველივე ბრწინვალება

### ფრ. 87

პელიოს სხივთა მფრქვეველო

### ფრ. 88

ენახე სიმაღლე მე ქოროში ძვირფას პექტიდით

ფრ. 89

მენელსაცხებლე სტრატის კეითხე, თუ მოუშვებ-თქო  
თმას...

ფრ. 90

ჩაყავი ხელი თიხის ქოთანში

ფრ. 91

იხარე, ძვირფასო ნათელო, მლიმარეე  
კეთილმოწყალე სახით...

ფრ. 92

თამაშვენიერნი ასულნი ზევსის ნაზად როკავდნენ

ფრ. 93

მე ვისაუზმე თაფლიანი კვერის ნაჭრებით,  
დავცალე დოქი ღვინით სავსე და მხიარულად  
პექტილის სიმებს ვახმიანებ — ნაზ ქალწულისთვის

ფრ. 94

ლეკიდის კლდეზე კვლავ ავედი, კვლავ განდავეშვი  
და მივაშურე ვნებით მთვრალმა ჭაღარა ტალღებს.

ფრ. 95

..... ვინაც საამო  
სიჭაბუკეს მართავდა აზრით, ნაზად ცეკვავდა  
ღარიბული ავლოსის ხმაზე ...

ფრ. 96

მაგადის მქონე ვაჟდერებ ოც სიმს  
ლეკასპევ,

ო, შენ ისეთი ლალი ხარ კვლავაც...

**ფრ. 97**

ჩხუბისთავ არესს მეომარი უყვარს ძლიერი...

**ფრ. 98**

ფიქრობს, ვინაა ჩვენთვის მაცდური

**ფრ. 99**

.....ასე რომ მე მძულს  
ყველა იგი ვინც კი ატარებს უზომოდ რთულ და  
ქვემპრომულ სულს და მხოლოდ შენში,  
ჰოი, მეგისტევ,  
შევიცანი ბავშვური გული...

**ფრ. 100**

მხოლოდ გვირგვინი დაუკარგავს ქალაქს თავისი

**ფრ. 101**

არც ჩვენეული, ....არც ლამაზი

**ფრ. 102**

მე ოხრახუმის ძირები მაქვს მოწნულ კალათში

**ფრ. 103**

ერქსიონისთვის, ვინც მორთულა ქათქათა ჯიღით,  
მე ხომ ფიალა სავსე შევსვი

**ფრ. 104**

თითოეულ კაცს ჰქონდა თურმე გვირგვინი სამი,

ორი ვარდისა, ხოლო ერთიც ნავკრატიული...

**ფრ. 105**

მაგრამ მე მისგან გავიქეცი გუგულის მსგავსად

**ფრ. 106**

მაშინ პეითო ვერცხლისებრად ჯერ არ ბრწყინავდა

**ფრ. 107**

შენ ხომ არ დამრთე ნება მთვრალსა შინ  
წავსულიყავ...

**ფრ. 108**

საყვარელი ხარ სტუმრებისთვის... და დამანებე  
წყურვილისაგან ყელგამშრალმა ღვინო დავლიო

**ფრ. 109**

ცრემლის მომგვრელი შეუყვარდა პირბასრი შუბი

**ფრ. 110**

მსახური ქალი კვლავ უსხამდა დოქიდან ღვინოს  
თაფლივით ტკბილსა, განზავებულს ერთ წილს სამ  
წილთან...

**ფრ. 111**

კოჭებით თამაშს ეროსისას მუდამ თან ახლავს  
თავაწყვეტილი სიგოჟე და ბრძოლის ხმაური.

**ფრ. 112**

ტკბილად მღერალი, საამური [იგი] მერცხალი

**ფრ. 113**

არც კი იგონებს ალექსისი თმაგაცვენილი

**ფრ. 114**

მივექანები უხილავი კლდეების ზემოთ

**ფრ. 115**

და დორიელი ქალის მსგავსად ქიტონი იგი  
ტანთ გაეხადა

**ფრ. 116**

ვიღებ განდევნას....

**ფრ. 117**

მისიელებმა მოიგონეს...  
და შეაჯვარეს ვირნი ცხენებთან...

**ფრ. 118**

მათ ხომ ლოტოსის ყვავილებით წნული გვირგვინი  
მკერდის გარშემო შემოიწვეს.....

**ფრ. 119**

ტარგელიოსმა თქვა,  
რომ უნ მედგრად ტყორცნი  
ბადროს

**ფრ. 120**

ეროსისათვის ლამაზია, რაც მართალია

**ფრ. 121**

სუფრა გაშლილი ყველა სიკეთით

**ფრ. 122**

უხეში ხმები, ჰოი, ზევსო, შეწყვიტო უნდა

**ფრ. 123**

ვია დიონისე აწყობს იგი გიჟურ ზარზეიმს

**ფრ. 124**

თეძო თეძოსთან ჩახლართული...

**ფრ. 125**

ვნებით ანთებული, მირონით სავსე და  
ბრწყინვალე

**ფრ. 126**

მშვილდისრიან სკვითებსა და კიმურიელთა მეგობრებთან  
რა მესაქმება

**ფრ. 127**

უკანონონი, მოსხუბარნი და უქეცარნი  
დაატრიალებთ იარაღს მათზე

**ფრ. 128**

ეთიოპიელი ყრმა

**ფრ. 129**

და შეფერილი საძოსელი ზღვის ძოწით...

- ფრ. 130  
ქალაქი იგი ნიმფეონი
- ფრ. 131  
სიყვარულის მსმელი
- ფრ. 132  
კალიკრიტე კიანეს ასული
- ფრ. 133  
ქედმაღლად მავალი
- ფრ. 134  
ჟღურტულა მერცხალი
- ფრ. 135  
ვენახით მდიდარი მსახური
- ფრ. 136  
ღვინის მსმელი ქალი
- ფრ. 137  
მშვენიერ კვიცებს
- ფრ. 138  
ნარნარად სიარული
- ფრ. 139  
ეროსი კი მიბნედილი

ფრ. 140

სიყვარულის სიმძიმე

ფრ. 141

მშვენიერი

ფრ. 142

ათამანტისი

ფრ. 143

ატანა

ფრ. 144

საჭმელი

ფრ. 145

ურჩი

ფრ. 146

უნაგირი

ფრ. 147

თავმომწონენი

ფრ. 148

ბათილოსი

ფრ. 149

ბარბითი. ბარომისი



**ფრ. 150**

მუხლმოკვეთილნი

**ფრ. 151**

ორის მშობელი

**ფრ. 152**

გაგებული აქვს

**ფრ. 153**

ნასიამოვნები

**ფრ. 154**

შეჯავშნა /შეზარხოშება/

**ფრ. 155**

წმინდად

**ფრ. 156**

კოკრები [ვარდთა]

**ფრ. 157**

საზიზღარი

**ფრ. 158**

ზოგნი განცხრომას თავმიცემულნი ლიდიელთ მსგავსად

ფრ. 159, 160, 161

მირტები. კორიანდრები. კამა.

ფრ. 162

შიშით ყურება

ფრ. 163, 164, 165

ყველაფრის მომცემი...  
სიგიჟის ბალი...  
ბევრის მომღერალი...

ფრ. 166

შიშით ყვირილი

ფრ. 167

მოკლე ხმლით

ფრ. 168

ჰიმნი

ფრ. 169

ფილოსი

ფრ. 170

მწყალობელი

ფრ. 186

.....თუმცა უყვირის  
ზევისის მაღალ სასახლეს  
მძვინვარე.....

### ფრ. 187

აპა, ვიხილე მე ტანჯული სამშობლო ჩემი

### ფრ. 188

ასტერის, მე არც შენ მიყვარხარ,  
არცა აპელესს...

### ფრ. 190

და ანაკრეონტთან?  
ქალწულებში ბავშვიც ასტეროპაიოსისა.....  
ვიბადები, ვინაც .....ორი-  
ვე ხელით გადააგდო და.....  
ხოლო სპილენძის გულოვან.....  
საწყალს თანამოქალაქე.....  
ბრძოლები აოცებთ.....  
ლომი გაშვებული რომბს.

### ფრ. 191

როს აგათონი დაიდუბა აბდერისათვის,  
კოცონთან მყოფი ქვითინებდა მთელი ქალაქი.  
ახალგაზრდებში არეინ იყო ბადალი მისი  
ბრძოლის ქარცეცხლში დაღუპული არესის მიერ.

### ფრ. 192

ომში ვაჟკაცი ტიმოკრიტე წევს ამ საფლავში,  
რადგან არესი მამაცთ ჩაგრაავს, ხოლო მხდალთ ინდობს.

### ფრ. 193

კლენორიდევ, შენ დაგღუბა სამშობლო მიწის

დარდმა, როს გრიგალს სამხრეთისას არ შეუშინდი,  
დრომ წელიწადის დაგაბნია და ახლა ეს ზღვა,  
მაგ შენს მშვენიერ სიჭაბუკეს ტალღებით ფარავს.

#### ფრ. 194

უწინ ამაგო კალიტელემ, ხოლო ეს სახე  
შთამომავალთა მისთა დადგეს, უბოძე მადლი...

#### ფრ. 195

ვრცელ კორინთოდან ფეიდოლას ეს მალი ცხენი  
ეძღვნა ზეესს, ნიშნად მისთა ფეხთა სიმარდისათვის

#### ფრ. 196

უძღვენ ტელიასს მომხიბვლელი, ტკბილი სიცოცხლე,  
მაგიერ ძვირფას საჩუქართა, მაიას ძეო,  
დაე, იცხოვროს უზენაეს ევონიმთ შორის  
და ქვეყანაზე ხვედრად ჰქონდეს სიკეთე მხოლოდ.

#### ფრ. 197

ოლიმპიელთა მაცნესაგან მე ლოცვით ვითხოვ  
ტიმონაქსისთვის კეთილ იყოს, ვინც მოსართავად  
ამ კარიბჭესთან ძლიერ ჰერმესს დაუდგა ძველი...  
გიმნასიონში ვიღებ მსურველ თანამოძმეებს  
და ასევე უცხოელ სტუმრებს...

#### ფრ. 198

შენს სამადლობლად, ამ ქალაქის შესამკობლად,  
ო, დიონისევ, თესალიის დიდმა მმართველმა,  
ექვერატიდამ დამადგინა...

#### ფრ. 199

სამოსი შექმნა პრექსიდიკემ, ხოლო ეს რჩევა

თავად დისერისს ეკუთვნოდა... და ჰა, შუერწყა  
ხელოვნება და სიბრძნე ორთა...

#### ფრ. 200

გვირგვინთა ტრფიალ სემელეს ძის საჩუქარი ვარ,  
აღსანიშნავად ქორობებში გამარჯვებობა,  
დადგმით კი დამდგა მელანთოსმა არეიფილოსის ძემ.

#### ფრ. 201

პოი, მპყრობელო ვერცხლის მშვილდის,  
მოგიძღვნი ლოცვებს  
და გთხოვ, ნაკრატეს, ესქილეს ძეს, მაღლი მიაგო...

#### ფრ. 202

ფარი, პითონში გამოსხნილი მძვინვარ ომიდან,  
ახლა ათენის ამა წმინდა ადგილს ჰკილია...

#### ფრ. 203

ღმერთებისათვის ძღვენი ესე საბოძვარია  
პრაქსაგორასი, ლიკეოსის ვაჟისა, ხოლო  
შექმნით კი იგი შეუქმნია ანაქსაგორას

#### ფრ. 204

პელიკონიდან მოაქვს თირსი, თან მოჰყვებოდნენ  
ქსანთიპე, გლავკე, ეშვებოდნენ ფერხულით ერთად  
მაღალ მთებიდან და მოჰყავდათ დიონისესთვის  
თხა და მოჰქონდათ ზარზუიმით სურო, სასამელი,  
ქარვისფერი მტევანი ყურძნის...

#### ფრ. 205

მომწყემსე ჯოგი, შორს მომწყემსე, ოლონდ მირონის

ამ ერთ ბოწოლას მოუსვენარს და ვითა ცოცხალს  
ნუ გამოირეკ ხარებთან ერთად.

**ფრ. 206**

არ ჩამოუსხამთ [ქანდაკება] ფურის ყალიბში,  
არამედ ძველი სპილენძისგან შექმნილი არის  
და ჰა, გვატყუებს ყოვლისშემძლე ხელით მირონი...





ს ნ ა კ რ ე ო ნ ტ ე ა



შუა სადგომი

[მთხატული სამარხის დეტალი 480 წ.  
ჩვ. წ. აღ-მდე]





1

ერთხელ როდესაც დამინახა ანაკრეონტმა,  
სიმღერისა და ტკობის მეფემ ტეოსის მხრიდან,  
სიზმარში სიტყვით

მომმართა და მეც მივაშურე...

გადავებვიე, გადავკოცნე მოხუცი კაცი,  
უბერებელი იყო იგი და მშვენიერი,  
აღსავსე მხოლოდ სილამაზით, მწველი ვნებებით  
და გამოსცემდნენ სუნს ღვინისას ბაგენი მისნი.  
მობარბაცებდა,

თავად ეროსს მოჰყავდა ხელით...

სწრაფად მოიძრო მან თავიდან გვირგვინი მაშინ  
და თავისივე ხელით მიძღვნა... გადმომცა იგი  
და იფრქვეოდა სურნელება ანაკრეონტის...

მე კი შეშლილი განუხჯელად დავეპატრონე,  
ავიღე იგი, საფეთქლებზე შემოვიწიანი,  
და ჰა, მას შემდეგ

სიყვარულის მონა ვარ მხოლოდ.

2

მომეცით ღირა ჰომეროსის, მომეცით ღირა,  
შორს განმარიდეთ სისხლიანი ძველი სიმები  
და მომიტანეთ ჩემთვის ასე ძვირფასი თასი,

რომ განვაზაო წესისამებრ მასში სასმელი,  
თავდავიწყებით დაეუარო ნასვამმა პერე  
და ბრძენთა შორის დაუმცხრალი ვნებით ვიმღერო  
ბარბითსე სუფრის სიმღერები მაღალი ხმითა.  
მომეცით ღირა ჰომეროსის, მომეცით ღირა,  
შორს განმარიღეთ სისხლიანი ძველი სიმები.

### 3

საუკეთესო ხელოვანო მო, მომისმინე,  
ღირიკულ ჰანგებს სიმღერისას გთხოვ მოუსმინო.

ბაკხი ქალები აღსავესენი ცელქი ხუმრობით  
საამურ ხმათა გამოძცეში, დაუვიწყარი...

პირველ ყოვლისა დამიხატე ნათელ ფერებში  
ქალაქი, ერთი, მხიარული და მოცინარი,  
ვიდრემდე ცვილი ნებას მოგცემს გთხოვ დამიხატო  
ქალაქი, სადაც კანონები უყვართ ძალიან.

### 4

ვერცხლის მჭედელო, ო, ჰეფესტოვ,  
გთხოვ მხოლოდ შექმნა  
არც რამ საჩუქრად, არც რამ ბრძოლად  
გამოსადეგი

ფიალა დიდი, ფიალებში  
სიღრმით რჩეული.

მე არ მოვიტხოვ ამოკაწრო

ზედ ცის მნათობნი,

არც ეტლი მინდა, საშინელი

არც ორიონი,  
პლეიადებთან რა ხელი მაქვს,  
ან ბოტესთან?  
შექმენი ჩემთვის ლერწი ვაზის  
მტევნებით სავსე,  
ყურძნის მკრეფავი მენადები,  
სართვლო ზეიმი...  
და საწნახელი — შიგ ჩამდგარი  
მარჯვე ბიჭებით,  
სახემცინარე სატირები,  
ოქროს ეროსნი,  
ამომიკვეთე თვით კითერეც  
მღიშარე სახით  
და ლიეოსი  
ეროსთან და აფროდიტესთან.

5

ო, დიდებულო ხელოვანო, გამომიჭედე  
ლამაზი თასი გაზაფხულის ფერებით სავსე,  
ზუღ ამოჰკვეთე სიამენი უპირველესნი,  
ვარდები შუბლის შესამკობად რომ მოაქვთ ჰორებს.  
სადა, უბრალო დამიმზადე ვერცხლისგან თასი,  
რომ მისი ცქერა ნადიმისას მგვრიდეს სიამეს...  
არ ამოჰკვეთო კანონები დღესასწაულთა,  
ახირებული სურვილებიც არ მინდა მასზე,  
ჰრცა რაიმე საზარელი არ ამოჰკვეთო...  
უკეთესია გამოხატო ზევესის ვაჟი,  
ღვინის მეუფე — თვით ბახუსი შმაგი და ხელი  
და სიყვარულის იდუმალი წყარო კიპრისი,  
რომელსაც თან სდევს საქორწინო ხმები ბობლანთა...  
უიარაღო ეროსები ფრთათა ფარფატით  
და მოცინარი ქარიტები ღიმღიმით პირზე...  
ვაზის ლერწებში, დაბურულში უხვი ფოთლებით,  
ყურძნის მტევნები ქარვისფერი მარცვლებით სავსე

და ჩააქსოვე ყმაწვილები პირმშვენიერნი  
და ერთობოდეს ჩვენთან ერთად თვით ფოიბოსი.

## 6

გვირგვინსა ვწნავდი, ჰოდა, უცებ აღმოვაჩინე  
ვარდის ფურცლებში მიმალული თავად ეროსი...  
ფარფატა ფრთებში წავეტანე და როს შევიპყარ,  
ღვინის სასმისში ჩავაბრძანე შეუბრალებლად.  
როცა მწყურვალმა შევსვი ღვინო იმავ თასიდან  
იგი აქედრდა სწრაფად ჩემში და ჰა, მას შემდეგ  
სულში მუდამყამს მიღიტინებს თავისი ფრთებით.

## 7

მითხრეს ქალებმა  
ანაკრეონ, ბებერი ხარო  
და ყურადღებით ჩაიხედო სარკეში უნდა,  
რომ დაინახო აღარა გაქვს თმის ბეწვი ერთი,  
მელოტად ქმნილა შუბლი შენი,  
მართლაც საბრალოვ...  
მაქვს თმა თუ არა  
არა ვნაღვლობ სრულიად ამას,  
რადგანაც ვხედავ,  
რომ მოხუცებს უფრო შეჰფერის,  
ყველა მიწიერ  
ცდუნებით და სიამით ტკბობა,  
რაც უფრო მეტად  
ახლოსა ვართ ბედისწერასთან.

## 8

რა მესაქმება მე გიგესთან,

სარდელთ უშალთან,  
არცა არავის ვეჯიბრები,  
არც მშურს ტირანთა.  
მე მხოლოდ ვზრუნავ, ნელსაცხებლით  
დავიღბო წვერი.  
ვცდილობ ვარდების გვირგვინებით  
თავის შემკობას...  
მე დღევანდელი დღით ვცოცხლობ,  
ვინ უწყის ხვალი,  
თუ რას მოგვიტანს დღე ახალი...  
რით შეგვაშოთებს...  
ასე, რომ სანამ სიწყნარეა  
კამათლით ხელში  
სვი, ითამაშე, დაეწაფე სიამის ნექტარს,  
ღვინო შესწირე და ლიეოსს თაყვანი ეცი,  
ავადმყოფობა ვიდრე მოვა და გეტყვის მწარედ:  
— კმარა, შეწყვიტე, მეტი აღარ უნდა დალიო...

## 9

გამიშვი... მინდა, რომ დავლიო, გავედრებ ღმერთებს...  
მომეცი ნება, რომ ვსვა მხოლოდ სულმოუთქმელად,  
მინდა, ო, მინდა, რომ ვიგიჟო თავდავიწყებით.  
თვით ალკმეონიც ხომ შმაგობდა და მძვინვარებდა,  
თავად ორესტეც თეთრფეხება კარგავდა ჭკუას...  
მათ ხომ დახოცეს საკუთარი დედა — მშობელი...  
მე კი არა ვარ ამა ქვეყნად არავის მკვლელი,  
მხოლოდ ვსვამ ღვინოს, წითელ ღვინით ვითვრები მხოლოდ,  
რადგანაც მინდა სიგიჟე და თავდავიწყება.  
ოღესდაც იყო თვით ჰერაკლეს გახელებული,  
გაცეცხლებული, მრისხანებით იქნევდა კაპარჭს  
და იფიტოსის მშვილდ-ისარსაც იქნევდა რისხვით,  
აიაქსიც ხომ მრისხანებდა და ფართო ხელში  
და ხმლით, რომელიც კუთვნოდა თავად გმირ ჰექტორს,  
შმაგობდა იგი, ტრიალებდა გაცოფებული...

მე კი ამ ქვეყნად არა მინდა, მხოლოდ ფიალა  
და ყვავილების გვირგვინები ხუჭუჭა თმებზე,  
არაფრად მიღირს არცა მშვილდი და არცა ხმალი,  
მინდა, ო, მინდა სიგიჟე და თავდავიწყება.

10

აბა რა გიყო, შენ მერცხალო  
ესოდენ ყბედო?  
გინდა, რომ ფრთები დაგაცალო  
და მთლად გაგკუტო?  
ან იქნებ უფრო მეტად გინდა  
მოგტლიჯო ენა,  
როგორც ტერევსმა ჩაიდინა  
ქვეყნად ცნობილმა,...  
რატომ წამართვი მშვენიერი  
სიზმარი დილის  
და მაგ სიმღერით გამიფრინე  
მე ბათილოსი.

ერთხელ ვიღაცა ახალგაზრდა,  
ცვილისგან შექმნილს,  
ეროსს ჰყიდდა და როცა ვკითხე:  
თუ რა გსურს მეთქი, რამდენი გინდა,  
რომ მოგართვა ამ საგნის ფასად,  
ეს მიპასუხა დორიულად:  
დაე, მომეცი  
იმდენი, რასაც გაიმეტებ...  
იცოდე კია — უმეცარი ვარ  
ყოველგვარი ქანდაკებისა  
და ცვილისაგან ფიგურების არ ვიცი მერწვა.  
და მაინც არ მსურს მე ცხოვრება ეროსთან ერთად,  
რომელიც არის შემომქმედი ამ ქვეყნად ყოვლის.  
— მაშინ მომეცი და დამითმე იგი ერთ დრაქმად  
ლამაზ მუუღლედ მეყოლება ის ამის შემდეგ...  
ეროსო, შენ კი გიხმობ სწრაფად აღმანთო გზნებით



ახალგაზრდა ქალები  
ატეკური თასი დურისის მოხატული

თორემ მე რისხვით გადაგისვრი... .  
დაგადნობ ცეცხლში...

## 12

ერთნი ამბობენ, მშვენიერმა კიბებემ თურმე  
სიყვარულის წილ გააშმაგა, გონი წაართვა,  
ატისს, — ნახევრად ქალს და ისიც გადარეული  
ღრიალით რბოდა მაღალ მთებში...  
მეორენი კი შეუწყვეტლივ ეწაფებოდნენ  
კლაროსის მაღალ ნაპირებთან სულისჩამდგმელ წყალს,  
დაფნის მტარებელ ფოიბოსით... ხელნი ყვირიან...  
მე კი, მე, დამთვრალს  
ლიეოსით და ნელსაცხებლით  
სულ მთლად გაუღენთილს,  
ჩემს გოგონასთან...  
მინდა... მინდა ჭკუის დაკარგვა...

## 13

ო, მინდა, მინდა სიყვარული ისე ძალიან...  
იყო დრო, როცა მთავაზობდა ეროსი გრძნობას,  
მე კი ვიხმარე მაშინ ჭკუა და არ ავყევი,  
მოუფიქრებლად არ ავყევი...  
მან კი პირდაპირ არც აცევა და არც აცხელა,  
აიღო მშვილდი და საისრე ოქროცურვილი  
და საბრძოლველად გამომიხმო... მეც გავემზადე...  
მხრებზე მოვიგდე, შევიჭურვე სწრაფად ჯავშანიით  
და როგორც გმირმა აქილევესმა ავიღე შუბი,  
შუბი და ფარი... გადავეშვი ბრძოლის ქარცეცხლში.  
ვებრძოდი ეროტს გათანგული და როს მესროლა  
უკანვე სწრაფად გავიქეცი...  
ხოლო როდესაც დაეღია ყველა ისარი,  
შეწყვიტა სროლა, თუმც არ შედრკა და სწრაფად იგი



თვითვე გადიქცა პირბასრ ისრად... რომ არ ველოდი,  
ისეთი ძალით შემომეჭრა გულში და დამჭრა...  
უცებ დავსუსტდი, მთლად წამერთვა ძალა და ღონე,  
ო, რა ამოდ, რა ამოდ მჭერია ხელში  
ხარის ტყავისგან ნაკეთები ძვირფასი ფარი.  
აბა, გარედან რა დაეარტყა, რა ვუსაშველო,  
როცა შიგნიდან მეომება შეუბრალებლად...

#### 14

შენ თუკი ძალგიძს დაითვალო  
ფოთლები ხეთა,  
თუკი ტალღების დათვლას შეძლებ  
ბობოქარ ზღვაში,  
მაშინ შენ ჩემთა საყვარელთა  
დათვლასაც შეძლებ.  
პირველყოვლისა ათენიდან  
დათვალე ოცი  
და მიამატე მათ თხუთმეტიც...  
თვით კორინთოდან  
მთელი გუნდი მყავს საყვარელთა...  
აქაიეში  
მატყევეებენ მშვენებით ქალნი.  
მათ მიამატე  
ლესბოსელნი, იონიელნი,  
კარიელები,  
როდოსელნი ორიათასნი.  
რას ამბობ?  
ნუთუ დამავიწყდნენ კარიელები?  
კანობოსელნი  
არ ვახსენე? ყველაფრით სავსე  
კრეტის ქალაქნი,  
სად აწყობენ დიად ზეიმებს  
ეროსისათვის...  
როგორ გინდა იანგარიშო

გადირელები,  
ანდა კიდევ ბაქტრიელები,  
ან ინდოელნი,  
ყველა ჩემი საყვარლის რიცხვი.

15

საამო მტრედო, ნეტავი შენ,  
საით მიფრინავ?  
ან ამდენ კეთილსურნელებას  
პაერში ფრენით  
ვით აფრქვევ ირგვლივ?  
ან და ვინა ხარ  
ასე სწრაფი, მოუსვენარი?  
— ანაკრეონტმა გამომგზავნა  
მე ბათილოსთან,  
რომელმაც თავის სიყმაწვილით  
დაიპყრო ყველა.  
სულ ერთ პაწია სიმღერაში  
მიმყიდა პოეტს  
თავად კითხრემ... დავატარებ  
მე მის წერილებს...  
სამაგიეროდ მეუბნება  
პატრონი ჩემი,  
რომ მომანიჭებს ძალზე მალე  
თავისუფლებას,  
თუმც ეს პირობა მე არაფრად  
არ მიღირს უკვე  
და თუნდ გამიშვას, მირჩევნია  
კვლავ მონად დავრჩე.  
არა მჭირდება ფრენა მთებზე  
და ვრცელ მინდვრებზე,  
ხეებზე ჯდომაც არა მხიბლავს,  
უხეშ საჭმელებს  
ვერ შევეჩვევი... ახლა კი ვჭამ

პურის ნამცეცებს  
ანაკრეონტის ხელისგულზე  
და ვსვამ იმ ღვინოს,  
რომელსაც თავად ეწაფება...  
და ვიწყებ ცეკვას...  
როცა ბატონი ჩემი უკრავს  
ვუნრდილებ ფრთებიძ,  
ხოლო როს ძილი ქუთუთოებს  
ჩამომიმძიმებს,  
მე მის ბარბითზე ჩამომჯდარი  
ვიძინებ მშვიდად.  
ახლა გაიგე ყველაფერი? წადი მომშორდი,  
ყბელი გამხადე კატკაჭივით  
ადამიანო...

16

შესანიშნავო ხელოვანო. გემუდარები,  
რომ დამიხატო შემოქმედო სწორუპოვარო,  
მეფევე დიდებულ როდოსული ხელოვნებისავე,  
გამომისახვე მეგობარი უსაყვარლესი  
და ამისათვის დაეყრდენი მხოლოდ ჩემს სიტყვებს...  
ყველაზე უწინ დამიხატე ლამაზი თმები,  
რბილი და თითქმის მელანივით ჩაშავებული,  
და რამდენადაც ცვილი ამის ძალას მოგმადლებს,  
დახატე კეთილსურნელებით თუ როგორ სუნთქავს...  
მუქ თმათა ქვემოთ  
დამიხატე სავსე ლოყები  
და სპილოსძვლისფრად მოელვარე ქათქათა შუბლი.  
მხოლოდ წარბები შემოხაზე ძალიან ფრთხილად,  
არც დააშორო და ძალიან არც შეაერთო,  
იყოს ის ისე, როგორცაა სინამდვილეში...  
დე, შეუმჩნევლად ჩამუქდეს და გამოიკვეთოს  
გარს შემოჯარულ წარბების ქვეშ თვალების რკალი...  
ახლა კი დროა, რომ თვალები დახატო მისი...

ციური ცეცხლი იღვრებოდას უნდა იმათგან,  
იყოს ნათელი ვით ათენას ციური მზერა,  
წყლიანი, როგორც თვით კითერეს უძირო თვალნი...  
მერმე შექმენი თლილი ცხვირი, ნაზი დაწვები  
და ამისათვის შეაზავე ვარდები რძესთან.  
თავად პიეთოს მიუმსგავსე ტუჩები კობტა,  
კოცნისთვის ასე საყვარლად, რომ უხმოდ გიწვევენ.  
დაე, მშვენიერ, ფაფუკ ნიკაპს და ყელს, რომელიც  
ნაქანდაკები არის თეთრი მარმარილოსგან  
დაჰფოფინებდნენ, ევლებოდნენ ქარიტნი ირგვლივ...  
ბოლოსდაბოლოს სამოსელიც ჩააცვა უნდა...  
მუქ-მეწამული მოუხდება კოპწია კაბა,  
ისე, რომ უფრო უკეთესად გამოიკვეთოს  
და შესამჩნევი გახდეს ნაკვთთა სიმშვენიერე,  
თუკი სხეულის შემოწმება გახდა საჭირო...  
კმარა, შეჩერდი... მე თვალნათლივ ვხედავ მას ჩემს წინ...  
ახლა კი მალე, ცვილო, თავად შენ იტყვი სათქმელს...

## 17

გთხოვ დამიხატო ბათილოსი, ეგზომ ძვირფასი...  
შექმენი იგი ისე, როგორც გეტყვი, აგიწერ...  
პირველად მინდა, რომ დახატო ბრწყინვალე თმები,  
თმები შიგნიდან თითქმის შავი, ხოლო ზემოდან  
დამშვენიებული სვით მზიური ათინათებით.  
ეს ხვეულები თავისუფლად დაუშვი დაბლა  
და უწესრიგოდ მიმოყარე თმები მხატვარო,  
რომ ასე უფრო ბუნებრივად წარმოაჩინო...  
წვრილი და ნაზი  
შუბლს რკალავენ მუქი წარბები,  
ოღნავ მოღურჯო, ვით დრაკონის უცხო ფერები  
და დაავანე შავ თვალეში თვით მრისხანება  
შეზავებული სიმშვიდესთან და ეს ხატება  
ერთი აიღე არესისგან, ხოლო მეორე  
თვით პირმშვენიერ კითერესგან...  
რომ ზოგიერთებს

შიში და კრძალვა ჩაუნერგოს,  
ზოგს კი იმედი...

შექმენი ახლა ვარდისფერი, ნაზი დაწვები,  
კომშისებურად დაფარული ბუსუსით ოდნავ,  
წითელი ფერი მიუმატე. სიმორცხვის ნიშნად  
და არ დაზოგო თავი შენი...

ო, აღარ ვიცი, ტუნებს მშვენიერს,  
როგორ შექმენი, დახატავ როგორ?

ნაზია იგი და ამავე დროს რწმენით აღსავსე.  
იცოდე კარგად, რომ ეგ ცვილი თავის სიჩუმით  
უფრო მეტყველი უნდა იყოს...  
ახლა კი სახე...

დახატე ისე აღონისის ბადალი იყოს...

სპილოსძგლისფერი შემოხაზე ამაყი ყელი,  
მკერდი დახატე

და ხელები ჰერმესისებრი

და თეძოები პოლიდეკეს მსგავსი შექმენი,  
ხოლო მუცელი ჰქონდეს თავად დიონისესი...

წარმოაჩინე თეძოები ზევიდან ნაზი...

ეს თეძოები ვნების ცეცხლის მატარებელნი  
და სარცხვინელი ბადალი რომ არ ეპოვება,  
თავად პაფოსელს როგორიც სურს ისე დახატე.

ეჰ, რა ცუდია... ხელოვნება გაქვს შურიანი,  
სამწუხაროა, რომ ზურგიდან ის არ მაჩვენე...

შესანიშნავი იქნებოდა, რომ ეს შეგეძლოს.  
იქნება გინდა, რომ ფეხებიც წარმოგიდგინო?

აჰა, აიღე საფასური რამდენსაც ითხოვ,  
შენ ხომ შექმენი

ბათილოსი აპოლონისგან...

ხოლო როდესაც შენ სამოსში ჩამოხვალ კვალად,  
ბათილოსისგან გადახატე თვით ფოიბოსი.

დიდი ფიალა, რომ გადავკრა სულმოუთქმელად...  
შეხეთ, მომთენთა სიცხის ძალამ და დახუთული  
ხმამაღლა კვენესი...

ო, მომაშველეთ, მომაშველეთ ყვავილნი ჩქარა,  
რომ გვირგვინებით დავიფარო შუბლი, რომელიც  
გათანგული მაქვს სიცხისაგან და მიხურს ეგზომ,  
მაგრამ ეროსო,

გული შენგნით როგორ დავიცვა?

მო, ახლოს ჩრდილში ბათილოსის დავჯდები ღხენით,  
მშვენიერია ეს ხე, როცა უნახეს ფოთლებს  
აათრთოლებენ ახალგაზრდა რტოები სუსტად...

აქვე გვერდით კი ნაკადული დარწმუნებისა  
მეჩურჩულება... და მარწმუნებს,  
რომ არვის ძალუმს,

ამ წარმტაც ადგილს შეხედოს და  
შქციოს გვერდი...

## 19

ცელქმა მუხებმა დაატყვევეს ეროსი ერთხელ  
და გვირგვინებით შებოჭილი მიჰგვარეს იგი  
თვით სილამაზეს.

და აი, ახლა დედამისი — თავად კიპრისი  
ყველგან დაეძებს, დაატარებს თან გამოსასყიდს,  
რომ ტყვეობიდან გამოიხსნას ძვირფასი შვილი...  
მაგრამ ეროსი სულ სხვაგვარად ფიქრობს ამჯერად...  
თავისუფლება აღარ უღირს არაფრად უკვე  
და აღარც წავა, აქ დარჩება, ამ მონობაში...

. . . . . მას მიეჩვია. . . . .

## 20

ანაკრეონტი ტკბილ ჰანგებზე მოლხენით მღერის,  
ასევე საფოც ამოღხმოვან სიტყვებით გვატკბობს



მონადიმე და პეტერა  
ატიკური თასი

და თუ პინდარეს სიმღერებსაც მათ მივუმატებთ,  
შევანზავებთ და ჩამოვასხამთ დიდ ფიალაში,  
მაშინ გამოცდი სამგვაროვან სიამეთ ერთად  
და მოვა თავად დიონისე .  
და სხეულმნათი პაფიეც მოვა...  
მათთან ერთად მოვა ეროსიც...

## 21

სვამს დედამიწა,  
თვით ხეები სვამენ მიწისგან,  
მთის ნაკადულნით  
სახრდოობენ მწყურვალნი ზღვები.  
შხეს ზღვა ისრუტავს,  
ხოლო შხეს კი შეიწოვს მთვარე...  
მე კი მებრძვიან  
მეგობრები, როს მსურს დაღვეა...

## 22

და იდგა იგი — ტანტალეს ქალი  
ციცაბო, მუნჯ კლდედ ფრიგიის მხარეს,  
მერცხლად გადიქცა ოდესდაც ერთი —  
— ნაზი ქალწული პანდიონისა...  
მინდოდა ყოფნა ბრწყინვალე სარკედ,  
რომ ჩაგებედა ყოველწამს ჩემში...  
ვეოფილიყავი ანდა ქიტონი,  
გეტარებინე მთელის სიამით.  
მინდა, რომ ვიყო წყალი კამკამა,  
როდესაც იბან სხეულს უნაზესს,  
ვიქცე სურნელთმფრქვევ ნელსაცხებელად,  
რითაც გიზელენ სხეულს ქალები.  
ან გეხვეოდე სამკერდე ქამრად,  
ან მარგალიტად გგაიღო ყელზე,



ან ფეხსაცმელად გადვიქცე ნეტავ,  
რათა მატარონ შენმა ფეხებმა.

23

მე, მთელი გულით, ატრიდებზე მინდა ვიმღერო,  
გულითვე მინდა, რომ კადმოსსაც შევასხა ხოტბა,  
მაგრამ ბარბითის თვით სიმებიც მეურჩებიან...  
მხოლოდ ერთადერთ სიყვარულზე იწყებენ ჟღერას.  
ცოტა ხნის წინათ ლარებიც კი შევცვალე მისი,  
გადავაკეთე მერმე თვითონ ლირაც ხელახლა,  
რადგან მინდოდა, რომ მემღერა დიდი პერაკლეს  
გამარჯვებებზე, მაგრამ ლირა არ დამმორჩილდა.  
კვალად და კვალად სიყვარულზე დაიწყო ჟღერა...  
ო, მომიტევეთ თქვენ გმირებო, რადგანაც ლირა  
არა მმორჩილებს...  
და სიყვარულს უმღერის მხოლოდ.

24

დედაბუნებამ რქები მისცა ხარებს საჩუქრად,  
ცხენებს ჩლიქები...  
და კურდღლებსაც ფეხები სწრაფი,  
ლომებს ხომ ხახა გამოუვსო ბასრი კბილებით,  
თევზს ცურვის ცოდნა,  
ჩიტებს ფრენა,  
ხოლო ვაჟაკებს,  
აზრი მახვილი მიუბოძა, თავდაჯერება...  
ქალებს კი ნუთუ არაფერი არ შეხვდათ ქვეყნად?  
რალა თქმა უნდა, სილამაზით შეამკო ქალნი...  
საპირისპიროდ ყოველგვარი ბასრი შუბების,  
საპირისპიროდ ყოველგვარი მძიმე ფარების,  
ცეცხლზე და რკინის იარაღზე მუდამ იმარჯვებს  
ქალი თავისი სილამაზით, თავის მშვენებით.

მერცხალო, ჩემთვის საყვარელო ასე ძალიან,  
 ყოველწლიურად მოფრინავ და ბრუნდები ჩვენში  
 და ყოველ ზაფხულს შენ ხელახლა აშენებ ბუდეს.  
 ზამთრის პირზე კი იკარგები უკვალოდ ისევ,  
 მიეშურები ნილოსისკენ, ან მემფისისკენ.  
 ხოლო ეროსმა ამ ჩემს გულში დაიდო ბინა  
 და გამუდმებით ახალ-ახალ ბუდეს იშენებს...  
 თუ სიყვარული გაფრინდება ერთი, იმჯერად  
 მეორე თავად კვერცხში არის, ხოლო მესამე  
 უკვე ნახევრად გამოამტვრევს კვერცხის ნაჭუჭებს  
 და ხმაურობენ...  
 დააფრინენ პაწია პირებს,  
 ეროტიდების პაწაწინა ბარტყები მუდამ,  
 უფრო დიდები მათზე ზრუნვით არიან სავსე  
 კვებავენ, ზრდიან და გამოყავთ კვლავაც კვერცხიდან,  
 ისახებიან იმავე წამს ხელახლა სხვები...  
 როგორ მოვიქცე?  
 გზა თავდახსნის არა ჩანს არსად,  
 ამ ხმაურიან ეროსებთან მე ვარ უძღური...

ერთხელ, როს ქმარი კითერესი  
 ლემნოსურ გრდემლზე  
 ისრებს ჭედავდა რკინისაგან  
 ეროსებისთვის,  
 ხოლო აწრთობდა მათ კიპრისი  
 ტკბილ თაფლში სწრაფად,  
 ეროსი ნაღველს უმატებდა თაფლს სიმაგრისთვის.  
 ამ დროს არესი შემობრუნდა ბრძოლის ველიდან,  
 მძლავრ შუბს აქნევდა, დამცინავი ღიმილით პირზე  
 ეროსს იარაღს უწუნებდა...  
 მაშინ პასუხად

ასე მიუგო მას ეროსმა: მოდი გასინჯე.  
მძიმეა იგი და შენ მალე მიხვდები ამას...  
როცა ისარი დაიჭირა არესმა ხელში  
გალაურბინა ბაგეებზე ღიმმა კიპრისსა...  
და ჰა... არესმა წამოიწყო ხმამაღლა კვნესა:  
— მძიმეა, მძიმე, მომაშორე... წაიღე უკან.  
შეუბრალებლად უპასუხა ეროსმა მაშინ  
— თავად აიღე და თავადვე ატარე მარად...

27

მღერი თებეზე,  
ის კი უმღერს ფრიგიელთ ბრძოლებს...  
მე ჩემს საკუთარ დატყვევებას ვუმღერი მწარედ,  
არცა ცხენოსნის მიერა ვარ დამარცხებული,  
არცა ფეხოსნის და არც კიდევ ზღვაოსნის მიერ,  
არამედ სულ სხვა მეომარმა დამცა ახალმა.  
ო, რაღა ბევრი გავაგრძელო,  
თვალებმა დამჭრეს.

28

ცხენთა შეცნობა ხდება მათი დაღის წყალობით,  
რომელიც ცეცხლით ამოუწვევს თეძოზე კაცთა...  
პართელ ვაჟკაცებს  
ტიარებით შეიცნობს ყველა...  
მე კი მიჯნურებს  
შევხედავ და მაშინვე ვიცნობ,  
რადგან შიგ სულში  
ატარებენ ნაზ კვალს ტრფობისას

29

მძიმეა, როცა ქვეყანაზე არავინ გიყვარს,

მძიმეა ისიც, როცა გიყვარს და იწვი ვნებით,  
მაგრამ ყველაზე უფრო მძიმე არის როდესაც  
მარცხი მოგივა, უპასუხოდ დაგრჩება გრძნობა...

### 30

გვარიშვილობა არად უღირს ეროსს სრულიად,  
დამცირებული არის როცა სიბრძნე, ღირსება,  
შესციცინებენ მხოლოდ ვერცხლის ძალმომრეობას...  
დე, დაიღუპოს ის პირველად ვინც ვერცხლი ქვეყნად  
ყველაზე მაღლა დააყენა და შეიყვარა.  
მისი მიზეზით დაეკარგა ძმობასაც ფასი,  
დავიწყებული არის. მისგან ღვიძლი მშობლები.  
ყველა მკვლელობა და ომებიც ვერცხლისთვის ხდება...  
და ყველაფერზე უარესად ის მიმანია,  
რომ სატრფოებმა ერთმანეთი მის გამო დავთმოთ..

### 31

ერთხელ სიზმარში მომეჩვენა, რომ მე გავბროდი  
და ნაზი ფრთები მქონდა თითქოს მხრებზე მობმული,  
ტყვიის ძირიან საწდლით  
მსდევდა ეროსი თუმცა  
გამომეკიდა და ხელადვე წამომეწია.  
რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ნეტავ ამ სიზმარს?  
ვფიქრობ მრავალჯერ დავადწვიე სიყვარულს თავი  
და მრავალ ეროსს დავუძვერი ხელიდან ბევრჯერ,  
გამარჯვებული მე ვიყავი აქამდე მუდამ,  
დღეის შემდეგ კი... ამ ეროსმა შემბოჭა მაგრად...

### 32

იაკინთისებრ ჯოხით მცემდა  
ეროსი რისხვით,



შუალამისას,  
 როს არკტოსი თავს იხსნის ხოლმე  
 და შებრუნდება ბოტოსის ხელთაგან იგი,  
 ყველა მოკვდავი, როს ისვენებს საკუთარ ჭერქვეშ  
 და შრომისაგან ძალზე დაღლილს ღრმა ძილით სძინავს.  
 სწორედ იმ ხანად, ჩემს კარებთან მყოფმა ეროსმა  
 დააკაკუნა...

შევეკითხე ვინა ხარ მეთქი,  
 რომ ამ კაკუნით გამიფრინე ტკბილი სიზმარი?  
 — გამიღე კარი — მიპასუხა ეროსმა სწრაფად.  
 ნუ გეშინია, მე პატარა ბავშვი ვარ მხოლოდ.  
 მთლად გავიწუწე წვიმაში და ამ ბნელ ღამეში,  
 უმთვაროდ ჩემი გზასავალიც ვეღარ გავიგნე...  
 როს მოვუსმინე, სიბრალულმა შემიპყრო მაშინ...  
 ავდექი სწრაფად და ავანთე ლამპარიც უცებ...  
 გავაღე კარი და ჩემს თვალწინ გამოჩნდა იგი,  
 პაწია ბიჭი, ხელში მშვილდი ეჭირა მშვიდად,  
 მხრებს ფრთები ესხა და კაპარჭი ეკიდა წელზე.  
 კერასთან ახლოს მივიწვიე და დავსვი ცეცხლთან,  
 ნაზი აღერსით ჩემს ხელებში ვუთბობდი თითებს.  
 კულულებიდან დავუწურე წვიმის წვეთები,  
 ხოლო, როდესაც იგი ცოტა მოღონიერდა,  
 როგორც კი გათბა, გათამამდა და მითხრა ასე:  
 ო, უნდა სწრაფად გამოვცადო ეს ჩემი მშვილდი,  
 ხომ შეიძლება  
 დაზიანდა წვიმისგან ლამბი?  
 მოზიდან მშვილდი  
 და მე დამჭრა ისარმა ღვიძლში...  
 იგი წამოხტა ბედნიერი... ხარხარით მითხრა:  
 ო, გიხაროდეს მასპინძელო, ძვირფასო ჩემო,  
 რაღა თქმა უნდა ჩემი მშვილდი კვლავაც მთელია,  
 შენ კი, რა უშავს, თუ კი გული დაგეტანჯება.

ჭრიჭინობელავ მიმაჩნიხარ. ღვთაებრივ მწერად  
 მე განგადიდებ, როს ხეებზე  
 ცვარს ეწაფები  
 და როგორც მეფე, განცხრომილი იმღერი მუდამ.  
 ეს ყველაფერი, რასაც ხედავს მინდორში თვალი,  
 სულ შენ გეკუთვნის,  
 სულ შენია, რასაც ტყე გვაძლევს.  
 როს ეცხადები მიწათმოქმედთ,  
 არავინ გიფრთხის,  
 რადგან ყოველთვის ძვირფასი ხარ მოკვდავებისთვის.  
 ტკბილი ზაფხულის მაცნევ ძლიერ  
 უყვარხარ მუზებს,  
 უყვარხარ თავად ფოიბოსსაც... მანვე მოგმადლა  
 ასე ძლიერი წკრიალა ხმა... თუნდაც სიბერე,  
 ამქვეყნიურო მომღერალო შენ არა გტანჯავს  
 მიწის ასულო, უსისხლო ხარ  
 და უგრძობელი  
 და შენი სიბრძნით თითქმის ღმერთებს  
 მიედარები.

ერთხელ ეროსმა ვერ შენიშნა ლამაზ ვარდებში  
 ჩაბინებული შემომქმედი ტკბილი თაფლისა  
 და ამიტომაც დაისაჯა, ნესტარი თითში  
 მწარედ ეჩხვლიტა...  
 გამეტებით დაარტყა ხელი  
 და მერმე, როცა მოაკვდინა, გაიქცა სწრაფად.  
 ხან რბოდა, ხანაც მიფრინავდა... ლამაზ კითერეს  
 შველად იხმობდა, ეძახოდა თვალცრემლიანი  
 — ო, დედაჩემო, დავიღუპე, ვკვდები ნამღვილად.  
 გველმა დამნესტრა,  
 სულ პაწია ფრთოსანმა გველმა,

ვისაც გლებები ეძახიან სახელად ფუტკარს.  
დედამ კი ასე უპასუხა — თუკი ფუტკარმა  
თავისი ნესტრით მოგაყენა ასეთი ტანჯვა,  
მაშინ დაფიქრდი, რა ძლიერი არის ტკივილი,  
ეროსო შენი ისრებისგან მიყენებული...

37

სინამდვილეში თუ შეძლებდვ პლუტონის ოქრო  
მოკვდავებისთვის გაგრძელებას სიცოცხლის დღეთა,  
მეც ვაჟუაცორად დავიცავდი ამ ოქროს მაშინ,  
როცა სიკვდილი მოვიდოდა ჩემს წასაყვანად,  
მას შევაძლევდი... აიღებდა და წავიდოდა...  
თუკი სიცოცხლე მოკვდავ კაცთა არაფერს ძალუძს,  
რომ შეისყიდოს, გადუხვიოს კანონებს ღმერთთა,  
მაშინ ოქროსგან რა სარგებელს ელოდო უნდა?  
და თუ ამქვეყნად მიწერია სიკვდილი მაინც,  
ამაო ტირილს რა ფასი აქვს, ან და ამ კვნესას,  
ან რატომ უნდა დავითხარო წინასწარ თვალნი...  
უმჯობესია სმა დავიწყო  
და მეგობრებთან  
ერთად დავლიო ტკბილი ღვინით სავსე თასები.  
მერმე კი ფაფუკ სარეცელზე მისვენებულნი,  
კვლავ მივეცემით აფროდიტეს თავდავიწყებას...

38

მეწამულ ფერის  
საგებელზე მეძინა ღამით  
და ლიეოსთან  
წილნაყარი ვხედავდი სიზმარს:  
ფეხის წვერებზე  
გავრბოდი და ქალწულებს შორის  
ლაღად ვხუმრობდი... იცინოდნენ ყმაწვილნი იქვე,  
ოვით ლიეოსზე უფრო ნაზნი და მშვენიერნი...



შეუბრალებლად დამცინოდნენ მწარე სიტყვებით,  
ლამაზმანების გამო იყო ეს ყველაფერი.  
მაშინ მომინდა დამეკოცნა ერთთავად ყველა,  
მაგრამ სიზმარმა მიმატოვა  
და დავრჩი მარტო...  
ვნებით აღვსილი,  
დაძინებას ვცდილობდი კვლავად...

### 39

ვიმხიარულოთ და დავლიოთ ღვინო თასებით  
და სიმღერებით განვადიდოთ თავად ბახუსი,  
ვინც არის ქვეყნად შემომქმედი ყველა ცეკვისა,  
ვისაც საერთო სიმღერები უყვარს ძალიან  
და ვინც ამქვეყნად ცხოვრობს ისე, როგორც ეროსი,  
კითერესადმი სიყვარულის ცეცხლით ვინც იწვის,  
ვინც შვა ლოთობა  
და მრავალი მადლი მიწაზე...  
ის, ვინც აჩერებს ყველა წუხილს,  
ამშვიდებს ტანჯვას...  
განზავებული  
ღვინო, როცა მოაქვთ ემაწვილებს,  
სწრაფად მშორდება  
ქარიშხალთან ნაზავი ტანჯვა...  
რალა თქმა უნდა... შევსვათ ღვინო სახეს თასებით  
და მივაძინოთ აზრები და ფიქრები ყველა...  
რა საჭიროა  
გაიწამო გული დარდებით,  
აბა, საიდან დავინახავთ ჩვენ ჩვენს მომავალს...  
გამოცანაა ეს ცხოვრება...  
ნასვამს მსურს ცეკვა,  
ნელსაცხებლებით განვწმენდილვარ და ქალწულებში  
გართობას ვეძებ...  
დე, შეწუხდნენ ისინი, ვისაც  
თავის ტანჯვა და შეწუხება ძალიან უნდათ.

კიმხიარულთ და დავლით ღვინო თასებით  
და სიმღერებით განვადილოთ თავად ბახუსი.

40

მიყვარს მოხუცი მოლხენილი, ხალისიანი,  
და არანაკლებ ახალგაზრდა მოცეკვავენი,  
როცა მოხუცი ცეკვას იწყებს თავდავიწყებით,  
თუმცა კი თავი დაფარვია ჭადარით მხოლოდ,  
მაგრამ სულით კვლავ ახალგაზრდად შეთენილა იგი...

41

რადგან მოკვდავად დავიბადე, მაშინ კიდევაც  
ვიხეტილო ბილიკებზე ცხოვრების უნდა  
და ისიც ვიცი ჩაიარა ჩემმა დრომ თითქმის...  
და გასავლელი რაღა დამრჩა ვერ ვხვდები ამდენს.  
ო, მიმატოვეთ, მიმატოვეთ, მძიმე ფიქრებო.  
მე თქვენთან უკვე არაფერი არ მესაქმება.  
სანამდის მოვა აღსასრული — უკანასკნელი,  
უნდა ვიციხო, ვითამაშო და კვლავ ვიცეკვო...  
და ვეთაყვანო ლიეოსის მშვენიერ ძალას.

42

საამურია სეირნობა იქ სადაც ველი  
მცენარეებით დაფარულა,  
სადაც მსუბუქი  
და ტკბილი სუნთქვა ზეფირისა ნელა მიმოქრის,  
სადაც ბახუსის ლერწნი ჩანან...  
მე კი ფოთლებში  
ძალმიძს შევიდე... ჩავიმალო  
ნაზ გოგონასთან...  
ირგვლივ ყოველი გაუღენთილა კიპრისის სუნთქვით..



სასიყვარული დევნა  
ატეკური თასი

მწყურია ძალზე  
 დიონისე ფეხმალთან ცეკვა...  
 მიყვარს, როდესაც  
 ეფებოსთან ვაჟღერებ ლირას,  
 ჰიაცინტისებრ  
 გვირგვინებით საფეთქლებს ვიმკობ...  
 ყველაზე მეტად  
 ქალწულებთან გართობა მიყვარს.  
 შური არ იცის  
     ჩემმა გულმა,  
 შური სასტიკი.  
 ავსიტყვაობას,  
 მწარე ენას ვცდილობ გავექცე.  
 და ქეიფისას  
 მეჯავრება ჩხუბი ლოთების...  
 მწყურია ლამაზ გოგონებთან  
 ერთად ცეკვისას  
 ბარბითის ჰანგთ ქვეშ  
 ეს ცხოვრება მშვიდად განვლიო...

ჩვენ საფეთქლებზე  
 შემოვიწნათ გვირგვინი ვარდთა,  
 ვსვათ, მხიარულად  
 ვიხარხაროთ... ბარბითის ხმებზე  
 ქალწული ერთი, დაგრეხილი თირსებით ხელში,  
 ცეკვავეს და ცეკვავეს...  
 კობტა ფეხებს აყოლებს ჰანგებს,  
 და დაუფარავს ეს თირსები სუროს ხშირ ფოთლებს.  
 თავდავიწყებით ახმიანებს პექტიდის სიმებს  
 ხუჭუჭა ვაჟი  
 და იღვრება ტკბილ ბაგეთაგან

ლადი სიმღერა...  
ეროსი კი ოქროსთმიანი,  
და მშვენიერი ლიეოსი,  
ნაზი კითერე,  
სამივე ერთად, მოხუცების ქეიფის ხალისს  
იზიარებენ, ესწრებიან მომხიბვლელ ნადიმს.

45

ეროსისათვის საყვარელი ყვავილი ვარდი  
დიონისესთან შევაერთოთ...  
და უნაზესი  
ვარდის ფურცლებით საფეთქლები შევიმოთ უხვად,  
ვსვათ და ვიცინოთ მხიარულად, ამოდ ვილხინოთ...  
ვარდო, შენა ხარ ყვავილებში ულამაზესი,  
ვარდო, ღმერთების სიტკბოებაჲ...  
თავად კითერეს  
ვაუს უგვირგვინებ ხუჭუჭა თმებს, როდესაც იგი  
ნაზ ქარიტებთან ცეკვავს... ცეკვავს თავდავიწყებით.  
შემიმკე თავი მეც გვირგვინით და ლირის ხმებზე,  
ო, შენთან ერთად, დიონისევე, შენს საუფლოში,  
სავსე მკერდიან ქალიშვილთან ერთად ვიცეკვებ...  
ვარდის გვირგვინით  
თავშემკული ვიცეკვებ ღხენით...

46

როცა ვსვამ ღვინოს  
იძინებენ ჩემი დარდები.  
რას მომცემს კენესა,  
რად ვიშრომო რაზე ვიზრუნო...  
მინდა თუ არა, მაინც უნდა მოვკვდე ხომ ბოლოს...  
მახეტიალებს ეს ცხოვრება, დამიბნევს თავგზას.  
ჯობია ღვინოს დავეწაფო სულმოუთქმელად,  
ღვინოს — ლამაზი ლიეოსის მოძღვნილ საჩუქარს,

რადგანაც სმისას  
იძინებენ ჩვენი დარდები...

47

ერთი შეხედვე გასაფხული როგორ ანათებს  
და ქარიტები ხმაურობენ ვარდებში როგორ,  
შეხე ზღვის ტალღებს, ამ უქარო ამინდის გამო,  
როგორ დაწყნარდნენ, რონინებენ როგორ კეთილად.  
ან გარეული იხვი როგორ ცურავს თავისთვის,  
ან და ეს წერო რა ლამაზად მიფრინავს ცაზე  
და გადმოღვრილა ცის თალიდან თავად ტიტანი...  
იფანტებიან თვით ღრუბლების ჩრდილები სწრაფად  
და მოკვდავების საქმეებიც უკეთ  
წარმოჩნდნენ...

[და იზნიქება ნაყოფისგან თვით დედამიწა]  
ზეთისხილის ხე ავსებულა უხვი ნაყოფით,  
გვირგვინად ერტყმის ბრომიოსის ქმნილებას ირგვლივ  
ფოთლები მწვანე...  
და რტოებში ჩანან მტევნები.

48

თუმც მოხუცი ვარ,  
ახალგაზრდებს ვჯობივარ სმაში...  
როს საჭიროა,  
წრეში ვცეკვავ ვით სილენოსი,  
დავტრიალდები...  
და ვატარებ არგანს, ტიკტორას.  
ნართექსი სულაც არ მჭირდება  
და თუკი ვინმეს  
ბრძოლა სურს ჩემთან, შემებრძოლოს,  
შადა ვარ მუდამ...  
ჰეი, ბიჭუნავ,  
მომიტანე თაფლივით ღვინო



სატირი

დარიოსის ნახატი წითელფიგურიანი  
ვაზა 480 წ. ჩვ. წ. აღ-მდე

განზავებული...  
მოსუტი ვარ... თუმცა მე მაინც,  
[ახალგაზრდებზე მეტის შესმა კვლავ შემიძლია]

49

როცა ბახუსი მოდის ჩემთან  
დარდი იძინებს,  
და მეჩვენება ვარ კრეზოსი,  
მღერა მსურს ტკბილად,  
სუროს გვირგვინით დაფარული ნებივრად ვწევარ  
მე ყველასა და ყველაფერზე ეგ ზომ ნაწყენი.

. . . . .  
მაშ მოამზადე... კვლავაც ვიწყებ დალევას ღვინის,  
ყმაწვილო, სწრაფად მომიტანე ფიალა სავსე...  
რადგან მკვდრად ყოფნას მირჩევნია  
სიმთვრალე მუდამ...

50

როცა ბახუსი  
ზევსის ვაჟი შემოდის სულში,  
დარდსა და ჭმუნვას  
განგვარიდებს როს ლიეოსი,  
მე შემოქმედი  
ტკბილი ღვინის მასწავლის ცკევას...  
და არის კიდევ  
სხვა სიამე და სიტკბოება,  
როცა ძვირფასი  
გოგონასთვის გადაკრავ ღვინოს...  
მატკობს წარმტაცო  
აფროდიტე და მე ხელახლა,  
ისევ თავიდან მინდა ცკევა...



როცა ვსვამ ღვინოს,  
აღმაფრენა შემოდის გულში.

და ხოტბას ვასხამ მხიარულად მშვენიერ მუზეებს.

როცა ვსვამ ღვინოს,  
მშორდებიან ფიქრები სწრაფად,  
ჭმუნვას და დარღებს,  
ვით ზღვის ტალღებს დევნიან ქარნი...

როცა ვსვამ ღვინოს,  
სულს როს მივსებს შეებით ბახუსი  
და მრავალფერი ყვავილების სურნელით დამთვრალს,  
გაბრწყინებული დამატარებს მწვანე მდელოზე,

როცა ვსვამ ღვინოს,  
ყვავილებით მოვიწნავ გვირგვინს  
და თავმორთული  
მე ვუმღერი ცხოვრებით ტკობას.

როცა ვსვამ ღვინოს,  
ნელსაცხებლით ტანდაზელილი,  
როცა ვეხვევი, ვეუფლები ქალწულს მშვენიერს,  
მაშინ თვალწარმტაც კიპრიდაზე მოლხენით ვმღერი.

ღრმა ფიალიდან,  
როდესაც ვსვამ თაფლივით ღვინოს,  
გონებას ჩემსას

აღფრთოვანებს და ღხენით ავსებს  
წრე მოზეიმე ყმაწვილების...

როცა ვსვამ ღვინოს,  
სარგებელიც ესაა ჩემი...

ამა ქვეყნიდან გარდასული სხვა რას წავიღებ;  
მხოლოდ გავიყოფთ მოკვდავები სიკვდილს ერთადერთს.

ნუ, ნუ გამირბი,  
 როს შეხედავ ამ ჩემს ჭადარას...  
 თუმც გაფურჩქვნილი  
 სიყმაწვილე შენი ყვავილობს  
 და შაინც ნუ, ნუ გაურბიხარ ჩემსა წყალობას.  
 უყურე ერთი, დააკვირდი გვირგვინს მშვენიერს:  
 როგორ ერწყმიან, უხდებიან ერთმანეთს როგორ  
 ეს შროშანები და ვარდები მოწნულნი ერთად.

რატომ მასწავლი  
 კანონებს და რიტორთა ხერხებს,  
 ან კიდევ ამდენ ლამაზსა და მოხდენილ სიტყვას,  
 თუკი არაა სასარგებლო არც ერთი ჩემთვის...  
 უკეთესია შემასწავლო დალევა ღვინის  
 და მაზიარო ლიეოსის უნაზეს სასმელს,  
 უკეთესია შემასწავლო ლამაზ თამაშში,  
 როგორ გავერთო მე ოქროვან აფროდიტესთან...  
 თავი ჭადარა გვირგვინებით მაქვს შემკობილი,  
 ყრმაო, დამისხი ღვინო წყალთან განზავებული  
 და სული ჩემი დააწყენარე, დამათვრე ნელა...  
 სულ ცოტა კიდევ... დამიფარავ სხეულს და მერმე  
 რაღა დამშთება, მკვდარი, ვიცო, არას ესწრაფვის...

როგორც კი ჩემს თავს დავინახავ ახალგაზრდებში,  
 სული მენტება, სიყმაწვილე ბრუნდება უკან...  
 გადავეშვები მათ მხიარულ ფერხულში წამსვე,  
 მოხუცი კაცი ფრთაშესხმული დავფრინავ თითქოს  
 და მიპყრობს, მიპყრობს მე სიგიჟე, ჰოი, კიბებევ,

გთხოვ მომაწოდო ყვავილები... მსურს გვირგვინებით  
შევიმკო ჩემი ჭალარა თმა და ეს სიბერე  
შორს განვაძევო... ახალგაზრდამ ახალგაზრდებთან  
ერთად ვიცქვეო... და თან ვინმემ ღიონისესგან  
მომართვას წვენი საამური შემოდგომისა  
და აი, მაშინ დაინახავთ მოხუცის ძალას,  
მცოდნეა იგი და სავსეა გამოცდილებით,  
მას შეუძლია, რომ იმღეროს ასე ძლიერად  
და ღვინის სმაშიც ვერავინ ვერ შეედარება...  
მშვენიერებას სიმთვრალისას ის იცნობს მხოლოდ  
და შეუძლია ხალისით მთვრალს იგიჟოს მუდამ.

55

ეს ხარი ბავშვო,  
ჩემის აზრით ზევსია თავად,  
ამიტომ მიყავს  
ზურგით ქალი სიდონიელი  
და გაშლილ ზღვაში  
ის მიაპობს ჩლიქებით ტალღებს.  
რაღა თქმა უნდა,  
ვერ შესძლებდა სხვა ხარი ამდენს,  
ჯოგიდან თავის დაღწევას და ტალღებში ცურვას,  
თუ არა იგი ერთადერთი...

56

მე გვირგვინოსან გაზაფხულთან ერთად მინდოდა  
ნაზი ვარდისთვის, რომ შემღერა თავდავიწყებით  
.....  
შენც ჩემთან ერთად წამოიწეე ძვირფასო მღერა.  
იგი ხომ არის ღვთაებათა უტკბესი სუნთქვა  
და მოკვდავთათვის სიხარული დაუსაბამო,  
და ერთადერთი სამკაული ლამაზ ქარიტთა,

ეროსებისთვის ყვავილებით სავსეა იგი,  
მიჯნურებისთვის სათამაშო და გასართობი  
და საოცნებო საგანძური ზღაპრებისათვის...  
იგი — მუზათა საყვარელი, ნაზი ყვავილი  
თავად ქმნის სიტკბოს, მიმოაფრქვევს საამო სურნელს  
ირგვლივ ეკლიან ბილიკებზე...

როდესაც მოწყვეტ, შეისუნთქავ როცა ტკბილ სურნელს,  
ნაზი ხელებით უაღერსებ, ხელებში ათბობ,  
მოგაქვს ეროსის საყვარელი ყვავილი  
ფრთხილად...

რა ვთქვა? გგონია შესაძლოა

სიამოვნება

მიიღოს კაცმა, როს სუფრასთან ნადიმობს იგი  
და დიონისურ ზეიმისას სვამს ძვირფას ღვინოს,  
თუკი ვარდები არ ამშვენებს ნადიმის სუფრას?  
ვარდისთითებას ეძახიან ვიციტ განთიადს,  
ლამაზ ნიშნებსაც ვარდისფერი მკლავები ამკობთ  
და აფროდიტეს სხეულიც ხომ ვარდისფერია,  
ბრძენნი ვარდისფრად აგვიწერენ მშვენიერ ღმერთქალს.  
სასარგებლოა ვარდი მუდამ ავადმყოფთათვის,  
მიცვალებულსაც ის დარაჯობს და იცავს კიდევც,  
იგი ამარცხებს დროს სასტიკად...

და თვით დამჭკნარი

ისევ და ისევ ინარჩუნებს სინორჩის სურნელს.

ახლა ვიმღერებ, როგორ გაჩნდა იგი ამ ქვეყნად...

როს ლურჯი ზღვიდან,

დანამული ცვარით, კითერე

ზღვის ქაფში იშვა

და ათენაც ბრძოლის ტრფიალი,

წარმოაჩინა თავად ზევსმა

ოლიმპოს რისხვად,

სწორედ იმ ხანად, საკვირველი ვარდის რტოები

ამოიზარდა დედამიწის სიღრმიდან სწრაფად...

და გაიშალა ხელოვნების სრულქმნილ მშვენიებად

ვარდი ლამაზი, თვით ნეტარი ღმერთების მსგავსი.  
როგორც კი იგი დაიბადა, მისი ნექტარი  
გალმოიღვარა  
უსიამო, ზვიად ეკლიდან...  
ვარდი ღვთიური მცენარეა თვით ლიეოსის.

57

ვინც ახალგაზრდას ძალას აძლევს შრომაში მტკიცეს  
და სიყვარულში სიმხნეს მატებს და ქეიფისას  
თავდავიწყებით ააცკეკებს ვნებებით დამთვრალს,  
იგი დაეშვა ხორცშესხმული ღვთაება მიწად...  
მოკვდავებს ნაზი, საყვარელი სასმელი უძღვნა,  
დარდის განმდევნი...  
შემოქმედი ვენახის... მუდამ  
ვაზის ლერწებში,  
შემოდგომით დარაჯობს ყურძენს,  
რადგან რთველისას, როცა კრეფენ კაცები მტევნებს  
უვნებლად დარჩნენ...  
და ჯანმრთელი ჰქონდეთ სხეული,  
სენთა გარეშე გაატარონ მთელი დღეები  
და იხალისონ კვლავაც რთველის დაბრუნებამდე.

58

ნეტავ, ამ სახით, ვინ შეიძლო ზღვის ამოტვიფრვა,  
რა ხელმა შექმნა, განალაგა იგი ტალღები,  
დისკოზე ასე შთაგონებით და შთამბეჭდავად?  
ნეტავ ვინ შექმნა მოარული ზღვის ზედაპირზე  
ზევიდან თეთრი, ვითა ფიფქი  
ნაზი კიპრისი?  
შთამომავლობის დასაბამი ნეტარ ღმერთთათვის...  
თვისის გონებით ვინ ამაღლდა ასე ღმერთებთან,

და წარმოსახა მან ღმერთქალი შიშველი სახით...  
რის დანახვასაც გვიკრძალავენ ადათნი წმინდა,  
ჩვენს თვალებს იგი დაუშალა ტალღებში მხოლოდ.  
მიემართება ნაპირიდან ზღვის სიღრმისაკენ  
სავსე მშვენივლით, მოქაბათეთ, ვით თეთრი ალვა,  
ნას და მშვიდ ზღვაზე ლივლივებენ წყნარად ტალღები  
და მისრიალებს ტალღებს შორის სხეული მისი...  
ზევითთა ხმაურში  
გამოჩნდება ხანდახან ზევით  
მკერდი ვარდისფრად შეღებილი  
და ხანაც კიდევ  
ყელის ქვევითვე ჩერდებიან ჩქერები ერთწამს.  
მიაპობს ტალღებს და შუაში ჭავლებად რჩება  
კიპრისის კვალი... ვით შროშანი იათა შორის,  
სინათლით ავსებს უქარო ზღვის გადაშლილ სივრცეს  
და მიჰყვებიან ვერცხლისფერი დელფინნი უკან  
ცეკვა-თამაშით...  
ვნება ეშმაკი სახის მქონე  
და დამცინავი ჰიმეროსი და თვით ეროსი...  
დასრიალებდნენ ირგვლივ წრეში თევზები გუნდად,  
გადადიოდნენ ყირა-ყირას მუქლურჯ ტალღებში  
და მიცურავდნენ იქით, სადაც თვით პაფოსელი  
მხლებლებთან ერთად მიცურავდა ნაზი ღიმილით.

59

როდეჭაც სწრაფად  
გარბის ჩემგან ლტოლვილი ოქრო,  
ქარისებური  
ნაბიჯებით მუდამ გამირბის...  
თუმც მე არ მივსდევ,  
მეზიზღება დევნა ამგვარი  
და მე ვშორდები  
ლტოლვილ ოქროს



აფროდიტე ასწავლის სროლას ეროსს  
IV ს. ჩვ. წ. აღ-მდე

და ჩემი გული  
ქარის დაქროლვას  
ატანს დარდებს... მერმე ლირაზე  
ვცდილობ დავუკრა სიყვარულის მქლერი სიმღერა.  
და მერმე როცა  
სული ჩემი ზემოდან უცქერს  
მოულოდნელად მიბრუნდება ლტოლვილი იგი  
და მტოვებს ხელად საამური უზრუნველობა,  
ვითვრები მისით, მავიწყდება ლირა მაშინვე  
და სალამურის არსებობაც არ მახსოვს მერმე...  
მუხთალო ოქროვ, ვერაგო და დაუნდობელო,  
ამაოდ გინდა ცდუნებებით მომხიბლო, მაგრამ  
ოქროზე მეტად  
სიყვარულზე ჟღერენ სიმები.  
მახედ და

შურად

გაგავრცელა ეროსმა ხალხში...  
სიმები ლირის  
შინაგანი სიმშვიდით ჟღერენ  
და აზავებენ ფიალაში მადლსა და ვნებას.  
. . . . .  
შენ კი ყოველთვის სულ მზადა ხარ ისევ გაიქცე...  
ხოლო ჰანგები  
ჩემი ლირის არ დამტოვებენ.  
ეგ შენი ბრწყინვა უცხო არის  
მუზებისათვის,  
მუდამ ცბიერო, უსიამოვ და არამყარო...  
მე კი, ჩამოვკრავე ლირის სიმებს  
შორს მყოფი შენგან,  
თავად მუზები აღმანთებენ, მიდგანან მხარში...  
ო, აღიმაღლეთ ხმა, აენთეთ  
და იციმციმეთ . . . . .



ქალიშვილებთან

ერთად მოაქეთ მხრებზე შედგმული

ვაჟკაცებს სავსე

კალათები მუქფერი ყურძნით.

და როს ჩაცლიან საწნახელში ავსებულ გოდრებს,  
ვაჟები სწრაფად მსხვილ მტევნებზე იწყებენ ბუქნას  
შიშველ ფეხებით...

და აი, ასე იწურება საამო ღვინო...

ამაყადა ჟღერს ღმერთებისთვის ჰიმნები რთველის

და მომხიბვლელად უყურებენ სავსე ქვევრებში

აბობოქრებულ, ახალგაზრდა, ჩუხჩუხა ბახუსს...

როცა მოხუცი შესვამს ღვინოს, ივიწყებს ასაკს,

ფეხზე ძლივსა დგას და ბორძიკით მაინცა ცეკვავს

და ეწეწება ჭაღარა თმა გაშლილი ქარში...

ხოლო გოგონას მოხვევია

ყმაწვილი ვაჟი . . . . .

. . . . .სავსე ძაღლონით, გახელვებით, სავსე

სიშმაგით...

ნაზ სხეულს ანდობს

ჩამუქებულ, დაბურულ ფოთლებს,

გაბრუებულს და გარემოცულს ნახევრად ძილით,

აჯადოებს და ნაადრევად ხიბლავს ეროსი

. . . . .

და ხდება იგი მოღალატე ქორწინებისა . . .

თუკი გოგონას მხოლოდ სიტყვით ვერ დაარწმუნებს,

სულ ერთი არის... ძალას იხმარს, დაიპყრობს მაინც...

ახალგაზრდებთან ერთად მთვრალი, ხელი ბახუსი

ყველა უწესო თამაშებში მონაწილეობს.

მე ავაჟღერებ ტკბილხმოვანი ბარბითის სიმებს...

არავითარი შეჯიბრება თუმც არ შედგება,

სრუნვა კი გემართებს,  
 ხელოვნებას მისი წილხვედრი  
 ხოტბა შევასხათ,  
 ავაყოლოთ შეღერი სიმღერა  
 სპილოსძვლის პლექტრით  
 გამოცემულ საოცარ ჰანგებს...  
 ფრიგიულ რიტმებს აყვები და ვიმღერებ ისე,  
 ვით კაუსტროსის გედი, ქარით ატეხილ ხმაურს,  
 ფერადი ფრთებით, ეუბნება ლამაზ მოძახილს.  
 ო, შენ კი მუხავ, მოდი ჩემთან, მომიახლოვდი..  
 ფოიბოსისთვის მარტოოდენ წმიდათა წმიდა  
 არის კითარა, სამფეხი და ძვირფასი დაფნა.  
 და ჰა... ვუმღერი მწველ სიყვარულს ფოიბოსისას...  
 ამაო არის მისი ტანჯვა ...უბიწო ქალწულს  
 არ შეუძლია მისი გრძნობის გაზიარება  
 და ვნების ნესტარს გამოექცა შეშფოთებული...  
 და შეიცვალა გარეგნობა — სახე ციური,  
 მსწრაფლ გარდაიქცა მარადმწვანე ლამაზ მცენარედ...  
 მივარდა მაშინ ფოიბოსი და მწვანე ფოთლებს  
 დაუწყო გლეჯა გაშმაგებით... ვნებით აღვსილი  
 ქალწულის ასე დაუფლებას ცდილობდა იგი,  
 ჩვენებოდა, რომ კითერე დაამთავრებდა.

62

მაშ, სულო ჩემო, სად მიიწევ, რად მეღობები  
 შენი გიჟური მოქმედებით, შენი შმაგობით?  
 ბასრი ისარი დაგეუფლა და შენც განდევნი,  
 შორს გაეცალე სროლისათვის შერჩეულ მიზანს...  
 მშვილდისარი კი აფროდიტეს მიეცი მხოლოდ,  
 უკვდავ ღმერთების დამმარცხებელს... და ანაკრეონტს  
 მიბაძე ქვეყნად...  
 როს აღავლენს ხოტბის სიმღერებს  
 და ჭაბუკების სადღეგრძელოდ ასწიე თასი,  
 თასი, რომელიც ტკბილ სიტყვათა საგანძურია.

და ნექტრის სმაში  
მიაღწიე სულის სიმშვიდეს...  
და ცეცხლოვანი სიტყვებისგან გამქცევი...

63

მოძრთვი წყალი, მომიტანე ღვინო,  
ბიჭუნავ,  
მთვრალსა და თითქმის გაშტერებულს...  
რადგან ფიალა  
მე მეუბნება თუ სადაა საჭირო გაუნდე...

64

და მაინც კიდევ რად გამირბი  
მე — მოხუცებულს...

65

და ჩანს მოსმენა,  
თუ სხვას ვისმე ყბედობა უნდა...



## კ ო მ ე ნ ტ ა რ ე ბ ო

### ა ნ ა კ რ ე ო ნ ტ ო

#### ფრ.1

ესაა პიზნი არტემიდესადმი.

ა რ ტ ე მ ი დ ე — ზეესისა და ლეტოს ასული, აპოლონის ტეუპისცალი, ბერძენთა ერთ-ერთი უძველესი და უმთავრესი ღვთაება, მონადირე, ცხოველთა და ნაყოფიერების მფარველი, წმინდა და სასტიკი, რომლის სახელთანაა დაკავშირებული მრავალი მითი.

ლ ე თ ე ო ს ი — მდინარე მცირე აზიაში, ერთვის მუანდროსს, რომლის სანაპიროზე მდებარეობდა ქალაქი მაგნეზია. მას განსაკუთრებით მფარველობდა არტემიდე.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ მაგნეზიელ ვაჟკაცებს პოეტი სწორუპოვართ იმიტომ უწოდებს, რომ მათ გმირული წინააღმდეგობა გაუწიეს სპარსელთა ჯარს, რომელსაც პარპაგოსი სარდლობდა.

ლექსი გამართულია მსუბუქი გლიკონური საზომით, მხოლოდ მესამე და მერვე კარედებშია ფერკვრატესეული საზომი გამოყენებული.

#### ფრ. 2

ი. ე ლ ი ს ი ე ლ ი — ქალაქ იელისის მოქალაქე. ეს დორიული ქალაქი კუნძულ როდოსის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობდა.

#### ფრ. 3

ს მ ე რ დ ი ე — პოეტის ერთ-ერთი სატრფო, რომელსაც პოლიკრატესის კარზე უნდა ეცხოვრა.

#### ფრ. 4

ამალთეა — თხა, რომელიც კუნძულ კრეტაზე დედის მიერ გადაძალად პატარა ზევსს მუძუს აწოვებდა. ამალთეას რქას ჯადოსნური ძალა შესწევდა — შეეძლო მფლობელისათვის ყველა სურვილი შეესრულებინა.

ტარტესო /ტარტესოსი/ — ბიბლიური ქალაქი; იგი მდებარეობდა ესპანეთის სამხრეთში, სადაც ბედნიერი ხალხი ცხოვრობდა. მისმა მეფე არგათონოსმა 120 თუ 150 წელი იცოცხლა და აქედან სახელმწიფოს 80 წელი მართავდა.

ჩვენ ამ ფრაგმენტის თარგმნისას ვისარგებლეთ ედმონდსიეული ტექსტით. სხვა ტექსტებში არსად არაა ხსენებული სიტყვა „λαυδαιμόνος“, რაც ჩვენის აზრით, მეტად საჭირო უნდა იყოს ქალაქის მნიშვნელობის მეტი სიმკვეთით გამოსახატავად.

#### ფრ. 5

კლემენტე — ანაკრონტის საყვარელი ჭაბუკი.

#### ფრ. 6

ამ მცირე ფრაგმენტიდან შეუძლებელია გარკვევა, თუ რომელ ლეკაიკეზეა ლაპარაკი: ჩვეულებრივ პეტერაზე, თუ პოეტის მიერ დამუშავებულია რომელიმე მითიური პერსონაჟის ცხოვრება.

ლევკიპე — მინიასის ქალიშვილი, რომელმაც არ ირწმუნა დიონისეს დეთაებრივი წარმოშობა და არც მის პატივსაცემად გამართულ დღესასწაულებში ღებულობდა მონაწილეობას, რისთვისაც ის და მისი დები დიონისემ დამურებად გადააქცია. 2 ტროის მეფის ლაომედონტის ცოლი. 3. ეტოლიის მეფის თესტიოსის ცოლი. 4. თესტიორის ქალიშვილი.

#### ფრ. 7.

პოსეიდონის თვის და დგომა — დაზამთრებას ნიშნავს. დაკავშირებულია პოსეიდონთან, ზღვის ღმერთთან, რომელიც იყო კრონოსისა და რეას ვაჟი, ზევსის ძმა. იგი სამეხილას დარტყმით არყევდა დედაშიწას, აღლევებდა ზღვებსა და ოკეანეებს, წარმოშობდა გრიგალს.

ეს თვე იყო ატიკური კალენდრის მეთათე თვე და დეკემბერ-იანვარზე მოდიოდა.

#### ფრ. 9

აქ უნდა იგულისხმებოდეს იმ პერიოდში კუნძულ სამოსზე არსებული პოლიტიკური მდგომარეობა. თუმცა ძნელი დასადგენია ვის ეკუთვნის ეს სიტყვები, თვით პოეტსა თუ ტირან პოლიკრატესს.

### ფრ. 13

ამ ლექსში ანაკრონტი ერთგვარი სიმსუბუქით აგვიწერს თავის სიბერეს და ამის გამო ლესბოსელი ქალწულისაგან უარყოფას.

ე რ ო ს ი — სიყვარულის ღმერთი, აფროდიტესა და არესის /ზევისისა და აფროდიტეს, ზეფირისა და ისიდას/ ვაჟი. იგი არის ადამიანთა და ღვთაებათა ზნეობის, ბუნების განმგებელი. მოგვიანებით იპენს სიყვარულის ღვთაების თვისებებს. ეროსი ადამიანებს მუხარე გულსაც უმშვიდებს და აუტანელი ტკივილებით დაღუპვის კარამდეც მიჰყავს. იგი მეგობრული სიყვარულის მფარველიცაა. მას გამოსახადენენ ოქროსფერთმიანი ყმაწვილის სახით, მშვილდ-ისრით, კაპარჭითა და ჩირაღდნით ხელში, რომელიც ელინისტურ ეპოქაში ცელქ, ფრთოსან ბიჭუნად გადაიქცა.

ლ ე ს ბ ო ს ი — კუნძული, რომელიც მდებარეობს მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროსთან.

### ფრ. 14

ღ ი ო ნ ი ს ე — ღვინისა და მევენახეობის ღვთაება, მცენარეულობის ღმერთი. მისი ზედმეტი სახელებია: ბახუსი /ბაკუსი, იაკოსი/, ძაგრეესი, ლიეოსი... იგი ზვესისა და სემელეს ვაჟია. გაერცილებულია სხვადასხვა მითები ღიონისეს საოცარი დაბადების შესახებ. მან ბავშვობა ნისის მთაზე გაატარა და თავისი სახელითაც ამ მთასთანაა დაკავშირებული. ეს მთა ძველი ისტორიკოსების აზრით, ხან ეგვიპტეში, ხან ინდოეთში და ხანაც არაბეთში მდებარეობდა. ხშირად ღიონისეს ეთიოპელსაც უწოდებდნენ... მისი გამზრდელი გახლდათ სილენოსი.

ღიონისეს კულტი დიდად პოპულარული იყო დაბალ ფენებში. იგი მოგზაურობდა ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორეში და ყველგან ასწავლიდა ადამიანებს ყურძნის მოვლისა და მეღვინეობის წესებს.

მისი კულტი ბოლოს იმდენად გავლენიანი გახდა, რომ პისისტრატეს მმართველობის დროს სახელმწიფო რელიგიად გადაიქცა.

ე რ ო ს ი — იხ. ფრ. 13

ნ ი მ ფ ე ბ ი — ზვესის ასულები, მათა, გამოქვაბულთა, ტყეთა, მდინარეთა, წყაროთა მშვენიერი მფარველები.

ა ფ რ ო ლ ი ტ ე — /კიპრისი/, კიპრიდა, კითრე, პითოსელი, პაფიე, პაფოსელი, ლემნოსელი ქალღმერთი. იგი იშვა ზღვის ქაფში, ურანოსის მოჭრილი სასქესო ორგანოდან ჩამოდენილი სისხლის წვეთებიდან. იგი სილამაზის, ყვავილოვანი გაზაფხულის, სიყვარულის და ნაყოფიერების ქალღმერთია. სილამაზითა და სინაზით თვით პერასა და ათენასაც აღემატება. ჰეფესტოს მეუღლეა. მისი შვილებია: ეროსი, ანტიტროსი, პარმონია, დემისი, ფობოსი, პერმავროდიტი...

### ფრ. 15

ეს პაწაწინა ფრაგმენტი ეძღვნება პოეტისათვის სასურველ ყმაწვილს, რომელიც თავისი გულცივობით უფრო აძლიერებს მისი სულის მღელვარებას. როგორც ვიცით,

ანტიკურ ხანაში ყმაწვილებს ევალბოდათ სუფრის მომსახურება, ისინი ნადიმის დამამ-  
შენებლად ითვლებოდნენ... ჩანს, აქაც ერთ-ერთ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე.

#### ფრ. 16

განრისხებული დიონისე ძალზე საშიში გახლდათ. იგი სხვადასხვა ცხოველთა  
სახეს იღებდა და საზარელი ხმით აფრთხობდა ადამიანებს (იხ. ფრ. 14.), უნდა  
ვიფიქროთ, რომ ეს ფრაგმენტი დიონისეს მითის სწორედ ამ სახით დამუშავებას  
წარმოადგენდა.

#### ფრ. 19

მეგისტე უნდა ყოფილიყო ანაკრეონტის ერთ-ერთი მეგობართაგანი. საფიქრებელია,  
რომ კუნძულ სამოსზე თავად უკმაყოფილო არისტოკრატის წარმომადგენელი, იძუ-  
ლებული გახდა პოლიტიკას განდგომოდა და თავდავიწყება ღვინოში ეძებნა, რის  
შესახებაც ეს პატარა ფრაგმენტი მოგვითხრობს.

#### ფრ. 21

ეს ფრაგმენტიც სამოსის ისტორიის ერთ-ერთი ეპიზოდის გამოძახილი უნდა იყოს.  
პოეტი კვლავაც მეგისტეს მიმართავს...

წ მ ი ნ დ ა ქ ა ლ ა ქ ი — იგულისხმება ქალაქი ნიმფეონი.

#### ფრ. 22

ანაკრეონტმა შესანიშნავად იცოდა თავისი სიტყვის ძალა. პოეტის ამ ღრმა რწმენამ  
თავისებური ასახვაც კპოვა, მაგრამ ჩვენამდე მხოლოდ ფრაგმენტულად მოაღწია...

#### ფრ. 23

ეს ფრაგმენტი კიდევ ერთხელ გვიხატავს ანაკრეონტის ფაქიზ სულს. მისთვის  
სასურველია კეთილი და ზნემაღალი ადამიანის გვერდით ცხოვრება. თავად დიდ-  
ბუნებოვანი სხვებშიც ამ თვისებას აფასებს ყველაზე მეტად.

#### ფრ. 24

ძველი ბერძნები განუხავებელი ღვინის სმას ბარბაროსთა ჩვევად თვლიდნენ. ადა-  
მიანის უგონოდ თრობა სამარცხვინოდ მიანდათ. სუფრა უნდა ყოფილიყო აზრების  
გაცვლისა და სასიამოვნო შეხვედრების ადგილი. ყოველივე ეს ღვინოზე იყო დამო-  
კიდებული, რომელსაც წყლის გარკვეულ რაოდენობასთან აზავებდნენ. შემორჩენილ  
ფრაგმენტშიც სწორედ ამაზეა ლაპარაკი.

#### ფრ. 25

შეყვარებულ პოეტს მოულოდნელად ცივი წყალი გადაასხეს. ვფიქრობთ, ეს შემთხვევა არც პირველი იყო და არც უკანასკნელი.

#### ფრ. 27

აქ ანაკრეონტის პირველი პერიოდის შემოქმედებასთან უნდა გვექონდეს საქმე. ლექსში ალბათ კარიბჭის მცველთა მიერ წარმოებული ბრძოლის სურათები იყო დახატული.

#### ფრ. 28

ამ ფრაგმენტიდან ჩანს, თუ რა დიდად აფასებდა პოეტი სიწმინდესა და უმანკოებას.

#### ფრ. 29

საშობლოდაკარგულ პოეტს ხანდახან ისევე ეძალევა ნოსტალგია, რომლის გამოძახილიც უნდა იყოს ეს ლექსი.

#### ფრ. 31

კუნძული სიცილია იმ დროს ბერძნების კოლონია იყო.

კოტაბოსი — ჭურჭელი, რომელშიც ხდებოდა ღვინის განზავება წყალთან. განზავებულ სასმელს იდაყვში მოხრილი ჰელით ასხამდნენ ფიალებსა თუ თასებში.

#### ფრ. 32

ბასარიდები — დიონისეს პატროსაცემად გამართულ დღესასწაულზე მოცეკვავე ქალები, რომელთაც /ლიდიასა და თრაკიაში/ ბაკხელთა გრძელი ჩასაცმელი „ბასარა“ ეცვათ.

#### ფრ. 33

ეს ფრაგმენტი შედარებით სრულადაა მოღწეული. იგი სუფრული სიმღერაა და ისევე და ისევე ზომიერი ნადიმისაკენ მოუწოდებს მოქიფიეებს.

ლექსში პოეტი ახსენებს სკვითებს, რომელთა ღვინის სმა ღრეობასა და ჩხუბთანაა დაკავშირებული. სკვითები არაბერძნული ტომებია და ისინი ჩრდილოეთით სახლობენ.

#### ფრ. 34

საფიქრებელია, რომ აქ საქმე უნდა გვექონდეს ანაკრეონტის მიერ დამუშავებულ ტანტალეს /ტანტალოსის/ მითთან. იგი იყო ლიდიისა თუ სიპილიის /ფრიგიაში/ მეფე,



ზევის შვილი, ზოგი ვერსიით პელოპისა და ნიობეს მამა, ატრევსისა და თიესტეს პაპა. ტანტალოსის მიერ ჩადენილი დანაშაული — ბავშვის მოხარშვა, მის შთამომავლობაშიც განმეორდა (ატრევსმაც ჩაიდინა მსგავსი ბოროტება). მიუხედავად იმისა, რომ მამა ზევის ტანტალოსი ყველა მოკვდავზე მეტად უყვარდა, მაინც სასტიკად დასაჯა ჩადენილ შეცოდებათა გამო და ოთხი საშინელი ტანჯვა მოუწლინა პადესის სამეფოში ჩასულს.

### ფრ. 35

სიყვარულისაგან თავდაღწეული პოეტი პითომანდროსთან პოულობს თავშესაფარს. როგორც ჩანს, ეს პირველი შემთხვევაა არ უნდა იყოს, მაგრამ ვინაა ეს მხსნელი, ძნელი დასადგენია.

### ფრ. 37

ამ პატარა ფრაგმენტში ანაკრეონტი ქება-დიდებათ მოიხსენიებს ეროსს, როგორც ღმერთთა და კაცთა მბრძანებელს (იხ. ფრ. 13).

### ფრ. 38

შემორჩენილი ნაწყვეტი ბერძნული ნაღიმის სურათს გვიხატავს. იგი სუფრულ სიმღერებს მიეკუთვნება. პოეტი უბრძანებს ახალგაზრდა ვაჟს გვირგვინების მოტანას. როგორც ვიცით, მონადიმეთათვის აუცილებელი იყო ყვავილთა გვირგვინებით თავდაშევენება. ისინი უგრილებდნენ შუბლს და საამო სურნელებით გულს უხალისებდნენ, მეტი სიძლიერით აღაგზნებდათ სიყვარულთან საბრძოლველად.

### ფრ. 39

ძნელია ამ ნაწყვეტის მიხედვით რაიმე არსებითის დადგენა. საფიქრებელია, რომ აქ სპარსელების შემოსევებზე უნდა იყოს ლაპარაკი, როცა ისინი შეუბრალებლად ანგრევდნენ და ღიღ საგანძურებს ეუფლებოდნენ.

### ფრ. 40

ამ ფრაგმენტში ანაკრეონტი ახალგაზრდობასა და ჯანმრთელობას მისტირის.

### ფრ. 41

აქ, ალბათ, რომელიმე პეტერა იგულისხმება, დანაშაულისათვის დასჯილი. შეიძლება, იგი სულაც პოეტის მწარე ენის მსხვერპლია.

#### ფრ. 43

ამ ფრაგმენტშიც პოეტი კეტერას ესაუბრება.

#### ფრ. 44

მსუბუქ სიყვარულს, იმ დროისათვის ერთობ დაფასებულს, თავისთავად ცხადია, მის წილ ხარკს ანაკრეონტიც უხლავდა. სწორედ ამასუფამ ამ ნაწყვეტში ყურადღება გამახვილებული.

#### ფრ. 45

მნელია იმის წარმოდგენა, თუ რას გვიყვება პოეტი, ვისი უშიშარი ძალითაა იგი აღფრთოვანებული, მიჯნურთა, თუ მტრის გარემოცვაში მყოფ ვაჟკაცთა....

#### ფრ. 46

ყოვლისმომცველი სიყვარულისაგან ხშირად გაურკვევლობაში მყოფი პოეტი, თითქოს თავის თავს ებაასება. ეს პაწაწინა ფრაგმენტი საოცარი სიცხადით გვიხატავს მის ცვალებად გულს.

#### ფრ. 47

კარიელი ხელოსნები ცნობილი იყვნენ თავიანთი ოსტატობით.

კ ა რ ი ა — ქვეყანა, რომელიც მდებარეობდა მცირე აზიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. როგორც ჩანს, ეს ფრაგმენტი ანაკრეონტის შემოქმედების პირველ პერიოდს მიეკუთვნება, როცა მებრძოლი პოეტი ლექსებითა და მკერდით ერთნაირად იცავდა თავის საშობლოს.

#### ფრ. 48

გასტროლორე უნდა ყოფილიყო პოლიკრატესის სამეფო კარზე მცხოვრები ერთ-ერთი სატრფო პოეტისა...

#### ფრ. 49

ცხოვრების სიღუბჭირემ, გაუთავებელმა ბრძოლებმა შეაღონა პოეტი და მანაც ზურგი შეაქცია მეომრულ ცხოვრებას... სწორედ ამის გამო უნდა იყოს ეს ლექსი დაწერილი, რომელმაც სამწუხაროდ, ისე როგორც სხვა მრავალმა, ჩვენამდე სრული სახით ვერ მოაღწია...

### ფრ. 50

ძნელია, ამ ნაწევებიდან იმის წარმოდგენა, თუ ვის მიმართავს ანაკრონტი — მეგობარს, სატროსს, საშშობლოსა თუ აღრინდელ იდეალებს.

### ფრ. 51

ამ ფრაგმენტში პოეტი კვლავ პეტერას უნდა მიმართავდეს.

### ფრ. 53

როგორც ჩანს, პოეტი მილეტის წარსულ დიდებას მისტირის. ეს ქალაქი მდებარეობდა მცირე აზიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ეგეოსის ზღვის სანაპიროზე.

### ფრ. 54

ანაკრონტი მოგვითხრობს პერმესისა და აფროდიტეს შვილის მსგავსი პიროვნების შესახებ.

### ფრ. 56

მ უ ზ ე ბ ი — აპოლონის განუშორებელი თანამგზავრები, პოზიის, ხელოვნებისა და მეცნიერების ქალღმერთები. ზოგი გადმოცემა მათ ზევსისა და პნემოსინეს ასულებად, ზოგი კი ურანოსისა და გეას ქალიშვილებად მიიჩნევს. რიცხვით ისინი ცხრანი იყვნენ: კალიოპე, ევტერპე, თალია, კლიო, მელპომენე, ტერპსიქორე, ერატო, პოლიმნია და ურანია.

აფროდიტეს საჩუქარი სიყვარულში გამარჯვებას უნდა ნიშნავდეს. ისიც შეიძლება, რომ აფროდიტეს მიერ პარისისადმი ნაბოძები საჩუქარი (შვენიერი ელენეს მოტაცება) იგულისხმებოდეს.

### ფრ. 60

ა ფ რ ო დ ი ტ ე — იხ. ფრ. 14.

ამ ფრაგმენტის მიხედვით, ძნელია პეროტიმეს პიროვნების დადგენა და მითუმეტეს, პოეტსა და მას შორის არსებული ურთიერთობის წარმოდგენა.

### ფრ. 62

პ ი ე რ ი დ ე ბ ი — მეფე პეროსის ასულები. ისინიც ცხრანი იყვნენ. მამამ მათ მუზათა სახელები უწოდა. მოხდა ისე, რომ ამაყმა მეფემ თავისი ქალიშვილები მუზებს შეაჯიბრა სიმღერაში. მეფის ასულები დამარცხდნენ და ღმერთების ნებით კაჭკაჭებად გადაიქცნენ. შეიძლება ანაკრონტს ეს მითი ჰქონდა დამუშავებული. შეიძლება ისიც, რომ პოეტი აქ თავად მუზებს გულისხმობდა, რადგან პიერიის ხეობა, რომელიც მაკედონიაში, თესალიის ჩრდილოეთით მდებარეობდა, მუზათა საყვარელ ადგილს წარ-

მოადგენდა.

ქ ა რ ი ე ბ ი — რომაულად გრაციები, შშენიერების, ბედნიერებისა და მოხდენილობის ქალღმერთები. ისინი იყვნენ ზევისა და ევრიონის (ზოგი ვერსიით ჰერას) ასულები. ეუროსინე (სიხარული), აგლაია (ელვარება), თალია (ფერი). ისინი ყველგან თან ახლდნენ აფროდიტეს, დიონისესა და აპოლონს. ყველგან ხალისი და სიაშე შექქონდათ თავიანთი შშენიერებითა და ცეკვა-თამაშით.

### ფრ. 63

პ ა ლ ა დ ა — ათენას ეპითეტი.

იმდენადაა დაზიანებული ეს ფრაგმენტი, რომ რაიმეს თქმა მის შესახებ შეუძლებელია.

### ფრ. 65

ეს ფრაგმენტი ძლიერ დაზიანებულია და ბოლო ნაწილიც აკლია. მასში ანაკრონტი ბრძოლისა და თავისი გამარჯვების შესახებ უნდა მოგვითხრობდეს. როგორც ჩანს, იგი აფროდიტეს კალთას შეუარებია და მხიარულად ებაასება დიონისეს...

### ფრ. 71

პოლიკარტესის კარზე ყოფნისას ანაკრონტი გატაცებული იყო სმერდისის სიყვარულით, რომლის მიმართ არც პოლიკარტესი უნდა ყოფილიყო გულგრილი. გრძობათა შეფხახებებმა და ეჭვიანობამ გამოიწვია სმერდისის დასჯა. ტირანის ბრძანებით თმა გადააპარსეს, ფერხთქვეშ გათელილი იქნა მისი სიამაჟე... ანაკრონტსაც ეტკინა გული, მაგრამ ჩაიხშო გრძნობები და სწრაფადვე განიშორა ჭმუნვა, რადგან თრაკიელისაგან აღარაფრის იმედი აღარ დარჩა.

### ფრ. 74

აქ, მოხუცი ანაკრონტი, რომელსაც ბევლებურად ერჩის გული, წყალობას ევედრება შშენიერ ქალწულს. როგორც ვიცით, ოქროვანი სამოსელით მხოლოდ ქალღმერთები ირთებოდნენ. უნდა ვიგულისხმოთ, რომ პოეტი რომელიმე მათგანს მიმართავს.

### ფრ. 75

ა რ ი ს ტ ო კ ლ ი დ ე — პოეტის მეგობარი.

### ფრ. 77

ამ ფრაგმენტიდან ჩანს, რომ პოეტი ერთგვარი სევდა-შეპარვით ელოდება გაჭაღარაუებასა და მასთან დაკავშირებულ უსიამოვნებებს.

## ფრ. 78

ანაკრეონტი თავისი გრძნობების გამოხატვისათვის ხშირად ალევორიასაც მიმართავს. ასეა აქაც. „თრაკიულ კვიცში“ უნდა ვიგულისხმოთ პოლიკრატესის კარზე მყოფი რომელიმე თრაკიული ჰეტერა. არსებობდა აზრი, თითქოს პოეტი ნამდვილად მიმართავდა ცხენს, რომლითაც ელოდა დასაჩუქრებას, მაგრამ ეს არ უნდა იყოს სწორი, რადგან ცნობილია, რომ ანაკრეონტი საოცრად უანგარო პიროვნება გახლდათ. მოსალოდნელ საჩუქარზე პოეტი ლექსის წერას არ დაიწყებდა.

## ფრ. 8 ლა 82

ზოგიერთ გამოცემაში ეს ორი ფრაგმენტი ცალ-ცალკე გვხვდება, ზოგან კი ერთად. ჩვენც ვარჩიეთ ერთმანეთის მიმდევრობით წარმოგვედგინა, რათა არ დარღვეულიყო აზრის მთლიანობა.

ჩანს, რომ ანაკრეონტი გულგრილი არ უნდა ყოფილიყო ვერიპილესადმი, რომელმაც პოეტს ყოფილი მანანწალა არტემონი არჩია. პოეტი ძალზე დაუნდობელია. იგი მეტოქეს, მთელ მის წარსულსა თუ აწმყოს, გესლიანი სიტყვებით დასცინის.

„ხშირად კისერი ჯირკზე ელო, ხშირად ბორბალზე“

— ამ სიტყვებში უნდა იგულისხმებოდეს დამნაშავეს დასჯის ერთ-ერთი სახეობა. ასე სჯიდნენ მატყუარა გამყიდველებსა და მყიდველებს.

## ფრ. 52 ლა 84

ჩვენ ვარჩიეთ ეს ფრაგმენტებიც ერთად წარმოგვედგინა.

როგორც ვიცით, ანაკრეონტი არა მარტო სხვების მიმართაა დამცინავი, არამედ ხშირად საკუთარ თავსაც ირონიულად მოიხსენიებს, რადგან ამჩნევს, რომ მისი უბერებელი სული და ფიზიკური შესაძლებლობანი ერთმანეთთან ჰარმონიაში აღარ იმყოფებიან.

ო ლ ი მ კ ო — ღმერთების საუფლო, რომელიც თესალიასა და მაკედონიას შორის მდებარეობს. ეს მთა 3000 მეტრი სიმაღლისაა და მუდამ დრუბლებითაა დაფარული. თვით უზუნაეს ღვთაება ზევსსაც მის მწვერვალზე უღვას ტახტი.

ე რ ო ს ი — იხ. ფრ. 13.

## ფრ. 85

ეს პაწაწინა ფრაგმენტი მოგვითხრობს იმის თაობაზე, თუ როგორ გადააგლო ანაკრეონტმა ფარი მდინარეში და ამით უარყო მეომრული ცხოვრება.

## ფრ. 87

პ ე ლ ი ო ს ი — მზის ღმერთი.

## ფრ. 88

პ ე კ ტ ი დ ი — მუსიკალური საკრავი

ს ი მ ა ლ ე — მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდა.

## ფრ. 92

აქ პოეტი, ალბათ, ქარიტებს გულისხმობს... ზევსის შშვენიერ ქალიშვილებს, რომელთაც თავიანთი ცეკვით ყველგან ბედნიერება შეაქვთ.

იხ. ფრ. 62.

## ფრ. 93

ამ ფრაგმენტით პოეტი მოგვითხრობს თავისი ცხოვრების ერთ პაწია მონაკვეთზე.

## ფრ. 94

ლევკადის კუნძული მდებარეობდა აკარნანიის ჩრდილოეთ სანაპიროსთან ახლოს. კუნძულის მაღალი კლდეები შზის სხივებში თეთრად ქათქათებდნენ.

## ფრ. 95

ა ვ ლ ო ს ი — მცირე აზიიდან შემოსული სალამურისებრი საკრავი, რომელსაც ძველი ბერძნები დიდად არ წყალობდნენ. იგი მოსახლეობის დაბალ ფენებში უფრო იყო გავრცელებული. ამიტომაც უწოდებს ანაკრონტი ღარიბული ხმის მქონეს. ავლოსი დღევანდელ პობოის ჰავადა.

## ფრ. 96

მ ა გ ა დ ი — მუსიკალური საკრავი. მას აქვს ოცი სიმი, რომელთა ნახევარი დანარჩენთაგან ოქტავითაა დაშორებული.

ლ ე ვ კ ა ს პ ე — ძნელია მისი პიროვნების დადგენა. ჩვენი აზრით, ისიც პოეტის სატრფოთა რიცხვში უნდა ყოფილიყო.

## ფრ. 97

ა რ ე ს ი — ზევსისა და პერას მრისხანე ვაფი, ომის ღმერთი, მუდამ მოუსვენარი და სისხლით გაუმაძღარი. ამ თვისებათა გამო ძველ ბერძნებს არ უყვარდათ ომის ღმერთი და ვერც მისმა კულტმა ჰპოვა ფართო გავრცელება. ხელოვანი მას ზვიადი ვაგაკაცის სახით წარმოგვიდგენდნენ, ხან მუზარადში, ხანაც კიდევ ხუჭუჭთმიან, მახვილოსან ჭაბუკად. არესი მიაჩნდათ ამამონთა და გმირთა ერთ-ერთი თაობის მამამთავრად. მას უყვარდა აფროდიტე და ზოგიერთი ვერსიით იგი ეროსის მამა უნდა ყოფილიყო.

**ფრ. 99**

ამ პატარა ფრაგმენტში ანაკრეონტი ისევ და ისევ თავის მეგობარ მეგისტეს ესაუბრება.

**ფრ. 100**

პოეტი შეშარული ირონიით ლაპარაკობს ქალაქის გვირგვინის დაკარგვაზე. ძნელი დასადგენია, რომელ ქალაქს გულისხმობს იგი: ტეოსს, სპარსელთა მიერ დამონებულსა, თუ აბდერას.

**ფრ. 103**

ერქსიონი ალბათ ანაკრეონტის ერთ-ერთი თანამეინახე იყო.

**ფრ. 104**

ქ. ნავკრატისი იყო ბერძენთა ქალაქი, დაარსებული მილეტელი კოლონისტების მიერ ნილოსის დელტის აღმოსავლეთ სანაპიროზე.

**ფრ. 105**

ძნელია ამ ფრაგმენტის მიხედვით იმის გარკვევა, თუ რას გაექცა პოეტი. სიყვარულის ძალმოსილებას დაუსხლტა ხელიდან, თუ იმაზე წერს, როგორ მიატოვა შშობლიური მხარე.

**ფრ. 106**

პ ე ი თ ო — დარწმუნების ქალღმერთი. ზოგიერთი ვერსიით იგი ხარბი, ძუნწი და ოქროს მოყვარული გახლდათ. საფიქრებელია, რომ თავდაპირველად პეითოს ეს თვისებები არ მიეწერებოდა. პოეტი სწორედ ამის შესახებ უნდა მოგვითხრობდეს...

**ფრ. 110**

აქ ასახულია სუფრა და მისი წესები

**ფრ. 111**

ე რ ო ს ი — იხ. ფრ. 13.

**ფრ. 113**

ა ლ ე ქ ს ი ს ი — ანაკრეონტის ღაცინვის მორიგი ობიექტი.

### ფრ. 115

დორიდა (დორისი) — მხარე შუა საბერძნეთში. დორიული ქალაქები არსებობდა ლაკედემონიაში, პელოპონესში, მცირე აზიასა და სხვა. დორიელები გამოირჩეოდნენ თავისუფალი ქცევით.

### ფრ. 117

მისიელები — მისიის მცხოვრებნი. მისია იყო მხარე მცირე აზიის ჩრდილო დასავლეთში, რომელიც, როგორც პეროდოტე მოგვითხრობს, მდინარე პალისს აქეთ მდებარეობდა (იხ. პეროდოტე I, 28, 36, 37, 171; III, 90; VI, 28; VII, 20, 74, 75; IX, 32).

### ფრ. 118

ლოტოსი — ღვთაება იზიდას საყვარელი ყვავილი. ერთმანეთისაგან არჩევდნენ სხვადასხვა ჯიშის ლოტოსებს (ბერძნული, ეგვიპტური და სხვ.). მათ ჰქონდათ განსხვავებული სურნელება და ჟერი (თეთრი, ვარდისფერი და ა.შ.).

### ფრ. 119

ტარგელიოსი — პოეტის ერთ-ერთი მეგობარი.

### ფრ. 120

სიმართლე თავისთავად სილამაზესაც გულისხმობს. ამ ნაწყვეტიდან ძნელია წარმოღვენა, თუ რას ეხებოდა მთლიანად ლექსი...

### ფრ. 122

პოეტი ამ ფრაგმენტში ძალზე უცერემონიოდ ელაპარაკება, თითქმის უბრძანებს კიდევაც ზეესს, რომ მან რისხვა შეწყვიტოს. ზეესი კი, როგორც ვიცით, უზუნაესი ღვთაებაა.

### ფრ. 123

დიონისე — იხ. ფრ. 14.

### ფრ. 126

სკეითები — ზოგადი სახელი იმ მოსახლეობისა, რომელიც ისტროსსა და ტანაისს შორის ცხოვრობდა.

კიმერიელები — კიმერიის მცხოვრებლები. კიმერია — დღევანდელი ყირიმი.



### ფრ. 127

მშვიდობისმოყვარე პოეტი წუხს ტეოსის თავზე დატრიალებული უბედურების გამო, რაც სპარსელთა შემოსევებთან იყო დაკავშირებული.

### ფრ. 128

